საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№11 (435)
28 მარტი - 3 აპრილი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## თბილისის მერიის თანამშრომელი სავაჭრო ცენტრში ბავშვების ცოცხლად დაწვით ხარობს 4

## «პროვოკაციების სამიზნეა არა მხოლოდ პატრიარქი და ეკლესია, არამედ მრევლიც» 3



## «საქართველოში ვინმეს ოდესმე გაუბედავს, ქრისტიანობის გარდა, სხვა რელიგიის დაცინვა?» 6

# მკრეხელობა თუ პროვოკაცია? 7

## საქართველო იყო, არის და იქნება აშშ-ის ერთგული სტრატეგიული მონა 2



## რატომ ვერ ჭამა სამართალმა პური? 5

## ამერიკულ სერიალში აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ წარმოაჩინეს 8




## რატომ სძულს ყველა ხელისუფლებას დიდი სამამულო ომის ვეტერანები? 9

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ე.წ. ევროპულმა საქართველომ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომლებმაც ისეთი პოპულისტური იერიში მიიტანეს „ქართულ ოცნებაზე“, რომ ეს უკანასკნელი ნაცებთან კოაბიტაციის გამო, წესით, როგორც ჩვენში იტყვიან, ბოლმით იდაყვებს უნდა იჭამდეს, თავის დროზე რომ არ დასაჯეს მკვლელთა და სადისტ-მწამებელთა იდეოლოგები თუ შემსრულებლები, რომლებიც იმის მაგივრად, რომ ციხის ნარებს ხეხავდნენ, პარლამენტში, ლიბერასტულ მედიასა თუ ე.წ. არასამთავრობო სექტორში არიან წამოპლაკულნი და ურაპატრიოტული ლოზუნგებით „ბომბავენ“ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებას.**

# საქართველო იყო, არის და იქნება აშშ-ის ერთგული სტრატეგიული მონა

**არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობამ შეძრა ქართველი საზოგადოება, თუმცა ზოგიერთმა პოლიტიკური ქულების დაწერაც სცადა ამ ტრაგედიით და არცთუ წარუმატებლად — 1-2-პროცენტიან პოლიტიკურ პარტიებს კიდევ ერთხელ მიეცათ თავის წამოყოფის საშუალება და, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, „მეც ნახირ-ნახირო“, თავი შეახსენეს საზოგადოებას.**



**მარგველაშვილმა რამდენიმე მასპინძელ კონგრესმენს სთხოვა, აშშ-ის კონგრესს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ნატოსკენ სწრაფვის მხარდამჭერი კიდევ ერთი რეზოლუცია მიეღო, რათა საქართველომ უკეთ შეძლოს (ყურადღება, სკამიდან არ გადმოვარდეთ) აშშ-ის ინტერესების დაცვა კავკასიის რეგიონში(?!)... ასევე იქცეოდა სააკაშვილი — აშშ-ის ინტერესებს იცავდა ყველგან, მაგრამ იმის ჭკუა კი ჰყოფნიდა ამ შიზოიდს, რომ მსგავსი რამ ხმამაღლა არ ეთქვა**

ყველაზე მეტად, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ტრაგედიით დასავლეთის მიერ წლების განმავლობაში მხარდაჭერილმა და მთავარ ოპოზიციურ ძალად დანიშნულმა ორად გაყოფილმა ნაცბანდამ იხეირა — **ე.წ. ევროპულმა საქართველომ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომლებმაც ისეთი პოპულისტური იერიში მიიტანეს „ქართულ ოცნებაზე“, რომ ეს უკანასკნელი ნაცებთან კოაბიტაციის გამო, წესით, როგორც ჩვენში იტყვიან, ბოლმით იდაყვებს უნდა იჭამდეს, თავის დროზე რომ არ დასაჯეს მკვლელთა და სადისტ-მწამებელთა იდეოლოგები თუ შემსრულებლები, რომლებიც იმის მაგივრად, რომ ციხის ნარებს ხეხავდნენ, პარლამენტში, ლიბერასტულ მედიასა თუ ე.წ. არასამთავრობო სექტორში არიან წამოპლაკულნი და ურაპატრიოტული ლოზუნგებით „ბომბავენ“ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებას.** მათი აღვირახსნილი პოპულიზმისა და ურაპატრიოტიზმის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთს ან საერთოდ არ უნდა დაველაპარაკოთ, ან, თუ დაველაპარაკებით, დასავლელი (აშშ) „მეგობრებისა“ და „სტრატეგიული მოკავშირეების“ ზურგის იმედით, მხოლოდ ულტიმატუმებისა და სანქციების ენაზე.

თუ როგორ ეშინია ვლადიმერ პუტინს „დასავლეთის ზურგის“, 2008 წლის აგვისტოს ომიდან მოყოლებული მრავალჯერ ვნახეთ და, თუ ვინმე კიდევ იყო ამ საკითხზე ურწმუნო თომა საქართველოში, ტატუნაშვილის საქმიდან გამომდინარე, მასაც უნდა ერწმუნა:

**ბრიუსელ-სტრასბურგ-ვაშინგტონის პოლიტიკური რესურსების სრული მობილიზაციის მიუხედავად, ჩვენმა სტრატეგიულმა „მეგობარ-მოკავშირეებმა“ ისიც კი ვერ შეძლეს, რომ არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი დროზე გადმოეცათ ჭირისუფლისთვის და საქართველოსთვის სოხუმ-ცხინვალის გადმოცემას აიძულებენ მოსკოვს?!** იქნებ ტატუნაშვილის საქმის ირგვლივ დასავლეთის უილაჯო ქმედებების შედეგი იყო ის მიმართვა, რომელიც პრემიერმა **კვირიკაშვილმა** გაუგზავნა კრემლს; მიმართვა, რომელშიც გამოთქმული იყო მზადყოფნა აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირი დიალოგის წარმოებისა, რისთვისაც რუსეთს პრაქტიკულად დახმარება სთხოვა?!

ამის გამო მიშნაცების ირგვლივ მობილიზებულმა „მეც ნახირ-ნახირ“ მიკროპარტიებმა, ანუ მთელმა ლიბერასტულ-რუსოფობიურმა პოლიტიკურმა სპექტრმა კვირიკაშვილის მიმართვას, რბილად რომ ვთქვათ, კაპიტულანტური უწოდა. ერთადერთი, ვინც კვირიკაშვილს გადადგმული ნაბიჯი მოუწონა, იყო „პატრიოტთა ალიანსი“, რომლის ლიდერმა **ირმა ინაშვილმა** განაცხადა: „ვინც კვირიკაშვილს ამ მიმართვის გამო აკრიტიკებს, ის საქართველოს მტერია“-ო. მართლაც შეუცნობელია გზანი პოლიტიკაში, გნებავთ, პოლიტიკოსთა გზანი... ეს ის კვირიკაშვილია, რომელმაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ გამართულ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე პირდაპირ განაცხადა — ერთადერთი, ვისთანაც არ ვითანამშრომლებ, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსიაო“.

ყოველივე ზემოთ თქმულს სერიოზული ანალიტიკოს-პოლიტოლოგები იმთავითვე გარკვეული სკეფსისით შეხვდნენ და, როგორც აღმოჩნდა, არცთუ უსაფუძვლოდ. თავად განსაჯეთ — ახლო წარსულში არაერთხელ გვსმენია, რომ ჩვენი დასავლელი „მოკავშირეები“ მიესალმებიან საქართველოს დიალოგს რუსეთთან თუ პირდაპირ სოხუმ-ცხინვალთან. კვირიკაშვილის მიმართვის შემდეგ, როდესაც ბევრს ეგონა, რომ, ბოლოს და ბოლოს, დაიწყებოდა პირდაპირი დიალოგი სოხუმ-ცხინვალთან, აი რას აცხადებენ დასავლელი ექსპერტ-პოლიტიკოსები: აშშ-ის ყოფილი ელჩი უკრაინასა და უზბეკეთში — **ჯონ ჰერბსტი** „ამერიკის ხმასთან“ ამბობს, რომ „სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მთავრობები არალეგიტიმური ფორმირებებია. ლეგიტიმური ერთეულის მხრიდან არალეგიტიმურ ფორმირებებთან შეხვედრა კი, როგორც წესი, არალეგიტიმურ მხარეს მხოლოდ აძლიერებს“.

„საქართველო დიდ რისკზე მიდის ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლებისთვის კონფლიქტის სრულუფლებიანი მონაწილეების სტატუსის მინიჭებით. ამისთვის მთავრობას ძალიან კარგი მიზეზი უნდა ჰქონდეს. საქართველო დელიკატური პრობლემის წინაშე დგას“, — განაცხადა ჯონ ჰერბსტმა.

ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში — **კენეტ იალოვიცი**, თავის მხრივ, ამბობს, რომ, პირდაპირი დიალოგის დაწყების ნაცვლად, თბილისმა ოკუპირებულ რეგიონებთან ხალხთაშორისი არაოფიციალური ურთიერთობა უნდა გააღრმაოს. მისი აზრით, ოფიციალური კონტაქტის რისკი აღიარების მინიშნებაა.

**როგორ ჰგავს ამ დასავლელი არამკითხე მოამბეების რიტორიკა მათი ფავორიტი ნაცმაცუნების რიტორიკას, არა?**

ამ აზრთა ფრქვევის დედააზრი, გნებავთ, რეზიუმე, საქართველოსთვის განკუთვნილი გზავნილია: ერთი ადგილი დააყენეთ, ძია სემმა იცის, რა და როდის სჭირდება საქართველოსო. აკი დააყენა კიდეც კვირიკაშვილმა ან, გნებავთ, დააყენებინეს, რასაც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს კიდევ ერთი განცხადების შემდეგ, რომელიც მან აშშ-ის ელჩ **იან კელისთან** გამოსამშვიდობებელ მიღებაზე გააკეთა: „საქართველოს მთავრობისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორობა უმაღლესი პრიორიტეტია. ამ თვალსაზრისით, გასული წელი განსაკუთრებით აღსანიშნავი და სამაგალითო იყო. საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების გაღრმავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აშშ-ის ელჩმა იან კელიმ, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდი. ელჩი კელი საქართველოში დიპლომატიურ საქმიანობას ასრულებს და სამშობლოში ბრუნდება. მე მას წარმატებებს ვუსურვებ. ვიმედოვნებ, იან კელი და მისი მეუღლე ფრანჩესკა კიდევ არაერთხელ ეწვევიან საქართველოს, როგორც ჩვენი ქვეყნის მეგობრები. ჩვენ მათ ყოველთვის სიხარულით ვუმასპინძლებთ. **საქართველო იყო, არის და იქნება აშშ-ის ერთგული სტრატეგიული პარტნიორი“.**

იქნებ ვინმემ დააკავშიროს ერთმანეთთან ეს განცხადება და რუსეთის ხელისუფლებისადმი მიმართვა? დიამეტრულად საპირისპიროს ერთმანეთთან დაკავშირება შეუძლებელია. ორივე განცხადების ანალიზიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთი სავარაუდო დასკვნის გამოტანა შეგვიძლია:

**გიორგი კვირიკაშვილი ან ვერ არის ჯანმრთელად, ან უარესი — მისი მიმართვა რუსეთის ხელისუფლებისადმი იმთავითვე ბლეფი იყო. სწორედ ამან გამოიწვია ზემოხსენებულ პოლიტოლოგების სკეფსისი.**

მოცემულ კონტექსტშია განსახილველი პრეზიდენტ **მარგველაშვილის** დემარში-ვიზიტიც (თუ ასე შეიძლება თქმა), ანუ ქოცებთან შეუთანხმებელი ვიზიტი აშშ-ში, სადაც იგი საქართველოსთვის, როგორც სახელმწიფოსთვის, შეურაცხმყოფლად დაბალ დონეზე მიიღეს — ეს ერთი. და მეორე — მარგველაშვილმა რამდენიმე მასპინძელ კონგრესმენს სთხოვა, აშშ-ის კონგრესს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ნატოსკენ სწრაფვის მხარდამჭერი კიდევ ერთი რეზოლუცია მიეღო, რათა **საქართველომ უკეთ შეძლოს** (ყურადღება, სკამიდან არ გადმოვარდეთ) **აშშ-ის ინტერესების დაცვა კავკასიის რეგიონში(?!).**

**გაიგეთ, ხალხო? საქართველოს, უკაცრავად და, პრეზიდენტი ამბობს, რომ იგი, საქართველოს კი არა, აშშ-ის ინტერესებს იცავს. ასევე იქცეოდა სააკაშვილი — აშშ-ის ინტერესებს იცავდა ყველგან, მაგრამ იმის ჭკუა კი ჰყოფნიდა ამ შიზოიდს, რომ მსგავსი რამ ხმამაღლა არ განეცხადებინა.** ჭკუა, როგორც ჩანს, იმ ტელევიზიასაც (არ მახსოვს, რომელი არხი იყო) ეყო, რომლის ეთერშიც ეს ამბავი ვნახე, რადგან შემდგომ ვეძებე და ვერსად ვიპოვე; ეტყობა, გააქრეს და ამიტომ სიტყვაზე უნდა მენდოთ, მკითხველო... ყოველივე თქმულ-ნანახ-გაგონილიდან გამომდინარე, ყველა ქართველისთვის შეურაცხმყოფელი დასკვნის გაკეთება მოგვიწევს, რომელსაც პრემიერ კვირიკაშვილის ნათქვამის მცირე პერიფრაზი მოუხდება:

საქართველო იყო, არის და იქნება აშშ-ის ერთგული სტრატეგიული მონა.

დასასრულ, არ შეიძლება, არ შევეხოთ ბოლო ხანს მიმდინარე პროცესებისა თუ მოვლენების კვინტესენციას — პარლამენტში ნაც-ქოცების მიერ ერთხმად მიღებულ ე.წ. რეზოლუციას რუსეთის წინააღმდეგ და ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიას...

საკმაოდ ვრცელ დოკუმენტს რამდენიმე ნაწილად დავყოფდი:

**1. შესავალი — თუ რას, რომელ საერთაშორისო აქტებს ეყრდნობა ხსენებული, ანუ საზოგადოებისთვის შედარებით უინტერესო;**

**2. საქართველო გმობს და მოითხოვს;**

**3. საქართველო ვის სთხოვს...**

პირველზე არაფერს ვიტყვი. აი, მეორე ყველაზე საინტერესოა: საქართველო, ტატუნაშვილისა და ოთხოზორიას მკვლელობის გარდა, ბევრ რამეს გმობს და ყველაზე მთავარს რუსეთისგანვე მოითხოვს:

„შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, მათ შორის, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, აიღოს საერთაშორისო ვალდებულება ძალის არგამოყენების შესახებ, შეწყვიტოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის უკანონო ოკუპაცია და გააუქმოს გადაწყვეტილება საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარების შესახებ“.

აი, ასე! თურმე ტყუილად ჩაუწვენიათ აფხაზეთისა თუ ცხინვალის მიწაში ქართველი ტალიკ-ტალიკი ბიჭები, რადგან ერთი მკაცრი რეზოლუციის მიღება და მისი შესრულების მკაცრად მოთხოვნა რუსეთისთვის, ამ ყველაფრის მონიტორინგის დასავლეთისთვის (წაიკითხე, აშშ) თხოვნა და... ეგ არის!

მაგრამ მგონია, **თხოვნა-მოთხოვნის ადრესატები აერიათ ნაც-ქოცებს, რადგან მოთხოვნებს, ულტიმატუმებს რომ არ ექვემდებარება რუსეთი და, მით უმეტეს ახლა, ვლადიმერ პუტინის ტრიუმფით არჩევის შემდეგ, არ დაექვემდებარება, ამის მიხვედრა რთული საქმეა?!**

საქართველოს ხელისუფლებას ჰგონია, რომ რუსეთის პრეზიდენტად უზნეო **ქსენია სობჩაკია** არჩეული და, მხოლოდ სოხუმ-ცხინვალს კი არა, თუ მკაცრად მოვთხოვთ, სოჭსაც დაგვიბრუნებენ ქართველებს, იქით უკრაინელებს — ყირიმს. სერიოზულად კი, რუსეთმა უკვე უპასუხა კავკასიიდან მისკენ მიმავალ საფრთხეებს. **რუსეთს იმიერ კავკასიაში უზარმაზარი სამხედრო ძალა შემოჰყავს ჩვენთვის ავადსახსენებელი 58-ე არმიის სახით. მოდერნიზებული, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი არმია, რომლის ერთი ნაწილი საქართველოდან დასავლეთით, განლაგდება, ხოლო მეორე — თბილისის ჩრდილოეთით, მოზდოკსა და ვლადიკავკაზში.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოში ერთდროულად ორი მხრიდან — აფხაზეთიდან და როკის გვირაბიდან შემოვლენ რუსული ტანკები.

რუსული საინფორმაციო საშუალებები წერენ, რომ ეს ყველაფერი მიმართულია ნატოსგან მომდინარე საფრთხეების შესაკავებლად.

ეს — ჩვენი ნატოფილების საყურადღებოდ, ინფორმაცია განსჯისთვის...

**დავით მხეიძე**

**P.S. აშშ-ის ტელესივრცეში აჩვენებენ პოპულარულ ტელესერიალს Madam secretary. ამ სერიალში აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ერთ-ერთ სერიაში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ესაუბრება აფხაზეთის პრეზიდენტ ლაკობას დაემუქრება რომ, თუ ის არ შეწყვეტს პედერასტების შევიწროებას, აშშ აფხაზეთს შეუწყვეტს პოლიტიკურ-ეკონომიკურ დახმარებას.**

**ეს კი, როგორც იტყვიან, უკომენტაროდ!**

**„ჯერ მიიღეს გარკვეული კანონები და საზოგადოებას ამშვიდებდნენ, რომ არანაირი მზაკვრობა, ამორალურობა ამაში არ იყო ჩადებული, შემდეგ ნელ-ნელა ამოქმედდა პროპაგანდა, რომელიც გათვლილია კიდევ სხვა კანონების მიღებისთვის ნიადაგის შესამზადებლად და ახლა უკვე დაუფარავად მიდის პროვოკაციები. პროვოკაციებში ვგულისხმობ იმას, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და რესპუბლიკური პარტია, ასევე, გარკვეული ორგანიზაციები ყველანაირად ცდილობენ საზოგადოების გაღიზიანებას“.**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# მამა ათანასე (ხაბეიშვილი): პროვოკაციების სამიზნეა არა მხოლოდ პატრიარქი და ეკლესია, არამედ მრევლიც

## «ლგბტ-ებზე ცუდის თქმა დისკრიმინაციაა და მართლმადიდებლობის შეურაცხყოფა — სიტყვის თავისუფლება?!»

**საქართველოს საპატრიარქოს მიერ რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული განცხადება გარკვეული ძალების მხრიდან ეკლესიის გაყოფისა და დაპირისპირების გაჩენის მცდელობაზე პირდაპირ მინიშნებებს შეიცავდა. ამით საპატრიარქომ მიმდინარე პროცესებს, ფაქტობრივად, უპრეცედენტოდ მწვავე შეფასება მისცა და პატრიარქის ავტორიტეტით შეშფოთებული დასავლური ძალები სამღვდელოების წინააღმდეგ მიმართულ ფარულ ქმედებებში ამხილა.**

**როგორც ჩანს, დასავლური „ულტრალიბერალური“ პროპაგანდა საქართველოში მართლაც გადამწყვეტი ანტიმართლმადიდებლური შეტევისთვის ემზადება და საბერძნეთის, სერბეთის ან თუნდაც უკრაინის მსგავსად აქაც ეკლესიის გაყოფის ნაცად ხერხს მიმართავს. ამისთვის იგი უკვე აქტიურად იყენებს იმ პროდასავლური სასულიერო პირების მრავალრიცხოვან ბანაკსაც, რომელიც დაუფარავად ამბობს, რომ საქართველოს ნატოს იქით გზა არ აქვს, ხოლო ევროკავშირი, თავისი კულტურული ფასეულობებით, ჩვენი ისტორიული არჩევანია.**

**ცნობისთვის: პროდასავლურად განწყობილი სასულიერო პირები უკვე დაუფარავად აკრიტიკებენ დასავლეთისადმი სკეპტიკურად განწყობილ მაღალ იერარქებს, რომლებსაც ოდესმე პირდაპირ გამოუთქვამთ კრიტიკული აზრი საქართველოს ევროატლანტიკურ ორიენტაციაზე, დაუგმიათ და მკაცრად შეუფასებიათ დასავლური თანამედროვე „დემოკრატიული“ სტანდარტები...**

**რეალურია დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაყოფისა და გახლეჩვის საფრთხე? რა სახის კამპანიით შეიძლება, ამის განხორციელება სცადოს „ლიბერალურმა“ პროპაგანდამ და არის თუ არა მზად თვით სამღვდელოება ან საპატრიარქო ამ პროცესისთვის?**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება წმინდა თეოდორე ტირონის ეკლესიის წინამძღვარი მამა ათანასე (ხაბეიშვილი).**

**— მამაო, საპატრიარქო, ისევე, როგორც სამღვდელოების დიდი ნაწილი, ყოველთვის ერიდება რადიკალურ განცხადებებს, თუმცა ბოლო განცხადებას, რომელიც საზოგადოებას დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა გააცნო, კონკრეტული ადრესატები ჰყავდა. განცხადება შეიცავდა მინიშნებებს ეკლესიის გახლეჩვის, მასში განხეთქილების გაჩენის მცდელობაზე...**

— სანამ ამ განცხადებასა და საფრთხეებზე ვისაუბრებთ, მინდა, გაგახსენოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განცხადება, რომელიც საპატრიარქომ შარშან, პატრიარქის აღსაყდრების 40 წლის იუბილის დღეს, გააკეთა. მასში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ყოველთვის მიდიოდა ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, მაგრამ 2017 წელს ამ ბრძოლამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. 2018 წლის 14 მარტს კი გავრცელდა ძალიან მწვავე მამხილებელი განცხადება და მასში უკვე პირდაპირ დასახელდა კონკრეტული ძალა, რომელიც მუდმივად აპელირებს საპატრიარქოს დაფინანსების, ჯიპებისა და სხვადასხვა სასულიერო პირის ქონების თემით, ანუ იმ სუბიექტების მხილება, იქნება ეს პოლიტიკური პარტია თუ ორგანიზაცია, რომლებსაც ეკლესია ჰყავთ მიზანში ამოღებული, უკვე კარგა ხანია, დაიწყო. შეგახსენებთ, აგრეთვე, საპატრიარქოს განცხადებას „რუსთავი 2“-ის მკრეხელურ სიუჟეტზე, რომელშიც საუბარია მორწმუნე საზოგადოების გრძნობების შეურაცხყოფასა და ღვთის გმობის გამოვლინებაზე, რომელიც თავისი უტიფრობით, სარკაზმითა და ცინიზმით უკვე ღია გამოწვევად იქცა საზოგადოებისთვის. სხვათა შორის, „რუსთავი 2“-ის დირექტორმა **ნიკა გვარამიამ**, რომელიც თავს პატრიარქის მრევლად მოიხსენიებდა, ერთ-ერთ გადაცემაში ვერ დამალა თავისი ღვარძლი ამ განცხადებაზე საუბრისას, ვინაიდან „ნამეტნავისაგან გულისა იტყვის პირი“, და მას სამარცხვინო განცხადება უწოდა. გარდა ამისა, ზოგჯერ ჩვენ ვხედავთ მართლმსაჯულების ორმაგ სტანდარტებს. კონკრეტულად რას ვგულისხმობ: **როდესაც ადამიანები გამოხატავენ პროტესტს თავიანთი რელიგიის, რწმენის შეურაცხყოფის გამო, მათ სასამართლო ციხეში უშვებს; ხოლო, როდესაც ნაციონალები ტეხენ ჩხუბს და ხდება თავდასხმა ვილაცებზე, მართლმსაჯულება, ფაქტობრივად, არ რეაგირებს. ჩნდება შეკითხვა: ხომ არ გვაქვს საქმე მიკერძოებულ, გარკვეული ძალების მიერ მართულ, მარიონეტულ სამართალთან? რომელიმე საელჩოდან ხომ არ რეკავენ და მათი მითითებების შესაბამისად ხომ არ წყდება, ვინ დაიჭირონ, ვინ — არა?** ეს შეკითხვები ლოგიკურად ჩნდება: რა ხდება, შერჩევითი სამართალია? რის მიხედვით უშვებენ ადამიანებს ციხეში — დანაშაულის სიმძიმის თუ ვინ რა იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის წარმომადგენელია?

**«როდესაც ადამიანები გამოხატავენ პროტესტს თავიანთი რელიგიის, რწმენის შეურაცხყოფის გამო, მათ სასამართლო ციხეში უშვებს, ხოლო, როდესაც ნაციონალები ტეხენ ჩხუბს და ხდება თავდასხმა ვილაცებზე, მართლმსაჯულება, ფაქტობრივად, არ რეაგირებს. ჩნდება შეკითხვა: ხომ არ გვაქვს საქმე მიკერძოებულ, გარკვეული ძალების მიერ მართულ, მარიონეტულ სამართალთან? რომელიმე საელჩოდან ხომ არ რეკავენ და მათი მითითებების შესაბამისად ხომ არ წყდება, ვინ დაიჭირონ, ვინ — არა?»**

**— დღევანდელი ჩვენი საზოგადოება, მრევლი, სამღვდელოება არის მზად, ადეკვატურად შეაფასოს ეკლესიის გახლეჩვისკენ მიმართული მადისკრედიტებელი კამპანია?**

— დავიწყოთ იმით, რომ ეს კამპანია სიახლე არ არის. სპექტელევიზია „რუსთავი 2“ (ასე ვეძახი მე ამ ტელეკომპანიას), უკვე დიდი ხანია, ამას ცდილობს. მაგალითად, დასავლეთისადმი პოზიტიურად განწყობილ ერთ-ერთ ეპისკოპოსს ის ეპისკოპოსად მოიხსენიებს, ხოლო დასავლეთის ნეგატიური მხარეების მამხილებელ დეკანოზ **დავით ისაკაძეს** — უბრალოდ, სახელითა და გვარით. მეტიც — ამ მათთვის მიუღებელი, დასავლეთის მანკიერი მხარეების მაკრიტიკებელი სასულიერო პირების ქადაგებიდან იღებენ რაღაც მომენტებს, გლეჯენ კონტექსტიდან და ისე აწყობენ, რომ მერე ამაზე ატრიალებენ კამპანიას. ვიღაცას აკერებენ იარლიყს, რომ თითქოს რუსული პროპაგანდის გამტარებელია, ვიღაცას პირდაპირ კრემლის აგენტობაში სდებენ ბრალს და ა.შ. თუმცა ეს კიდევ ყველაფერი არ არის, ისინი ხშირად იწვევენ ხოლმე ეთერში სასულიერო პირებს იმ ნიშნით, ვინ პროდასავლურია, ვინ — არა და ეკითხებიან, რა აზრის არიან სასულიერო პირებზე, რომლებიც დასავლეთს აკრიტიკებენ, ანუ დაუფარავად ცდილობენ, რომ სასულიერო პირები ერთმანეთს დაუპირისპირონ და ამის შემდეგ დისკუსია დაიწყოს არა ეკლესიასა და მასთან დაპირისპირებულ ანტიმართლმადიდებლურ ძალებს შორის, არამედ სასულიერო პირებს შორის.

რაც შეეხება ბრალდებებს ანტიდასავლური განწყობების გაღვივებაზე, **დღეს გარკვეულ ძალებს ძალიან უნდათ, ეს „გარემოება“ (პროდასავლურობა და ანტიდასავლურობა) ერთგვარი წყალგამყოფი გახდეს სამღვდელოებაში**, მაგრამ ფაქტია, თანამედროვე დასავლურ „ლიბერალურ“ იდეოლოგიას უსაფუძვლოდ არავინ აკრიტიკებს. აქ საუბარია იმაზე, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის, მადლობა ღმერთს, მიუღებელია მორალურ პრინციპებს დაცილებული სტანდარტების დანერგვა. საუბარია იმაზე, რომ მიუღებელია უზნეობის შემოტანისა და ნორმად დამკვიდრების ნებისმიერი მცდელობა, მათ შორის, საკანონმდებლო დონეზე. ახლა რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, დასავლეთი მომახვევს ამ უზნეობას თავს, ჩრდილოეთი თუ სამხრეთი? საიდანაც არის საფრთხე სიბინძურის შემოდინების, მის მიმართ კრიტიკულად ვიქნები განწყობილი. ეს ისეა, როგორც ორჯერ ორი ოთხი, და ეკლესია ამხელს ყოველთვის მანკიერ მხარეს.

**„რუსთავი 2“ უკვე ზიზღს იწვევს საზოგადოებაში...**

**— ზღვარგადასული „ლიბერალური“ პროპაგანდა ასევე იწვევდა ზიზღს სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებშიც, მაგალითად, სერბეთში, საბერძნეთში, მაგრამ ანტიმართლმადიდებლურმა ძალებმა მიზანს მაინც მიაღწიეს: ეკლესია გახლიჩეს, მათთვის სასურველი „ლიბერალური“ კანონები მიიღეს...**

— სხვათა შორის, საბერძნეთი ახსენეთ და, 1981 წელს, როცა ეს ქვეყანა ევროკავშირში შევიდა, დაახლოებით 700 საწარმო ჰქონდა, დღეს ყველა პრივატიზებულია. ნაწილობრივ ამან გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკის დაცემა და კრიზისი. ახლა — როგორ მიაღწია იქ პროპაგანდამ თავის მიზანს: ჯერ კიდევ 1994 წელს **ბერი პაისი ათონელი** ამხელდა იმ უზნეობას, რომელიც მოსალოდნელი იყო დასავლეთიდან, მაგრამ იმხანად საზოგადოება ამას ვერ აღიქვამდა ისე, როგორც საჭირო იყო. მერე და მერე ქვეყანა აღმოჩნდა ფაქტის წინაშე, როცა მიიღეს უზნეობის დამცველი კანონები, როცა დადგა ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების დაკანონების საკითხი და პირდაპირ, დაუფარავად დაიწყო ღვთის გმობა. ზუსტად იგივე პროცესი მიდის დღეს საქართველოშიც: **ჯერ მიიღეს გარკვეული კანონები და საზოგადოებას ამშვიდებდნენ, რომ არანაირი მზაკვრობა, ამორალურობა ამაში არ იყო; შემდეგ ნელ-ნელა ამოქმედდა პროპაგანდა, რომელიც გათვლილია კიდევ სხვა კანონების მიღებისთვის ნიადაგის შესამზადებლად და ახლა უკვე დაუფარავად მიდის პროვოკაციები. პროვოკაციებში ვგულისხმობ იმას, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და რესპუბლიკური პარტია, ასევე, გარკვეული ორგანიზაციები ყველანაირად ცდილობენ საზოგადოების გაღიზიანებას.** პროვოკაციაა ის, რომ ჟურნალისტი გამოდის და უფალს შეურაცხყოფს, პროვოკაციაა, როცა პრეზერვატივზე გამოსახეს ადამი და ევა, ქართვლის დედა და გააკეთეს წარწერა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია; პროვოკაციაა, როცა წინა ხელისუფლების წარმომადგენელი გამოდის და საპატრიარქოს განცხადებას ცინიკურად უწოდებს **ნანა კაკაბაძის** დაწერილს. ეს ყველაფერი რაზეა გათვლილი, აშკარაა...

**— რაზეა?**

**— ამ პროვოკაციების სამიზნეა არა მხოლოდ ეკლესია, არამედ მისი მრევლიც და გათვლა კეთდება სწორედ მრევლის გაღიზიანებაზე. შემდეგ, როცა ეს გაღიზიანებული, შეურაცხყოფილი მრევლი ქუჩაში გამოვა პროტესტის გამოსახატავად, „რუსთავი 2“ იტყვის, რომ ეს ადამიანები მოძალადეები არიან და „სიტყვის თავისუფლებას“ ებრძვიან. იმას კი არ იტყვის, რამ გამოიწვია პროტესტი, როგორ შეურაცხყვეს ეს ხალხი და მათი რწმენა...**

**— ლიბერალების „არგუმენტი“ ამ საკითხზე ასეთია: რელიგიური გრძნობები, როგორც ასეთი, არ არსებობს და არარსებულის შეურაცხყოფა შეუძლებელია...**

— და ვინმემ **კესარიაზე** რომ თქვას რამე ცუდი, რა მოხდება? თუ ოდესმე კანონი ან კონვენცია მიუღიათ ამ თემაზე, ყველაფერს ერთად ამოგილაგებენ. რა გამოდის? **ლგბტ-ებზე ცუდის თქმა დისკრიმინაციაა და მართლმადიდებლობის შეურაცხყოფა — სითვის თავისუფლება?!** როდესაც ღმერთს გმობს ადამიანი და ამას შეგნებულად აკეთებს, არ უნდა შეფასდეს მისი საქციელი შესაბამისად?! კიდევ ვიმეორებ: ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ გარკვეულ ძალებს სურთ, მორწმუნე ადამიანები მოძალადეებად წარმოაჩინონ. ამისთვის შეიძლება ხელოვნურადაც მოაწყონ რაღაც ძალადობა და ამით მათთვის სასურველი პრეცედენტი შექმნან. საერთოდ, დღეს მოსალოდნელია ყველანაირი პროვოკაცია ეკლესიის წინააღმდეგ და ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი, საპატრიარქოს განცხადებაშიც აღნიშნულია. ამიტომ უნდა იყოს ფრთხილად მრევლი და არ აჰყვეს არანაირ პროვოკაციას, თორემ თავიანთი პროპაგანდით მიზანს თუ მიაღწიეს, მერე ჩათვალეთ, რომ გზა ხსნილი აქვთ ყველაფრისკენ, მათ შორის, რეპრესიების დაწყებისკენაც, როგორც მრევლის, ისე ეკლესიისა და სრულიად საზოგადოების წინააღმდეგ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ქრონიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ის ადამიანები, რომლებსაც „რუსეთუმეებს“ უწოდებენ, რატომ არიან გაცილებით ნორმალური, ჰუმანური, დალაგებული, ვიდრე ნატო-ამერიკისა და დემოკრატიული დასავლეთის ფანატიკოსები?

**„ვოტ ნემეცკი მალჩიკ, სტრელიაი!“ — გიორგი მახარაშვილის ეს შეძახილი ფილმში „ჯარისკაცის მამა“ ყველას გვახსოვს. „სასტიკი და მკვლელი საბჭოთა სისტემაც“ კი, როგორც მას ახლა მოიხსენიებენ, გვმოძღვრავდა, რომ ბავშვი ბავშვია, თუნდაც მტრის შვილი იყოს, და მას არ უნდა შეეხოს ომისა და დაუნდობლობის უმკაცრესი განაჩენი.**

## თბილისის მერიის თანამშრომელი კემეროვოში ბავშვების ცოცხლად დაწვით ხარობს

ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ფილმში მოქმედება ხდება XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, არ იყო ჩამოყალიბებული „საერთაშორისო წითელი ჯვარი“ და ჯერ კიდევ არ იყვნენ შეთანხმებული სახელმწიფოები, რომ საომარ ვითარებაში დაჭრილებს, ტყვეებსა და ბავშვებს ჰუმანურად უნდა მოეპყრან. მიუხედავად ამისა, ყველამ ისედაც, თავისთავად, ბუნებრივად იცოდა ეს და ამიტომაც უპასუხებს შერცხვენილი რუსი „სალდათი“ ჯარისკაცის მამას მოთხოვნაზე, გერმანელ ბავშვს ესროლეო — „ჩტო ია, ფაშისტ ჩტო ლი?!“ და თავდახრილი უბრუნდება თავის ტანკს.

ნამდვილად არ ვდებ თავს იმაზე, რომ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ან მის მოკავშირეთა არც ერთ ჯარისკაცს გერმანელი ბავშვი არ მოუკლავს. ომი ომია და ომის დროს ყველაფერი ხდება, ყველაზე წარმოუდგენელი სისასტიკეც კი. აქ საუბარი მხოლოდ იმაზეა, საჯაროდ რას მოგვიწოდებდა და რას გვიქადაგებდა „სასტიკი საბჭოური პროპაგანდა“, თანაც ომიანობის პერიოდში.

ანუ, ამით იმის თქმა მსურს, რომ **თუნდაც ფიქრობდეს რომელიმე კონკრეტული ადამიანი ან სახელმწიფო, ან რომელიმე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია ასე არაადამიანურად, იმდენი ტვინი მაინც უნდა ეყოს, ეს საჯაროდ არ გაამჟღავნოს, მით უფრო — მშვიდობიანობის დროს და მით უფრო მაშინ, როდესაც ბავშვები, ბრძოლის ველზე ან ტანკებით გადათელილ სოფელში კი არა, კინოს ყურებისას, კარჩარაზულ სავაჭრო ცენტრში იწვიან ცოცხლად და გარეთ მყოფთ მათი გადარჩენის არანაირი შანსი არ აქვთ.**

* „რუსი ღორების შვილები ამოიწვნენ და ამოიბუგნენ — ეს რა ბედნიერი დილა გამითენდა!“

* „ღმერთი ანიშნებს მაგ დამპლებს, რომ დროა, შეჩერდნენ, თორემ აი, მასეთ ცეცხლში ამოიწვება ყველა!“

* „ყველაზე კარგი რუსი ცოცხლად შემწვარი და შებოლილი რუსია!“

* „მივუსამძიმრო კი არა, იქ რომ ვყოფილიყავი და ნავთი მქონოდა, მთელ ცისტერნას მივასხამდი!“

ეს არის მცირე ნაწილი იმ შემაძრწუნებელი „ფეისბუკპოსტებისა“, რომლებსაც სოციალური ქსელის ქართველი მომხმარებლების ნაწილი აქვეყნებდა რუსეთის ქალაქ კემეროვოში მომხდარ სულისშემძვრელ ტრაგედიაზე. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ყველაზე მსუბუქი შეფასებებია მათ შორის, რასაც ეს არაადამიანები წერდნენ...

ამის გამეორებისა და გამოქვეყნების გამოც მკითხველს ბოდიშს ვუხდით. აი, დანარჩენს კი, ნორმალური ადამიანი, არათუ იფიქრებს და იტყვის, ვერც კი გაიმეორებს.

ამ მასშტაბის ტრაგედიაზე მსგავსი საუბარი თავისთავად საშინელებაა, რა თქმა უნდა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი კატასტროფაა ის, რომ „ფეისბუკზე“ ასე „მპოსტველებს“ შორის წამყვან ადგილზეა, როგორც სოციალურ ქსელში წერენ, „ქართული ოცნების“ აქტივისტი, **კახა კალაძის** საარჩევნო შტაბის ყოფილი წევრი, თბილისის მერიის ამჟამინდელი თანამშრომელი **ქეთი ლაგვილავა.**






**საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს ამ უტიფარი და უწიგნური ადამიანის სასწრაფოდ გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან. წესით, კალაძეს არც უნდა დასჭირდეს საზოგადოების მოთხოვნა, ეს ისედაც უნდა გააკეთოს, თუკი თავმოყვარეობა აქვს, მაგრამ ამის იმედი ნაკლებად გვაქვს... თუმცა იმის იმედიც ნაკლებად გვაქვს, რომ კალაძემ ეს გადაწყვეტილება თუნდაც საზოგადოების ზეწოლის შედეგად მიიღოს...**

იმ პოსტებს შორის, რომლებსაც შეძრწუნებული ქართველი მკითხველი ე.წ. სქრინების სახით ავრცელებს და აღშფოთებას ვერ მალავს, — აი, ასეთი არაადამიანები სად იბადებიანო, შეიძლება ითქვას, ლიდერობს ქეთი ლაგვილავას პოსტები. ეს ქალი 26 და 27 მარტს ლამის ყოველ წუთს ახალ-ახალ პოსტებს აქვეყნებდა ამ უმძიმესი ტრაგედიის თემაზე და ყოველი მომდევნო პოსტი უფრო და უფრო ამაზრზენი და გულისამრევი იყო... ყურადღება მიიქცია მისმა ბოლო პოსტმა, სადაც ის წერს, რომ ასეთი არაადამიანური აზრები მხოლოდ იმიტომ აფრქვია, თითქოს „მეგობრების გაფილტვრა-გამოხშირვა“ სურდა და სინამდვილეში მასაც ეცოდება დაღუპული ბავშვები... აქ ყველაზე ამაზრზენი სწორედ ის არის, რომ ამ ქალს ეს თავის მართლება ჰგონია. როგორც ჩანს, მერიაში, ალბათ, პირადად კახა კალაძემ მისცა შენიშვნა და ამ ყოვლად ტუტუცმა ქალმაც ასეთი „საინტერესო“ თავის მართლება მოიგონა — თურმე, „მეგობრებთან ურთიერთობის გარკვევის მიზნით“ დაღუპულ და ცოცხლად დამწვარ ბავშვებზე ქილიკი, მათთვის „დამწვარი ღორების“ წოდება და ტრაგედიის შედეგად გარდაცვლილთა ლანძღვა-გინება მიღებული ამბავი ყოფილა და ამ „არგუმენტის“ გამოყენება თავის გამართლების მიზნით სულაც არ არის პრობლემა.

პირდაპირ ვიტყვი: **საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს ამ უტიფარი და უწიგნური ადამიანის სასწრაფოდ გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან. წესით, კალაძეს არც უნდა დასჭირდეს საზოგადოების მოთხოვნა, ეს ისედაც უნდა გააკეთოს, თუკი თავმოყვარეობა აქვს, მაგრამ ამის იმედი ნაკლებად გვაქვს... თუმცა, იმის იმედიც ნაკლებად გვაქვს, რომ თუნდაც საზოგადოების ზეწოლის შედეგად მიიღოს კალაძემ ეს გადაწყვეტილება...**

დასასრულ, თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო ერთ საინტერესო გარემოებას და ერთი რიტორიკული კითხვაც დაგისვათ: **ის ადამიანები, რომლებსაც „რუსეთუმეებს“ უწოდებენ, რატომ არიან გაცილებით ნორმალური, ჰუმანური, დალაგებული, ვიდრე ნატო-ამერიკისა და დემოკრატიული დასავლეთის ფანატიკოსები?**

კი ბატონო, მესმის, რომ საკითხი — საქართველო ე.წ. რუსულ ორბიტას უნდა დაუბრუნდეს თუ ამერიკული წნეხის ქვეშ იცხოვროს, არ არის მარტივი გადასაწყვეტი და ამას დიდი სჯა-ბაასი და დებატები სჭირდება, ამ კითხვაზე პასუხს არც ვითხოვ, მე მხოლოდ იმას გეკითხებით, აი თუნდაც ყველაზე თავგადამკვდარი „პუტინისტისგან“ მაინც თუ გსმენიათ ან წაგიკითხავთ ფრაზები: „აუ, რა მაგარია, ამერიკელები 11 სექტემბერს რომ ცოცხლად ამოიწვნენ ტყუპ ცათამბჯენში!“, „ვაიმე, როგორ მესიამოვნა კუნძულ უტოიაზე მანიაკმა **ბრეივიკმა** ახალგაზრდულ ბანაკში შეკრებილი 70 სოროსელი სტუდენტი რომ ამოხოცა!“... მსგავსი რამ ამ „საზიზღარი რუსეთუმეებისგან“ ვინმეს სმენია? მე ასეთი ტრაგედიებისას „პრორუსების“ მხოლოდ მისამძიმრება და თანაგრძნობა წამიკითხავს...

მაშ, რატომ ხდება, რომ დემოკრატიული და თავისუფალი დასავლეთის მეხოტბეები, ფაქტობრივად, ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტობის კანდიდატ სისხლიან მანიაკებს გვაგონებენ, ხოლო „პირსისხლიანი რუსეთის“ მიმართულებით მომზირალნი, მათთან შედარებით, ღირსეული, დალაგებული და ადეკვატური აზროვნების მქონე ადამიანები არიან?

როგორც უკვე გითხარით, შეკითხვა რიტორიკულია.

**ბაკურ სვანიძე**

# მასტერკლასი ჟურნალისტებისთვის

**მრავალპროფილიანმა ახალი ამბების სააგენტო Sputnik-მა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ჟურნალისტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამა დაიწყო — SputnikPro. მასტერკლასი 20 მარტს თბილისში, საერთაშორისო სააგენტო და რადიო „Sputnik-საქართველოს“ მულტიმედიურ ცენტრში, რუსმა მედიამენეჯერებმა ქართული უწყებების პრესსამსახურებისა და საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელებისთვის გამართეს.**

მედიამენეჯერებმა ქართველ ჟურნალისტებს თანამედროვე მულტიმედიური საინფორმაციო სააგენტოების სტანდარტები და ტექნოლოგიები გააცნეს. მასტერკლასზე საინფორმაციო სააგენტო „როსია სეგოდნიას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე **ნატალია ლოსევამ** თანამედროვე მედიასივრცეში მიმდინარე ცვლილებებსა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„მე, როგორც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგმა, ვიცი, რომ სახელმძღვანელოები ვერ ეწევა იმ ცვლილებებს, რომლებიც მასმედიაში ხდება. სახელმძღვანელოები და ქრესტომათიები ლამის გამოცემისთანავე ძველდება, ამიტომ ვფიქრობ, რომ ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანია“, — განაცხადა ლოსევამ „Sputnik-საქართველოსთან“ ინტერვიუში.

Sputnik-ის ახლო საზღვარგარეთისა და ბალტიის ქვეყნების მულტიმედიური ცენტრების დირექტორის მოადგილე **მარინა პერეკრესტოვას** თქმით, პროექტის საპილოტე ვერსია შარშან დეკემბერში აზერბაიჯანში ამოქმედდა, რის შემდეგაც მისი გავრცობა გადაწყდა.

„ჩვენი კოლეგები მზად არიან, მიგვიღონ, მოგვისმინონ, კითხვები დაგვისვან. ამიტომ გადავწყვიტეთ, თემა დიდ პროექტში გადაგვეყვანა“, — აღნიშნა პერეკრესტოვამ.

ქართველი ჟურნალისტებისთვის „ფეიკურ“, ანუ ცრუ ახალ ამბებთან ბრძოლის მასტერკლასი საინფორმაციო სააგენტო „როსია სეგოდნიას“ მრჩეველმა **სვეტლანა ბაბაევამ** ჩაატარა.

ბაბაევას განმარტებით, ფეიკური ახალი ამბები და სოციალურ მედიაში დეზინფორმაციის გავრცელება მკითხველის შეცდომაში შეყვანისა და ფინანსურ-პოლიტიკური გამორჩენის მიღების მიზნით, ერთ-ერთ პრობლემად რჩება.

„როცა, მიუხედავად პოლიტიკური სირთულეებისა, კოლეგა ჟურნალისტები ურთიერთობენ და ერთმანეთს მოსაზრებებს უზიარებენ, ეს შესანიშნავია. ამაშია იმის საფუძველი, რომ ყველა სირთულე გადაილახება“, — აღნიშნა ბაბაევამ მასტერკლასის დასასრულს.

ბოლო მასტერკლასი ბილდრედაქტორებისა და ფოტოგრაფებისთვის „როსია სეგოდნიას“ ონლაინგამოცემის ფოტოსამსახურის ოპერატიული ილუსტრირების განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილემ **სვეტლანა სვიაზოვამ** ჩაატარა, რომელიც საავტორო უფლებებს ეხებოდა.

მასტერკლასის პირველი სერია მინსკში ჩატარდა, მეორე — თბილისში, საიდანაც მედიამენეჯერები ერევანში გაემგზავრნენ.

**მოამზადა**
**სოფიო კაკაჩიამ**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**არის ერთი გარემოება, რომელიც ამ მიმართულებით მთავრობის კრიტიკას აფერხებს — დანაშაულის ზრდაზე საუბარი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთ-ერთი საყვარელი თემაა. თავის მონოლოგებში ისინი სიტუაციას ისე წარმოაჩენენ, თითქოს სააკაშვილის დროს დანაშაული საერთოდ არ ხდებოდა, ხოლო შსს გესტაპოს ფუნქციებს არ ითავსებდა. ბუნებრივია, ყველას როდი სურს, რომ ხელისუფლება მათთან უნისონში გააკრიტიკოს და ნაცების (ან ნეონაცების) გვერდით თუნდაც ამ ფორმით გამოიხატოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ დროს გაღიზიანება ქრება, პირიქით — ის გროვდება და შეიძლება მოულოდნელად ამოხეთქოს.**

# რატომ ვერ ჭამა სამართალმა პური?



**თითქმის ყოველკვირა, „ჩვეულებრივ“ დანაშაულთან ერთად, საქართველოში ხდება ერთი ან რამდენიმე რეზონანსული შემთხვევა, რომელიც შეახსენებს საზოგადოებას, რომ ის უსაფრთხო გარემოში არ ცხოვრობს, მეტიც: უბიძგებს, დაასკვნას, რომ სიტუაცია უარესდება. გასულ კვირას განსაკუთრებული ყურადღება ბიზნესმენ ნუგზარ კახიძის მკვლელობამ მიიპყრო, აგრეთვე, კახეთში მომხდარმა ფაქტმა, შვილმა 91 წლის დედა ნაჯახით რომ მოკლა. ხშირად დეტონატორის როლს საზოგადოებრივი აზრისთვის მეუღლეების კონფლიქტის შედეგად მომხდარი ტრაგედია ასრულებს. დარწმუნებულები ვართ, რომ სახელმწიფოში რაღაც უნდა გაუმჯობესდეს, თუმცა, როგორც წესი, ვერ ვაყალიბებთ, რას მოვითხოვთ კონკრეტულად.**

პარადოქსულია, მაგრამ საქართველო უსაფრთხო ქვეყნების რეიტინგში საკმაოდ კარგ, ხშირად კი შესანიშნავ პოზიციებს იკავებს. ამავე დროს, მოსახლეობა აშკარად უკმაყოფილოა, ქვეყანაში დანაშაულის ზრდასა და ქაოსზე საუბრობს. სტატისტიკა კი უარესდება — 2017 წელს დანაშაული 2016 წელთან შედარებით 5,4%-ით გაიზარდა (37 944 და 35 997 შესაბამისად). **შსს-ს მონაცემებით, 2016-ში გაიხსნა რეგისტრირებული დანაშაულის 57,4%, ხოლო 2017-ში — 53,4%. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ 11,9%-ით გაიზარდა, ჯანმრთელობის წინააღმდეგ — 14,8%-ით, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ 23,2%-ით** და ა.შ. შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილს, რომლის ხელმძღვანელობის პერიოდში მაჩვენებლები ასე შეიცვალა, მორიგი საკადრო კარუსელის დროს მადლობა გადაუხადეს, პრემიერმინისტრის თანაშემწედ და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნად დანიშნეს. მან საგანგებო სიტუაციების მართვის ახალ ცენტრს უნდა უხელმძღვანელოს.

„ქართული ოცნების“ გულშემატკივრები ხშირად ამბობენ, რომ ახალ მინისტრ გიორგი გახარიას, რომელსაც ზოგი მათგანი მომავალ პრემიერმინისტრად თვლის, მუშაობა უნდა ვაცალოთ და არ გავაკრიტიკოთ, თუმცა ამ მორატორიუმის გონივრული ვადები, ალბათ, უკვე ამოიწურა. არის მონაცემები, რომლებიც 2017 და 2018 წლის იანვრის შედარების შესაძლებლობას გვაძლევს. დანაშაული გაიზარდა 22,98%-ით (4410 და 3586 შემთხვევა შესაბამისად), ხოლო გახსნის მაჩვენებელი 38,48%-დან 29,52%-მდე შემცირდა. სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული 39,62%-ით გაიზარდა (222 და 159 შემთხვევა), გახსნის პროცენტი 9,43-დან 5,41-მდე შემცირდა. იმატა ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულმა დანაშაულმა. ეს იანვრისთვის ყველაზე ცუდი მაჩვენებლებია მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა.

**საქართველოში ყველა დანაშაული როდი რეგისტრირდება. მაგალითად, ღამით მანქანებიდან ნაწილების მოხსნა ლამის ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა, მაგრამ მძღოლების დიდი ნაწილი პოლიციას არ მიმართავს; თუნდაც ავიღოთ ჯიბის ქურდობისა და სხვა „შედარებით მსუბუქი“ დანაშაულის შემთხვევები. ამასთანავე, საზოგადოება ტრადიციულად ნაკლებ ყურადღებას აქცევს ციფრებს და მით უმეტეს დათვლის ან კვლევების ჩატარების მეთოდოლოგიას და, ძირითადად, საკუთარი დაკვირვებითა და შეგრძნებებით ხელმძღვანელობს. მოქალაქეების უმრავლესობა მიუთითებს იმაზე, რომ კრიმინოგენული ფონი გაუარესდა, ხოლო ფსიქოლოგიური დამძიმდა.**

**არის ერთი გარემოება, რომელიც ამ მიმართულებით მთავრობის კრიტიკას აფერხებს — დანაშაულის ზრდაზე საუბარი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთ-ერთი საყვარელი თემაა. თავის მონოლოგებში ისინი სიტუაციას ისე წარმოაჩენენ, თითქოს სააკაშვილის დროს დანაშაული საერთოდ არ ხდებოდა, ხოლო შსს გესტაპოს ფუნქციებს არ ითავსებდა. ბუნებრივია, ყველას როდი სურს, რომ ხელისუფლება მათთან უნისონში გააკრიტიკოს და ნაცების (ან ნეონაცების) გვერდით თუნდაც ამ ფორმით გამოიხატოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ დროს გაღიზიანება ქრება, პირიქით — ის გროვდება და შეიძლება მოულოდნელად ამოხეთქოს.**

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ბევრს ერთადერთ შესაძლებელ ტაქტიკად პოლიციური ტერორის გაძლიერება მიაჩნია. ნაწილი უკვე თანახმაა, მას დაუჭიროს მხარი, ნაწილი კი — ორჭოფობს. ალბათ, ეს გზა საზოგადოებასა და ქვეყანას ისევ კრიზისამდე მიიყვანს, როგორც სააკაშვილის მმართველობის წლებში მოხდა, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ხელისუფლება საზოგადოებას ალტერნატიულ მეთოდებზე ძალიან იშვიათად და ჩუმად ესაუბრება. დისკუსია შსს-ს რეფორმასა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე პრაქტიკულად არ მიმდინარეობს.

საერთოდ, სხვა ღარიბ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს მდგომარეობა არც ისე ცუდია, მაგრამ ის თანდათან უარესდება. ამასთანავე, სულ უფრო ხშირია ისეთი დანაშაული, რომლის დროს უაზრო სისასტიკე ვლინდება — მრავლობითი ჭრილობებით, მსხვერპლის სასტიკი ცემით ან წამებით და ა.შ.

**საინტერესოა, რომ ევროპის საბჭოს ანგარიშის თანახმად, საქართველოში 2015 წელთან შედარებით პატიმრების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ ჩვენ პირველ ადგილზე ვართ ევროპაში პატიმრების რაოდენობით (256,3) 100 ათას მოსახლეზე.**

კამათი ამ თემაზე, როგორც წესი, ზოგადი დასკვნით სრულდება, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს: სანამ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა, დიდად არაფერი შეიცვლება და ხელისუფლებას შეუძლია მხოლოდ უმნიშვნელოდ დაწიოს დანაშაულის დონე მკაცრი, ხანდახან კი სასტიკი მეთოდების გამოყენებით. ამ დროს, როგორც წესი, გვავიწყდება სხვა ფაქტორები — კანონის უზენაესობა და საზოგადოების შეუწყნარებლობა დანაშაულის მიმართ.

როდესაც მოქალაქე ხედავს, რომ ვიღაცას მილიონების მოპარვა შერჩა, ხოლო მკვლელი ციხიდან მალევე გამოვიდა, ის არ მოითხოვს ქათმის ან ჯართის ქურდის მკაცრ დასჯას; მეტიც: საკუთარ (და მით უმეტეს ნათესავის) დანაშაულს გამართლებას გაცილებით იოლად მოუძებნის. სისტემა, რომელშიც ადამიანის პასუხისმგებლობა ჩადენილ დანაშაულზე მისი სოციალური სტატუსის მიხედვით იცვლება, არსებითად ფეოდალურია.

ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ საზოგადოება ამას შეეგუა, თუმცა ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ სანდრო გირგვლიანის საქმე, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს ძალიან ძვირი დაუჯდა, და მისი მკვლელების (თუ მათი მფარველების) დასჯის მოთხოვნა, რომელმაც უამრავი ადამიანი გააერთიანა. მართალია, თავიდან პროტესტი არც ისე მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ თანდათან გაფართოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები მოჰყვა, სისტემურ დანაშაულში ჩართული მაღალჩინოსნები რეალურად არ დასჯილან. ხელისუფლებამ არ შექმნა პრეცედენტი, რომელიც მომავალში შეიძლება მის წინააღმდეგ გამოიყენონ. თუ, მიხეილ სააკაშვილის გარდა, რომელსაც (ალბათ, უფრო სიმბოლურად) 3 წელი მიუსაჯეს, ამ საქმეში დამნაშავე სხვა არავინ იყო?

საზოგადოებამ ძალიან მძიმედ აღიქვა 51-ე სკოლის მოსწავლეების მკვლელობა. თუ გადავხედავთ ამ საქმესთან დაკავშირებულ ბოლო დროინდელ პუბლიკაციებს და კომენტარებს სოციალურ ქსელებში, ვნახავთ, რომ უმრავლესობას ერთი თემა აერთიანებს — დამნაშავეებმა კანონის სრული სიმკაცრით შეიძლება პასუხი არ აგონ, კავშირებმა და ფულმა შეიძლება მდგომარეობა არსებითად შეცვალოს. ეს მოლოდინი შეიძლება უსაფუძვლო გამოდგეს, მაგრამ მისი გაჩენა სავსებით ლოგიკურია, რადგან მსგავსი რამ არაერთგზის მომხდარა.

**როდესაც ელიტა, რომელიც ქვეყანას უსამართლობაში აცხოვრებს, რიგითი მოქალაქეებისგან პატრიოტიზმისა და დისციპლინის გამოვლენას ან თუნდაც სამართალდამცველებთან თანამშრომლობას მოითხოვს, სერიოზულ გაღიზიანებას იწვევს. ზოგიერთი კომენტატორი წერს, რომ ქართველებს რაღაც მენტალური პრობლემები აქვთ, რომელთა გამო დანაშაულთან ბრძოლის საქმეში სახელმწიფოსთან არ თანამშრომლობენ, მაგრამ პრობლემა, სავარაუდოდ, ისაა, რომ მათ არ სურთ თანამშრომლობა არა სახელმწიფოსთან ზოგადად, არამედ უსამართლო, ძირგამომპალ სახელმწიფოსთან.** სიცილიელების უმრავლესობა არ თანამშრომლობდა მუსოლინის ფაშისტურ დიქტატურასთან, რომელიც მაფიას ებრძოდა, და არც კორუმპირებულ ხელისუფლებებთან ომის შემდეგ, მაგრამ, როგორც კი დაინახეს, რომ სახელმწიფო გაჯანსაღდა და საქმეში ობიექტური მოსამართლეები, უშიშარი პოლიციელები და პროკურორები ჩაერთნენ, მაფიისგან დისტანცირება და სახელმწიფოს მხარში დგომა დაიწყეს. სიცილიაში მაფიის სოციალურმა და ფსიქოლოგიურმა (რაც, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია) ბაზამ შემცირება დაიწყო. შესაცვლელი კვლავინდებურად ბევრია, თუმცა ამ პროცესის ტემპი იზრდება.

**ყველა პარალელი, რა თქმა უნდა, პირობითია, თუმცა ორგანიზებული (ისევე, როგორც წვრილმან) დანაშაულის მიმართ სააკაშვილი ცდილობდა, მოქცეულიყო, როგორც მუსოლინი, ხოლო დღევანდელი ხელისუფლება — როგორც ომის შემდგომი იტალიის კორუფციასა და ნეპოტიზმში ჩაფლული, მნიშვნელოვანწილად მაფიასთან შერწყმული მთავრობები. ცხადია, ეს იმ პერიოდის ყველა იტალიელ პოლიტიკოსს როდი ეხება, იქ მნიშვნელოვანი, ჩვენთვის ნამდვილად შესაშური გამონათებებიც იყო. საზოგადოებამ იცის, რომ ორივე მიდგომა მანკიერია, მაგრამ ვერ პოულობს გზას, რომელიც განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანს, როგორც ეს იტალიის შემთხვევაში მოხდა. სავარაუდოდ, სწორედ მაშინ გახდება საზოგადოება შეუწყნარებელი დანაშაული მიმართ (წვრილმანი ქურდობა იქნება თუ ბიუჯეტიდან მილიონების დატაცება) და შეხედავს მას, როგორც ერთგვარ ატავიზმს. ალბათ, მხოლოდ მაშინ მოხდება პრინციპული ცვლილებები არა მხოლოდ შსს-ს სტატისტიკაში, არამედ ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში.**

**დიმიტრი მონიავა**

**როდესაც ელიტა, რომელიც ქვეყანას უსამართლობაში აცხოვრებს, რიგითი მოქალაქეებისგან პატრიოტიზმისა და დისციპლინის გამოვლენას ან თუნდაც სამართალდამცველებთან თანამშრომლობას მოითხოვს, სერიოზულ გაღიზიანებას იწვევს. ზოგიერთი კომენტატორი წერს, რომ ქართველებს რაღაც მენტალური პრობლემები აქვთ, რომელთა გამო დანაშაულთან ბრძოლის საქმეში სახელმწიფოსთან არ თანამშრომლობენ, მაგრამ პრობლემა, სავარაუდოდ, ისაა, რომ მათ არ სურთ თანამშრომლობა არა სახელმწიფოსთან ზოგადად, არამედ უსამართლო, ძირგამომპალ სახელმწიფოსთან**

საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართული მარშის“ წევრებს შეეძლოთ, ავტომობილის მინები ჩაემსხვრიათ, გაბუნია გადმოეთრიათ და გასწორებოდნენ, მაგრამ ეს არ გააკეთეს. ამის მიუხედავად, სამართალდამცველების მიერ დაკავებული „ქართული მარშის“ ექვს წევრს სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯა.**

# საქართველოში ვინმეს ოდესმე გაუბედავს, მართლმადიდებლობის გარდა, სხვა რელიგიის დაცინვა? გაბუნიას პირიდან ოდესმე მოგისმენიათ მუსლიმანების ან იუდეველების მიმართ ქილიკი?

**2015 წლის 7 იანვარს ფრანგულ ყოველკვირეულ სატირულ ჟურნალ „შარლი ებდოს“ შეიარაღებული პირები დაესხნენ თავს და 12 ადამიანი იმსხვერპლეს, მათ შორის, 5 კარიკატურისტი. მუსლიმანურმა სამყარომ „შარლი ებდოს“ მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნება არ აპატია. გამოცემის მთავარ რედაქტორ სტეფან შარბონიეს (ცნობილია ფსევდონიმით შარბი) „ალ ქაიდა“ მანამდეც თვალყურს ადევნებდა, ამიტომ მას სპეციალურად მიჩენილი პოლიციელი იცავდა. სხვათა შორის, ტერაქტამდე შარბი წერდა, რომ მისთვის სულერთია, მოკლავენ თუ არა, და ურჩევნია, მოკვდეს ფეხზე მდგომი, ვიდრე დაჩოქილი. თავდასხმა არც დანარჩენი ოთხი სატირიკოსისთვის — კაბიუსთვის, ვოლინსკისთვის, ონორესა და ვერლაკისთვის ყოფილა მოულოდნელი. სიკვდილს ისინიც ელოდნენ, ანუ მათ იცოდნენ, რომ თავიანთ ნამოქმედარზე პასუხს მოსთხოვდნენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, აკეთებდნენ იმას, რასაც საჭიროდ თვლიდნენ. სხვათა შორის, ამის შემდეგ „შარლი ებდომ“ გამოაქვეყნა 3 წლის სირიელი დამხრჩვალი ბავშვის კარიკატურა, რომელმაც მსოფლიო შეძრა...**



ორი კვირის წინათ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა **გიორგი გაბუნიამ** განაცხადა: „მე ვფიქრობ, რომ იესო ქრისტემ საშინელი შეცდომა დაუშა, როდესაც 2000 წლის წინ ისრაელში მოვიდა. უნდა მოსულიყო აჭარაში და ჯვარზე კი ვეღარ გააკრავდნენ, იმიტომ, რომ ხე აღარ იქნებოდა დარჩენილი და ამ დროისთვის ბიძინას ეზოში იქნებოდა გადატანილი ყველა ხე. ასე იცოცხლებდა იესო ღრმა სიბერემდე, მთავარია, სადმე ბიძინასთვის არ გადაეკვეთა გზა ან უარესი — მის ეზოში არ დაეწყო ქადაგება, თორემ იგივენაირად დაასრულებდა, როგორც 2000 წლის წინ, ან უარესად...“

ამის შემდეგ „ქართული მარშის“ წევრები პასუხის მოსათხოვად ტელეკომპანიის შესასვლელთან დახვდნენ გაბუნიას, მაგრამ ის ტელევიზიის იურისტის, **თამთა მურადაშვილის,** ავტომობილში ჩაიკეტა და იქიდან მისი გამოყვანა არ მოხერხდა. დიახ, არ მოხერხდა, რადგან „ვერ“ ამ ვითარების შეუსაბამო სიტყვაა. **„ქართული მარშის“ წევრებს შეეძლოთ, ავტომობილის მინები ჩაემსხვრიათ, გაბუნია გადმოეთრიათ და გასწორებოდნენ, მაგრამ ეს არ გააკეთეს. ამის მიუხედავად, სამართალდამცველების მიერ დაკავებული „ქართული მარშის“ ექვს წევრს სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯა.**

„მე არ ვარ კრიმინალი. მე პოლიტიკოსი ვარ. შეიძლება ჩემი გამოსვლები ხისტი იყოს, მაგრამ საფრთხეს არ წარმოვადგენ. ჩემი ქმედება, დგომისა და ფანჯარაზე დაკაკუნების გარდა, არაფერი იყო. „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ხელიც კი მკრა და ახლა ტვინის შერყევა მაქვს. მე ოჯახი მყავს და ნუ იზამთ, ბატონო მოსამართლე, ისე, რომ ახალგაზრდა პოლიტიკოსების ბედი ციხეში გადაწყდეს“, — განაცხადა „ქართული მარშის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **ლადო სადღობელაშვილმა** სასამართლოზე, მაგრამ ბატონმა მოსამართლემ მისი სიტყვები არ გაითვალისწინა და ლადო, ხუთ თანამოაზრესთან ერთად, ციხეში გაისტუმრა. ამის შემდეგ, „ქართული მარშის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, **სანდრო ბრეგაძემ,** საპატრიარქოს მიმართა: მართლმადიდებლობის დასაცავად ხმის ამაღლების სანაცვლოდ ბიჭებს ციხეში ალპობენ და ხმა აღიმაღლეთო, მაგრამ საპატრიარქოდან ჯერჯერობით ჩამიჩუმი არ ისმის. სამაგიეროდ, ორმა სასულიერო პირმა, ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტმა **იობმა** და მიტროპოლიტმა **სერაფიმემ** შეაჩვენეს და ანათემაზე გადასცეს მართლმადიდებლობის მტრები, რაც პირადად მათი დამოკიდებულებაა მიმდინარე მოვლენებზე.

**გიორგი გაბუნია** მოწამეობრივ სიკვდილზე რომ არ ფიქრობს, ცხადზე უცხადესია. ის არც **სტეფან შარბონიესავით** იტყვის: მირჩევნია მოვკვდე ფეხზე მდგომი, ვიდრე დაჩოქილიო. სხვაგვარად რომ იყოს, გაბუნია **მურადაშვილის** მანქანაში არ ჩაიკეტებოდა, გადმოვიდოდა და თავის ნათქვამზე პასუხს აგებდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ის ავტომობილიდან არ გადმოვიდა და ისტერიკულად რეკავდა ხან საპატრულოში, ხან ტელეკომპანიაში — არიქა, მიშველეთო! ისე, **გაბუნიამ ისიც თქვა: ბოდიშს არ მოვიხდიო და დასძინა, ჩემი მეგობრის, თამთა მურადაშვილის, მანქანა დააზიანესო. იმაზე კი არაფერი უთქვამს „რუსთავი 2“-ის ვარსკვლავბიჭუნას, მურადაშვილის ავტო შიგნიდანაც რომ დაზიანდა და იქ დაყენებული სუნის გამო ქიმწმენდაშია დღემდე. სუნი ვინც დააყენა, კი მიხვდებით...**

იცით, რა მაინტერესებს: **რატომ არის გაბუნიას გინება დანაშაული, ხოლო მილიონობით მორწმუნის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ნორმა?! რეალურად, გაბუნიამ ხომ სრულიად საქრისტიანო შეურაცხყო, თანაც ისე ცინიკურად, რომ, გინებას კი არა, პანღურსაც იმსახურებდა (ახლა არ თქვათ, ძალადობისკენ მოუწოდებო), მაგრამ არა — სასამართლომ „ქართული მარშის“ წევრების გინება გაიგო, გაბუნიას უტიფარი ქილიკი — ვერა.**

გინებას გავყვეთ და მეორე კითხვა დავსვათ: რატომ არის პრემიერმინისტრისგან გინება ნორმა და რიგითი მოქალაქეებისგან დანაშაული? თანაც, თუ გახსოვთ, პრემიერ **კვირიკაშვილის** გინება **ნიკანორ მელიასაძმი** მუქარის ელემენტებსაც შეიცავდა, ანუ პრემიერი ხომ დასარტყმელად იწევდა (დაცვა აკავებდა) და თან ემუქრებოდა: კეთილებს „მოგიკითხავო“... მაგრამ პრემიერი არავის დაუსჯია, მით უმეტეს, „კეთილებში“ ბევრი ადამიანი იგულისხმება. აი, გაბუნიას კი მხოლოდ დედას აგინებდნენ. ანუ პრემიერ კვირიკაშვილის მხრიდან ჯგუფურ მუქარაზე კეთდებოდა აქცენტი, აქ კიდევ — მხოლოდ ერთ პიროვნებაზე, მაგრამ სასამართლომ ესეც არ გაითვალისწინა.

ახლა რაც შეეხება რელიგიურ გრძნობებს. ვინმემ გამახსენებთ, საქართველოში ვინმეს ოდესმე გაუბედავს, რომელიმე რელიგიის წარმომადგენლების გრძნობების დამცირება? **საქართველოში ვინმეს ოდესმე გაუბედავს, მართლმადიდებლობის გარდა, სხვა რელიგიის დაცინვა? გაბუნიას პირიდან ოდესმე მოგისმენიათ, მაგალითად, მუსლიმანების ან იუდეველების მიმართ ქილიკი? გაბუნიამაც და მართლმადიდებლობის შეურაცხყოფაზე დაგეშილმა სხვა ადამიანებმაც ზუსტად იციან, რომ, მუსლიმანების ან იუდეველების დაცინვის შემთხვევაში, შეიძლება ვილაცამ ყელი გამოსჭრას ან უკეთეს შემთხვევაში ვირის აბანოში უკრას თავი. ჰოდა, სადაც გასდით, იქ „ხუმრობენ“.**

**გაბუნიამაც და მართლმადიდებლობის შეურაცხყოფაზე დაგეშილმა სხვა ადამიანებმაც ზუსტად იციან, რომ მუსლიმანების ან იუდეველების დაცინვისთვის შეიძლება ვილაცამ ყელი გამოსჭრას ან, უკეთეს შემთხვევაში, ვირის აბანოში უკრას თავი. ჰოდა, სადაც გასდით, იქ «ხუმრობენ»**

რა მივიღეთ რეალურად გაბუნიას თავხედობით? არც არაფერი — საპატრიარქოს განცხადება, რომელმაც დიპლომატიურ სტილში გააპროტესტა მოსმენილი, სოციალურ ქსელებში — გაბუნიას გინება, მოწოდება იმისკენ, რომ „რუსთავი 2“ დასახურია (ესეც სოცქსელებში) და „რუსთავი 2“-ის დირექტორ **ნიკა გვარამიას** მიერ გაბუნიასთვის გამოცხადებული საყვედური, რომელმაც ამ საყვედურის შემდეგ თავხედურად განაცხადა: ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ, რადგან ვთვლი, რომ საბოდიშო არაფერი მაქვსო, ანუ იმის **ვარაუდი, რომ საპროტესტო აქციის შემდეგ გაბუნია რამეს მიხვდა და მოინანია, სისულელეა. პირიქით, მისგან ახალ გამოხდომებს უნდა ველოდოთ, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა მისი სიმშვიდის დარღვევისთვის, ექვსი კაცი 5-წლიანი სასჯელისთვის არის გამზადებული.**

„ქართული მარშის“ წევრები რომ არ მიიმალებოდნენ, ეს ყველაზე კარგად მოსამართლემ იცოდა. მოსამართლემ ისიც იცოდა, რომ დაკავებულები არ იყვნენ კრიმინალები, მაგრამ მან პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო და ამით საზოგადოებას პირდაპირი მესიჯი გაუგზავნა: არაფერი გააპროტესტოთო. ანუ, რეალურად, ამ ნაბიჯით, **ხელისუფლებამ საპროტესტო მუხტის ჩაკვლა გადაწყვიტა და ეს არ ეხება მხოლოდ მართლმადიდებლობას.** ხელისუფლებამ ყველაზე კარგად იცის, რომ საზოგადოებაში საპროტესტო მუხტი არსებობს და, თუ ვინმეს რაიმე სურვილი ჰქონდა, ახლა კარგად დაფიქრდება, სანამ ქუჩაში გამოვა და რამეს გააპროტესტებს. **უკვე გაცხადებულია, რომ რადიკალური პროტესტი საქართველოში ისჯება და ისჯება ციხით. და ეს არის ხელისუფლების ნება, იმ ხელისუფლების, რომელიც სათავეში ყვარყვარეს ციხის არსებობის შემდეგ მოვიდა, პატიმრების ხარჯზე მოვიდა, პოლიტპატიმრების არსებობა აღიარა და ახლა იმავე გზით მიდის, რა გზითაც წინამორბედი მთავრობა დაამხო.**

ჯერჯერობით უცნობია, რას გადაწყვეტს საბოლოოდ მოსამართლე აღნიშნულ საქმეზე, მაგრამ რეალურად ეს არც არის მნიშვნელოვანი, მთავარი სახელმწიფოს მიდგომაა იმ პრობლემისადმი, რომელიც რეალურად არსებობს. **მართლმადიდებლობა, საქართველოს სახელმწიფო რელიგია, არაერთხელ ყოფილა თავდასხმის ობიექტი, მაგრამ ამის გამო არავინ დასჯილა. სამაგიეროდ, საკმარისია, ვინმემ ალმაცერად გაიხედოს სხვა ოფიციალური რელიგიისკენ ან არაოფიციალური სექტისკენ, მაშინვე ატყდება ხმაური და ადამიანთა უფლებების დამცველად გვევლინება არასამთავრობო სექტორიც და გაკონტროლებული მედიაც.** ახლა კი არასამთავრობოები დუმილს ინარჩუნებენ და, თუ ვინმე რამეს ამბობს, ისევ გაბუნიას დასაცავად: აქაოდა, სიტყვის თავისუფლება უნდა დავიცვათ და ადამიანებს უფლება მივცეთ, რაც სურთ, ის ილაპარაკონო. სხვათა შორის, ნიკა გვარამიამ გაბუნიას გამოხდომა „საინტერესოდ“ ახსნა: მთელმა კოლექტივმა ვიცით, რომ გიორგის ხუმრობა არ გამოსდის, არ ეხერხება, იუმორი არ აქვსო. **ეგ თუ იცით, რაღა ქრისტიანობაზე აძლევთ ხუმრობის უფლებას?! გვარამიაზე იხუმროს, თუ„ არ გამოუვა“, ეგებ „შეუვიდეს“ მაინც?! ახლა არ მითხრათ, რას ამბობ, მაგას როგორ აკადრებ გაბუნია-გვარამიასო... მერწმუნეთ, ხალხო, რასაც ეგენი აკადრებენ ერთმანეთს, მე იმის მეასედიც არ მიკადრებია...**

**ბესო ბარბაქაძე**

გაბუნიას განცხადებამ ერთგვარი მეხამრიდის როლი შეასრულა — მან არა მხოლოდ გააერთიანა ტელეკომპანიის გარშემო („ქართული მარშის“ წინააღმდეგ) მსხვილი არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი და ლიბერალური საზოგადოება, არამედ მისცა გვარამიას შესაძლებლობა, მორწმუნეთა გრძნობების დამცველად წარმოჩენილიყო (ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილება, აგრეთვე, ხაზგასმით კორექტული საუბარი პატრიარქზე). ყოველივე ეს შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური ფონის შემზადება დიდი საინფორმაციო შეტევის დაწყების წინ, რომლის ფარგლებში გაბუნია და მასთან დაპირისპირებული „მარშელები“ მთავარი მოქმედი პირები ნამდვილად არ იქნებიან.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მკრეხელობა თუ პროვოკაცია?

## საპატრიარქომ გაბუნიას სკანდალურ რეპლიკას «ღვთის გმობის გამოვლინება» უწოდა

**გასულ კვირას მკვეთრად დაიძაბა ურთიერთობა საზოგადოების კონსერვატიულ და ლიბერალურ ნაწილებს შორის. ამის მიზეზი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გარშემო განვითარებული მოვლენებია. ვის და რატომ აძლევდა ხელს დაძაბულობის ესკალაცია?**



ვითარება მას შემდეგ გართულდა, რაც 18 მარტს „რუსთავი 2“-ის წამყვანმა გიორგი გაბუნიამ ეთერში შემდეგი რამ თქვა: „ვფიქრობ, რომ იესო ქრისტემ საშინელი შეცდომა დაუშვა, როდესაც 2000 წლის წინათ ისრაელში მოვიდა. უნდა მოსულიყო აჭარაში და, ჯვარზე კი ველარ გააკრავდნენ, იმიტომ, რომ ხე აღარ იქნებოდა დარჩენილი და ამ დროისთვის ბიძინას ეზოში იქნებოდა გადატანილი ყველა ხე. ასე იცოცხლებდა იესო ღრმა სიბერემდე, მთავარია, სადმე ბიძინასთვის არ გადაეკვეთა გზა, ან უარესი, მის ეზოში არ დაეწყო ქადაგება, თორემ იგივენაირად დაასრულებდა, როგორც 2000 წლის წინ, ან უარესად“.

ამ განცხადების გამო ბევრმა მორწმუნემ თავი შეურაცხყოფილად იგრძო და ეს სოციალურ ქსელებში გამოხატა, ხოლო „ქართული მარშის“ წარმომადგენლებმა მომდევნო დღეს „რუსთავი 2“-ის შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს, სადაც სერიოზული დაპირისპირება მოხდა, როდესაც ისინი გაბუნიას ტელეკომპანიის შენობაში არ უშვებდნენ. სასამართლოს წინაშე აქციის 6 მონაწილე წარსდგა. მოსამართლე დავით კურტანიძემ გიორგი ონიანს, ლუკა ნაცვლიშვილს, მიხეილ ამისულაშვილს, ლადო სადღობელაშვილს, ირაკლი დოლენჯაშვილსა და ბექა რევაზიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა განუსაზღვრა. ონიანს ბრალად ედება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე, 126-ე და 239-ე მუხლების დარღვევა, ნაცვლიშვილს — 187-ე და 239-ე მუხლების, ხოლო ამისულაშვილს, სადღობელაშვილსა და დოლენჯაშვილს — 239-ე მუხლი („ა“ ქვეპუნქტი, „ჯგუფური ხულიგნობა წინასწარი შეთანხმებით“; ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით 180-დან 200 საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე).

19 მარტს, „რუსთავი 2“-ის დირექტორმა ნიკა გაბუნიამ არხის სახელით ბოდიში მოუხადა „ყველა იმ მორწმუნეს, ვისი გრძნობებიც უნებურად შეილახა ჩვენი ჟურნალისტის განცხადებებით, თუმცა ამ მორწმუნეებში არ ვგულისხმობ იმ ადამიანებს, ვინც დღეს აქ იყვნენ“. მან, აგრეთვე, თქვა, რომ ტელეკომპანიის ეთიკის საბჭომ გაბუნიას საყვედური გამოუცხადა და დასძინა, რომ გაბუნიას გადასაწყვეტია, მოიხდის თუ არა ბოდიშს. ამან „ქართული მარშის“ აქციის მონაწილეები არ დააკმაყოფილა, მათთან ერთად ადგილზე იმყოფებოდნენ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წარმომადგენლები და რამდენიმე მღვდელი. აქციაზე „რუსთავი 2“-ის დახურვის მოწოდება გაისმა.

**ამავე დღეს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ მიიღო განცხადება, რომლითაც „ქართული მარშის“ მოქმედება დაგმო და, ამასთანავე, მიესალმა ეთიკის საბჭოს მიერ გაბუნიასთვის საყვედურის გამოცხადებას, თუმცა მოგვიანებით ტექსტიდან ეს უკანასკნელი მონაკვეთი ამოიღეს. ხელმომწერებს შორის იყვნენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ და „საზოგადოება და ბანკები“. „აისფედმა“ თავისი ხელმოწერა სწორედ ეთიკის საბჭოსთან დაკავშირებული მონაკვეთის გამო გაიწვია. ამავე დღეს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეთა ქმედება დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა და მოუწოდა სამართალდამცველებს, ამაზე რეაგირება მოეხდინათ.** 20 მარტს კი საია-ს თავმჯდომარემ **სულხან სალაძემ** თქვა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში მოქმედებდა გადაცემის წამყვანი და იქ რაიმე ტიპის სანქციაზე საუბარი აბსოლუტურად მოკლებულია რეალურ საფუძველს“.

ბევრი მოქალაქე გიორგი გაბუნიასგან ბოდიშის მოხდას მოითხოვდა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც საპირისპიროსკენ მოუწოდებდა. ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი განცხადება კი 19 მარტს „ევროპული საქართველოს“ საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე **ოთარ კახიძემ** გააკეთა: „არ არსებობს რელიგიური გრძნობები. შესაბამისად, მათ ვერ შეურაცხყოფ. ამ ტერმინს იყენებს პუტინის რუსეთი, მისი ეკლესიით, და მუსლიმი ტერორისტები შიშისა და ტოტალიტარიზმის დასანერგად. ასევე მემარცხენე აქტივისტები და სხვადასხვა ჯიშისა და ჯურის ცენზორები გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად. წამყვანის უწყინარი (ან თუნდაც საწყენი) ხუმრობის გამო ბოდიშის მოხდა არასწორია, მით უმეტეს, მოძალადეთა მოვარდნის შემდეგ. ამით მკვიდრდება ცენზურა, ხდება ჟურნალისტების დემორალიზება, ხალისდება ძალადობა, გამარჯვებას ზეიმობენ პრორუსი ორკები, ზარალდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ქვეყანაში. გიორგი გაბუნია, არაფერი საბოდიშო არ გითქვამს, უკან არ დაიხიო!“.

20 მარტს გაბუნიამ ბოდიშის მოხდაზე უარი თქვა: „ვთვლი, რომ არავისთან საბოდიშო არ მაქვს. ვილაცისთვის, შესაძლებელია, ჩემი არსებობაც შეურაცხმყოფელია, ბოდიში ხომ არ უნდა მოვიხადო იმისთვისაც, რომ ვარსებობ?!“ — განაცხადა მან „რუსთავი 2“-ის ეთერში.

ამ დროისთვის საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ **კონფლიქტის მხარეები არა მხოლოდ განსხვავებულ პოზიციებს გამოხატავენ, არამედ სხვადასხვა განზომილებაში ცხოვრობენ და ერთმანეთის საერთოდ არ ესმით, შესაბამისად, კომპრომისი მათ შორის პრაქტიკულად გამორიცხულია.**

„უზნეო განცხადებები გაკეთდა სწორედ მიზანმიმართულად იმისთვის, რომ გამოხმაურება ყოფილიყო ასეთი, ამგვარი აგრესიული... მკრეხელობაზე აქ არ არის საუბარი. ვფიქრობ, აქ საუბარია გამიზნულ პროვოკაციაზე, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა სწორედ ასეთი ვითარება“, — განაცხადა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა **გია ვოლსკიმ**. მომხდარის შედეგად ნიკა გვარამიამ მიიღო „ქართული მარშის“ აქცია და ლიბერალური საზოგადოების მობილიზაცია ამ აქციის წინააღმდეგ და, ამავე დროს, ტელეკომპანიის გარშემო. თუ მიზანი ამ შედეგის მიღწევა იყო, საინტერესოა, რატომ დასჭირდა ეს გვარამიას სწორედ ახლა?!

გაბუნიასთან დაკავშირებულ სკანდალს უცნაური პრელუდია ჰქონდა. 13 მარტს გვარამიამ „ფეისბუკში“ შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: „ამ წუთას გამოვედი მატროსოვის ციხიდან. მისივე თხოვნით, ადვოკატის სტატუსით შევხვდი დეკანოზ მამალაძეს. ღრმა შოკში ვარ არა მარტო მოსმენილით, ცხოვრებაში პირველად 2 საათი ვესაუბრებოდი ნამდვილ მძევალს“ და დასძინა, რომ მამალაძის გასათავისუფლებლად ყველაფერს გააკეთებს.

მომდევნო დღეს, 14 მარტს, პატრიარქის მდივანმა მიქაელ ბოტკოველმა მედიას ოფიციალური განცხადება წარუდგინა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ არსებობს ინფორმაცია საპატრიარქოს წინააღმდეგ დისკრედიტაციის ახალი ტალღის მზადების თაობაზე.

15 მარტს გვარამია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მიიღო, 17 მარტს კი საპატრიარქომ შემდეგი განცხადება გააკეთა: „15 მარტს, ხუთშაბათს, შედგა „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის, ბ-ნ ნიკოლოზ (ნიკა) გვარამიას შეხვედრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან. სამწუხაროდ, იმ დღესვე გავრცელდა და „შაბათის კურიერის“ „პრომოშიც“ გამეორდა აზრი იმის შესახებ, თითქოს ეს შეხვედრა მოხდა მისი უწმინდესობის, ილია II-ის ინიციატივით, რაც არასწორია“. იქვე ნათქვამი იყო: „შევნიშნავთ იმასაც, რომ ბ-ნ ნ. გვარამიას მოსვლის მიზანი იყო, ეთქვა მისი უწმინდესობისათვის, რომ სურდა, ეთხოვა საქართველოს პრეზიდენტისთვის დეკანოზ გიორგი მამალაძის შეწყალების შესახებ, რადგან მას, როგორც იურისტს, მიაჩნია, რომ დეკანოზი ამას იმსახურებს. კათოლიკოს-პატრიარქმა უპასუხა, რომ მას მამა გიორგის დაჭერა არ მოუსურვებია და საქმის საგამოძიებო დეტალებიც არ იცის, ამდენად, მისი (ანუ ნ. გვარამიას) ნებაა, როგორ იმოქმედებს“.

**20 მარტს გავრცელებულ განცხადებაში კი საპატრიარქომ გაბუნიას სკანდალურ რეპლიკას „ღვთის გმობის გამოვლინება“ უწოდა.**

ამ ინფორმაციაში, აგრეთვე, გვარამიას ინტერვიუში ამ შეხვედრის თაობაზე ძალიან ცოტა კონკრეტიკაა. მიუხედავად ამისა, ფართოდ გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, რომ მან, სავარაუდოდ, მიიღო გარკვეული კომპრომატი სასულიერო პირების წინააღმდეგ. მისი წყარო უცნობია, თუმცა გამორიცხული არაა, რომ მამალაძესთან გვარამიას ბოლოდროინდელი დაახლოების გამო, ბევრმა მაყურებელმა იფიქროს, რომ ეს მასალები პატიმრობაში მყოფი დეკანოზისგან ან მასთან დაკავშირებული პირებისგან მიიღო, მაგრამ ამის დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობს.

თუ ეს ვარაუდი სიმართლეს შეესაბამება, მსგავსი მასალების მოუმზადებელი გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოებაში გავრცელდებოდა აზრი, რომ „რუსთავი 2“ ეკლესიას უპირისპირდება, რაც მრევლში მოწოდებული ინფორმაციისადმი ნდობას შეამცირებდა და ისინი ტელეკომპანიის მიმართ ნეგატიურად განეწყობოდნენ. **გაბუნიას განცხადებამ ერთგვარი მეხამრიდის როლი შეასრულა — მან არა მხოლოდ გააერთიანა ტელეკომპანიის გარშემო („ქართული მარშის“ წინააღმდეგ) მსხვილი არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი და ლიბერალური საზოგადოება, არამედ მისცა გვარამიას შესაძლებლობა, მორწმუნეთა გრძნობების დამცველად წარმოჩენილიყო (ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილება, აგრეთვე, ხაზგასმით კორექტული საუბარი პატრიარქზე). ყოველივე ეს შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური ფონის შემზადება დიდი საინფორმაციო შეტევის დაწყების წინ, რომლის ფარგლებში გაბუნია და მასთან დაპირისპირებული „მარშელები“ მთავარი მოქმედი პირები ნამდვილად არ იქნებიან.**

საგულისხმოა, რომ ამ დროისთვის თითქმის ყველას დაავიწყდა აჭარაში გაჩეხილი ხეები და ბიძინა ივანიშვილი, ხოლო პოლარიზაცია საზოგადოებაში გაბუნიას განცხადების გამო დაიწყო. ძნელი სათქმელია, იყო ეს შემთხვევითი თანმდევი ეფექტი თუ ყურადღების გადატანა განგებ მოხდა. ამჟამად ყველას მხოლოდ ის აინტერესებს, რით დასრულდება გაბუნიას განცხადებასთან დაკავშირებული დაპირისპირება, რომელიც, შესაძლოა, სხვა, გაცილებით დიდ და მნიშვნელოვან დაპირისპირებას ნიღბავს.

**ლუკა ნემსაძე**

მომხდარის შედეგად ნიკა გვარამიამ მიიღო «ქართული მარშის» აქცია და ლიბერალური საზოგადოების მობილიზაცია ამ აქციის წინააღმდეგ და, ამავე დროს, ტელეკომპანიის გარშემო. თუ მიზანი ამ შედეგის მიღწევა იყო, საინტერესოა, რატომ დასჭირდა ეს გვარამიას სწორედ ახლა?!

«სტრატეგიული პარტნიორი»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელი „ექსპერტების“ დამოძღვრას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირ დიალოგზე უარი უნდა თქვას, უსწრებდა ამერიკელი „მეგობრების“ პროპაგანდისტული აქტი — პოპულარულ ამერიკულ კინოსერიალში აფხაზეთის დამოუკიდებელ ქვეყნად მოხსენიება.**

**მას შემდეგ, რაც ენ-დი-აის კვლევამ დაადასტურა, რომ ნატოში საქართველოს შესვლის მსურველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, „სტრატეგიულმა პარტნიორებმა“ ამერიკული გავლენიანი კვლევითი ცენტრის, სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტ „ჰერიტეიჯ ფაუნდეიშენის“ ექსპერტ ლუკ კოფის პირით დაიწყეს ლაპარაკი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ გარეშე საქართველოს შესვლაზე, თანაც, ლუკ კოფის თქმით, „საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ სიხარულით მიიღებენ ნატოს წევრობის ამ კომპრომისულ ვარიანტს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ“...**

# ამერიკულ სერიალში აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ წარმოაჩინეს

## «სტრატეგიული პარტნიორი» მოგვიწოდებს, უარი ვთქვათ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე, «ისტორიულმა მეგობარმა» კი პომპეზურად აღნიშნა ართვინის გათავისუფლება ქართველი ოკუპანტებისგან






კადრები ამერიკული სერიალიდან „MADAM SECRETARY“

საქართველოს „სტრატეგიული პარტნიორის“ ინტერესს, ოღონდ საქართველოში თავისი სამხედრო ბაზები განალაგოს და აფხაზეთიცა და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ჭირსაც წაუღია, ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ხელისუფლებისადმი საქართველოს პრემიერმინისტრ **გიორგი კვირიკაშვილის** მიმართვა, რომელშიც საუბარია აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირი დიალოგის გამართვაზე.

„მზად ვართ ასევე, პირდაპირი დიალოგისთვის აფხაზებთან და ოსებთან და მისასალმებელი იქნებოდა ამ თვალსაზრისით რუსეთის მხარის რეალურად კონსტრუქციული მიდგომა. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებლად მიგვაჩნია სხვა გონივრული ნაბიჯების გადადგმაც“, — ნათქვამია კვირიკაშვილის მიმართვაში.

სწორედ აფხაზებსა და ოსებთან, აგრეთვე, რუსეთის ხელისუფლებასთან პირდაპირი დიალოგის გამართვამ შეაშფოთა საქართველოს „უპირველესი მეგობარი“ და „სტრატეგიული პარტნიორი“, აგრეთე, მისთვის ფინიასავით თვალებში შემყურე ე.წ. პოლიტელიტა და ატყდა აურზაური.

კვირიკაშვილის მიმართვას გამოეხმაურნენ ამერიკელი ექსპერტები და განაცხადეს, რომ პირდაპირი დიალოგის გამართვით ცხინვალისა და სოხუმის დე ფაქტო ლეგიტიმაციის საფრთხე შეიქმნება.

აშშ-ის ყოფილმა ელჩმა უკრაინასა და უზბეკეთში — **ჯონ ჰერბსტმა** „ამერიკის ხმასთან“ საუბრისას განაცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მთავრობები არალეგიტიმური ფორმირებებია. ლეგიტიმური ერთეულის მხრიდან არალეგიტიმურ ფორმირებებთან შეხვედრა კი, როგორც წესი, არალეგიტიმურ მხარეს მხოლოდ აძლიერებს. **საქართველო დიდ რისკზე მიდის ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლებისთვის კონფლიქტის სრულუფლებიანი მონაწილეების სტატუსის მინიჭებით.** ამისთვის მთავრობას ძალიან კარგი მიზეზი უნდა ჰქონდეს. საქართველო დელიკატური პრობლემის წინაშე დგას“.

ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში — **კენეტ იალოვიცი** კი ამბობს, რომ, პირდაპირი დიალოგის დაწყების ნაცვლად, თბილისმა ოკუპირებულ რეგიონებთან ხალხთაშორისი არაოფიციალური ურთიერთობა უნდა გააღრმავოს. მისი აზრით, ოფიციალური კონტაქტის რისკი აღიარების ნიშანია.

ამერიკელი „ექსპერტების“ დამოძღვრას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირ დიალოგზე უარი უნდა თქვას, უსწრებდა ამერიკელი „მეგობრების“ პროპაგანდისტული აქტი — პოპულარულ ამერიკულ კინოსერიალში აფხაზეთის დამოუკიდებელ ქვეყნად მოხსენიება.

აი ინფორმაცია, რომელიც imedinews.ge-მ გაავრცელა 21 მარტს და რომელზეც ე.წ. პროდასავლურ პოლიტიკურ პარტიებს კრინტი არ დაუძრავთ.

**„ამერიკულ სერიალში აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აჩვენეს“.**

CBS-ის პოპულარულ სერიალში Madam Secretary, მეოთხე სეზონის მე-14 სერიის ეპიცენტრში აფხაზეთი მოხვდა, თუმცა ის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ისე მოიხსენიეს. სერიალი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ისტორიას მოგვითხრობს და ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე მნიშვნელოვან აქცენტებს აკეთებს. ერთ-ერთი სერიის სიუჟეტი კეტ სანდოვალის (სარა რამირესი) გარშემო ვითარდება, რომელიც აფხაზეთში მცხოვრებ გეებს უსაფრთხო თავშესაფრის მოძებნაში ეხმარება. სერიაში ნაჩვენებია, როგორი შიშით უწევთ ცხოვრება სოხუმში მცხოვრებ ჰომოსექსუალებს და როგორ სასტიკად ექცევა მათ პოლიცია. ამ კონკრეტულ სერიას, რომელსაც Refugee ჰქვია, პირდაპირ ეთერში 5 მილიონზე მეტმა ადამიანმა უყურა“.

„სტრატეგიული პარტნიორი“ უკვე დაუფარავად მოგვიწოდებს, უარი ვთქვათ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე და შევიდეთ ნატოში, რომელსაც




ამა წლის 7 მარტს „ისტორიულ მეგობარ“ თურქეთში პომპეზურად აღნიშნეს „ქართველი ოკუპანტებისგან“ ართვინის გათავისუფლების 97-ე წლისთავი

საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განლაგება სურს და სულაც არ ანაღვლებს, რომ რუსეთის, ამ უდიდესი ბირთვული პოტენციალის მქონე ქვეყნის, სამიზნეში აღმოვჩნდებით.

თურქეთმა კი, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, „საქართველოს ისტორიულმა მეგობარმა“, 7 მარტს პომპეზურად აღნიშნა „ქართველი ოკუპანტებისგან“ ართვინის გათავისუფლების 97-ე წლისთავი.

აი ასე — „სტრატეგიული პარტნიორი“ მოგვიწოდებს, უარი ვთქვათ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთზე“ და მისი ინტერესების დასაცავად ამ ტერიტორიების გარეშე შევიდეთ ნატოში; „საქართველოს ისტორიული“ მეგობარი კი, რომელიც დიდგორის ველზე დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების აღნიშვნას გვიკრძალავს და რომელსაც ძირძველი ქართული მიწები დღესაც მიტაცებული აქვს, ოკუპანტებს გვიწოდებს.

**ნიკა კორინთელი**

# «შეუძლებელია საქართველოს ნატოში გაერთიანება ისე, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დროებით მაინც არ შეჩერდეს მე-5 მუხლის მოქმედება»



**ანდერს ფოგ რასმუსენმა, ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა 2009-2014 წლებში, განაცხადა, რომ შეუძლებელია საქართველოს ნატოში შესვლა ისე, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დროებით მაინც არ შეჩერდეს ალიანსის წესდების მე-5 მუხლის მოქმედება, რადგან, მე-5 მუხლის გაუვრცელებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, გაჩნდეს იმის საფრთხე, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები — აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი — დაიკარგოს.**

„ჩვენ არ ვაღიარებთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. ეს ტერიტორიები ოკუპირებულია. ასე რომ, შეუძლებელია საქართველოს ნატოში გაერთიანება ისე, რომ ამ ტერიტორიებზე დროებით მაინც არ გავრცელდეს მე-5 მუხლი. შეიძლება ვიდავოთ, რომ წარსულში არსებობდა მსგავსი პრეცედენტი და მაგალითად გერმანია მოვიყვანოთ, მაგრამ გერმანიის შემთხვევაში ცოტა განსხვავებული მდგომარეობა იყო. აღმოსავლეთ გერმანია არ იყო ოკუპირებული, ისე, როგორც ოკუპირებულია აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. რთული საკითხია, მაგრამ ჩემი ხედვა ასეთია: საქართველოს შემთხვევაში ეს ვარიანტი არ იქნება შესაძლებელი, რადგან არ გაჩნდეს საფრთხე, რომ ეს ტერიტორიები დაიკარგოს. არ მგონია, საქართველოსთვის ეს მისაღები იყოს“, — განაცხადა ანდერს ფოგ რასმუსენმა ბრიუსელში ამ საკითხზე მიმდინარე დისკუსიისას.

**ვეტერანების დიდმა ნაწილმა ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის გამო ვერ გაუძლო სასამართლოებში სირბილის უაზრო „მარათონს“, თავი მიანება პენსიისთვის ბრძოლას და ამქვეყნიდან კანონიერი პენსიის მიუღებლად წავიდა. სამარცხვინო ფაქტია, რომ დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან 70 წელზე მეტი გავიდა და საქართველოს მთავრობამ ვერ შეძლო ვეტერანებისთვის ჰოსპიტლის აშენება ან მისთვის შესაფერისი შენობის მოძიება, თუმცა დაპირება ბევრი იყო, მაგრამ ყველა ისინი მთავრობისთვის ჩვეული ტყუილი გამოდგა.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას

ჩვენთვის, დიდი სამამულო ომის ვეტერანებისთვის, ეს წერილი ნამდვილად გედის სიმღერაა, რადგან ყველანი 93 წელს ვართ გადაცილებულნი და ცას ხომ არ გამოვეკერებით... ამიტომ ვჩქარობთ, მომავალ თაობას ვუთხრათ სიმართლე, თუ როგორ არაკაცურად მოგვექცნენ საქართველოში დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში გამოვლილ სამშობლოს დამცველებს.

# რატომ სძულს ყველა ხელისუფლებას დიდი სამამულო ომის ვეტერანები?

**საკმაო დრო გავიდა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან და ომში მონაწილე ვეტერანთა ორგანიზაციის შექმნიდან. ვფიქრობთ, დადგა ჟამი, კრიტიკულად გადავხედოთ და რეალურად შევაფასოთ მთავრობისა და პარლამენტის დამოკიდებულება დიდი სამამულო ომის ვეტერანებისადმი. განვლილი პერიოდის ანალიზი სრულ წარმოდგენას გვაძლევს ამ დამსახურებული ადამიანების მეტად არასახარბიელო მდგომარეობაზე.**



შოთა ბუაძე



იოსებ ტუხაშვილი



ტარას იჩქიტიძე

**სტალინის კრიტიკა, გაშარჟება და მისთვის ბინძური იარლიყების მიწებება, არის საქართველოდან ომში წასული იმ 700 ათასი ადამიანის შეურაცხყოფა, რომლებიც ფიცს დებდნენ და სტალინისა და სამშობლოს სახელით სიცოცხლეს სწირავდნენ. ეს არის იმ 300 ათასი მებრძოლის ნათელი ხსოვნის შეურაცხყოფა, რომლებიც ბრძოლის ველზე დაეცნენ და ვერ დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას; ეს არაკაცობისა და უსინდისობის ისეთი ლაქაა, რომელიც სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში**

**საქართველოდან ომში გაწვეული 700 ათასი კაციდან დღეს ცოცხალი მხოლოდ რამდენიმე ასეულია. ყველა მათგანი მეათე ათეულ წელშია გადამდგარი და, სიცოცხლის წლებსა და თვეებს კი არა, დღეებს ითვლის.**

ვეტერანთა ძირითადი საარსებო წყარო პენსიაა, მაგრამ იგი ისე ცოტაა, წამლების შესაძენად და კომუნალური გადასახადებისთვის არ გვყოფნის. ზოგიერთი ვეტერანი, შიმშილით რომ არ მოკვდეს, 2-3 თვის პენსიას წინასწარ იღებს. განსაკუთრებით მძიმეა ვეტერანთა მდგომარეობა ზამთარში, როცა უფულობის გამო ჩაცმულებს სძინავთ... **ვეტერანებისადმი სიძულვილის გამოხატვის ნათელი მაგალითია მათთვის დამატებით მიზერული პენსიის დანიშვნის პროცედურა.** დღემდე გაუგებარია, რისთვის დასჭირდა მთავრობას სასამართლოს გადაწყვეტილება, რათა ვეტერანებმა კანონით დანიშნული პენსია მიიღონ. სწორედ აქედან დაიწყო ხანდაზმული ადამიანების სადისტური წამება — სასამართლოებში უაზრო სირბილი, მოსამართლის კაბინეტთან საათობით ლოდინი, ხშირად უშედეგოდ. ზოგჯერ ვეტერანს რამდენიმე სასამართლოს გამოცვლა უწევდა. ერთ-ერთმა ჩვენგანმა ოთხი სასამართლო გამოიცვალა, სანამ უზენაესი სასამართლო სწორ გადაწყვეტილებას გამოიტანდა. ძნელი წარმოსადგენია, როგორი დამამცირებელი და დამთრგუნველი იყო სასამართლოების კარზე გაუთავებელი კაკუნი.

**ვეტერანების დიდმა ნაწილმა ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის გამო ვერ გაუძლო სასამართლოებში სირბილის უაზრო „მარათონს“, თავი მიანება პენსიისთვის ბრძოლას და ამქვეყნიდან წავიდა.**

**სამარცხვინო ფაქტია, რომ დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან 70 წელზე მეტი გავიდა და საქართველოს მთავრობამ ვერ შეძლო ვეტერანებისთვის ჰოსპიტლის აშენება ან მისთვის შესაფერისი შენობის მოძიება, თუმცა დაპირება ბევრი იყო, მაგრამ ყველა ისინი მთავრობისათვის ჩვეული ტყუილი გამოდგა.**

ვეტერანების შეურაცხყოფის, მათ მიმართ ზიზღისა და სიძულვილის გამოვლენის აღმაშფოთებელი ფაქტი იყო ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში სამამულო ომის მონაწილეთა ქუჩაში ცემა, მკერდიდან ორდენების ჩამოგლეჯა, დედის გინება და ბილწი სიტყვებით შემკობა, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი დიდ სამამულო ომში მონაწილეობდნენ. მთავრობა კი არავითარ ზომებს არ იღებდა ამ სამარცხვინო, გამოხდომების აღსაკვეთად.

**ვეტერანების ზიზღსა და სიძულვილში ყველას გადააჭარბა საქართველოს პარანოიკმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელმაც ომის მონაწილეებს გაუუქმა მათთვის დაწესებული შეღავათები. ეს გადაწყვეტილება დღესაც ძალაშია და მისი გადახედვის სურვილი მოქმედ მთავრობასაც არ გასჩენია, პირიქით — ომის ვეტერანები სულ დაივიწყა, თითქოს არც კი არსებულან.** საქართველოს 2018 წლის ბიუჯეტის განხილვა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ განხილვაში მონაწილე მთავრობისა და პარლამენტის არც ერთ წევრს არ გახსენებია დიდი სამამულო ომის ვეტერანები... და მაინც — **დიდი სამამულო ომის ვეტერანების შეურაცხყოფის აპოგეას წარმოადგენდა და წარმოადგენს გონებაჩლუნგი ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ გაჩაღებული სტალინის კულტის დაგმობის კამპანია, რომელსაც მხარი აუბეს ქართველმა რენეგატებმა.**

არ შეიძლება, ოდნავ მაინც საღად მოაზროვნე ადამიანმა, რომელიც იცნობს სტალინის პიროვნებას, მის მრავალმხრივ მასშტაბურ მოღვაწეობას საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში, ასე აღვირახსნილად აკრიტიკოს და ლანძღოს ის.

კითხულობ სტალინის ვაიკრიტიკოსების ნაბოდვარ-ნაცოდვილარს და ძალაუნებურად გეღიმება: **ვინ არიან ამ ბუმბერაზი ადამიანის კრიტიკოსები? — ესენი არიან გაუნათლებელი, უწიგნური, უკულტურო, ლაჩარი ადამიანები, რომლებმაც არ იციან ისტორია, განსაკუთრებით — დიდ სამამულო ომის, ჭკუაგონების დეფიციტის გამო ვერ შეძლეს სტალინთან მის სიცოცხლეში პოლემიკა და შურისძიების მიზნით მკვდარ სტალინსა და მის ძეგლებს გააფთრებით ებრძვიან.** ამ ვაჟბატონებს არაფერი წაუკითხავთ სტალინის შრომებიდან და მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანების სტალინზე გამონათქვამებიდან, მაგრამ ჰყოფნით თავხედობა, ლანძღონ კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პიროვნება.

სტალინი იყო ისტორიული მოვლენა, დიდი მოაზროვნე, დიდი პოლიტიკოსი, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, იგი შორს იხედებოდა და წარმართავდა მოვლენებს, განჭვრეტდა მიღებული გადაწყვეტილების მოსალოდნელ შედეგებს, არასოდეს ეძლეოდა თვითდამშვიდებას და სხვებისგანაც ამას მოითხოვდა.

სტალინის შორსმჭვრეტელობის დასადასტურებლად მრავალთაგან ორი მაგალითის მოყვანაც საკმარისია: პირველი — მან **დიდ სამამულო ომში გამარჯვებამდე ოთხი წლით ადრე, 1941 წლის 3 ივლისს, იწინასწარმეტყველა ფაშისტური გერმანიის დამარცხება, რაც ზუსტად ასრულდა 1945 წლის მაისში.**

მეორე — **სიცოცხლეშივე განჭვრიტა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები მისი სიკვდილის შემდეგ, რომ ყველა შეცდომას, რომლებიც ქვეყანაში იყო დაშვებული, მას დააბრალებდნენ და მის საფლავს ნაგვით აავსებდნენ. ამის მოწმენი ჩვენ ვართ.**

სტალინი იყო შემოქმედებითი ადამიანი. სწორედ მისი შემოქმედების შედეგია დედამიწის ერთ მეექვსედზე სრულიად ახალი ტიპის, განსხვავებული წყობის მქონე ქვეყნის — საბჭოთა კავშირის შექმნა, სოციალიზმის აშენება. სტალინს შეეძლო არა მხოლოდ სახელმწიფოს შენება, არამედ მისი უბადლო მართვაც. ქვეყნის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეობის პერიოდში შავი ზღვიდან ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანემდე გადაჭიმულ უზარმაზარ ფრონტზე არც ერთი საომარი ოპერაცია არ იგეგმებოდა და ხორციელდებოდა სტალინის უშუალო მონაწილეობის გარეშე.

ომამდე და ომის შემდგომ წლებში ქვეყანაში მისი ხელმძღვანელობის გარეშე არაფერი კეთდებოდა. გასაოცარია ამ ადამიანის შრომისუნარიანობა და უშრეტი ენერგია, როგორ უძლებდა მისი ორგანიზმი ამდენ ფსიქიკურ და ფიზიკურ დატვირთვას.

**1990 წლის შემდეგ 25 წელზე მეტი გავიდა, რამდენი მთავრობა შეიცვალა საქართველოში, მაგრამ მეტროპოლიტენის ერთი სადგურის („სახელმწიფო უნივერსიტეტის“) აშენება ძლივს შეძლეს.** ჩვენს მთავრობას ჭკუა-გონება რომ უჭრიდეს, სტალინის ლანძღვა-გინებაზე ამდენ დროსა და ენერგიას კი არ უნდა ხარჯავდეს, არამედ მისგან ქვეყნის მართვას სწავლობდეს.

სტალინის განქიქება საქართველოში სახელმწიფო დონეზეა აყვანილი. როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელი პარლამენტში გამოსვლისას სტალინსა და **ჰიტლერზე** ამბობს, ისინი ერთნაირად დამნაშავენი არიანო, — ასეთი უგნური აზრის მქონე შეიძლება იყოს ხელისუფლების წევრი, თანაც, საგარეო საქმეთა მინისტრი? ანტისტალინისტები ტიპური მოლაყბენი არიან. ამ გონებადაბინდულ ადამიანებს ჰგონიათ, რაც მეტ ცუდს იტყვიან სტალინზე, რაც მეტ ინსინუაციას შეთხზავენ, მით მეტ საქმეს გააკეთებენ, მაგრამ, ლაყბობით საქმე რომ კეთდებოდეს, როგორც სტალინი იტყოდა, მოლაყბეები მილიონერები იქნებოდნენ. **თუ სტალინი და ჰიტლერი ორივე ერთნაირად იყო დამნაშავე, მაშინ ჩნდება კითხვა: რისთვის და ვისთვის ვიბრძოდით იმ საშინელ ომში?** ამ კითხვაზე ანტისტალინისტებს პასუხი არ აქვთ. ჩვენ კი ვუპასუხებთ, რომ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ვაწარმოებდით სამართლიან ომს და გავიმარჯვეთ კიდეც სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით.

ჩვენ, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, შეურაცხყოფილი იმიტომაც ვართ, რომ სტალინის პიროვნებისადმი ასეთმა მტრულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია მისი, როგორც მხედართმთავრის, დიდ სამამულო ომში გამარჯვების სულისჩამდგმელის, როლის დაკნინება. გარდა ამისა, ამ სულელურმა კრიტიკამ საშუალება მისცა ომისდროინდელი მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლებს, პრეტენზია განეცხადებინათ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებაზე.

**სტალინის კრიტიკა, გაშარჟება და მისთვის ბინძური იარლიყების მიწებება, არის საქართველოდან ომში წასული იმ 700 ათასი ადამიანის შეურაცხყოფა, რომლებიც ფიცს დებდნენ და სტალინისა და სამშობლოს სახელით სიცოცხლეს სწირავდნენ. ეს არის იმ 300 ათასი მებრძოლის ნათელი ხსოვნის შეურაცხყოფა, რომლებიც ბრძოლის ველზე დაეცნენ და ვერ დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას, ეს არაკაცობისა და უსინდისობის ისეთი ლაქაა, რომელიც სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში.**

ჩვენ, სამამულო ომის ვეტერანები, ბედნიერი ვართ, რომ დავიბადეთ, გავიზარდეთ და ჩამოვყალიბდით სრულყოფილ ადამიანებად სტალინურ ეპოქაში, ვიბრძოდით ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში და გავიმარჯვეთ გენერალისიმუს სტალინის ხელმძღვანელობით.

ჩვენ, სამამულო ომის ვეტერანებმა, ვიცხოვრეთ სტალინურ საბჭოთა ეპოქაში და განვაგრძობთ ცხოვრებას კაპიტალიზმის პერიოდშიც. ჩვენ თუ არა, სხვას ვის შეუძლია, საღად და ობიექტურად შეაფასოს და ერთმანეთს შეადაროს საბჭოთა პერიოდისა და დღევანდელი ცხოვრების დონე? 25 წელიწადზე მეტი გავიდა ქვეყანაში წყობილების შეცვლიდან და, ცხოვრების პარამეტრების მიხედვით, საბჭოთა კავშირის დონესაც ვერ მივაღწიეთ...

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ყველა ანტისტალინელი კაპიტალიზმის აპოლოგეტია. სტალინმა კი თავისი შეგნებული ცხოვრება კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია და, ბუნებრივია, კაპიტალისტები დითირამბებით არ შეამკობენ მის სახელს. სტალინი უკვდავია, სტალინი მუდმივი „კატეგორიაა“, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი სახელი მუდამ იქნება მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიაში, სანამ კაცობრიობა იარსებებს.

ამ წერილში აღწერილ დამოკიდებულებას დიდი სამამულო ომის მონაწილეები არ ვიმსახურებდით, როგორც ჩანს, მთავრობა ჩვენი ამ ქვეყნიდან წასვლას ელოდება. გვინდა, დავამშვიდოთ მთავრობა: ეს დროც მალე მოვა, ვეტერანების ჭაჭანება აღარ იქნება და ვეტერანების პრობლემაც თავისთავად მოიხსნება. მიუხედავად ამისა, არ გვინდა, ჩვენი გულისტკივილი დარჩეს ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. სიცოცხლის ფინიშზე გასული ვეტერანებისთვის საინტერესო იქნება, სანამ ამქვეყნიდან წავალთ, საქართველოს ხელმძღვანელობისგან მივიღოთ პასუხი წერილში დასმულ კითხვებზე.

**პატივისცემით, დიდი სამამულო ომის ვეტერანები:**

**შოთა ბუაძე, იოსებ ტუხაშვილი, ტარას იჩქიტიძე**

**P.S. მიუხედავად გამოთქმული გულისტკივილისა, ჩვენ, ვეტერანები, საქართველოს მთავრობას წარმატებას ვუსურვებთ ქვეყნის მართვაში. ვისაც სურს სტალინის პიროვნების გაცნობა და მის მოღვაწეობაზე სწორი წარმოდგენის შექმნა, ვურჩევთ, ცნობილი პუბლიცისტის, „ორთოდოქსი სტალინისტის“, დიდებული პიროვნების, ბატონ გრიგოლ ონიანის პუბლიკაციებს გაეცნოს.**

განსხვავებული აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენ არ ვართ ის სახელმწიფო, რომელიც კანონს აქცევს ყურადღებას. ეს სახელისუფლო თანამდებობებზე მოკალათებული პირების ბრალია, სწორედ ისინი არ ასრულებენ კანონებისა და კონსტიტუციის მოთხოვნებს. ამ ქვეყანაში კონსტიტუცია, რაც უნდა იდეალურად დაწერილი იყოს, ვერ იმუშავებს, რადგან საზოგადოებაში და, უწინარესად, ხელისუფლებაში, არ არის სურვილი, რომ კონსტიტუციამ ან ნებისმიერმა კანონმა იმუშაოს“.

## ზაზა პაპუაშვილი: მე უნდა მოვისპო და ამოვწყდე, რომ სხვა ქვეყნებმა თქვან: ნახეთ, რუსეთი როგორ ექცევა პატარა საქართველოსო? ეს არის ჩემი დანიშნულება?

**„ქართული ოცნების“ დეპუტატმა ზაზა პაპუაშვილმა ტელეარხ „პირველის“ გადაცემა „რეაქციაში“ მწვავედ ისაუბრა თანაგუნდელებსა და ოპონენტებზე. დეპუტატმა განაცხადა, რომ დღეს ხელისუფლება მოსახლეობას გაუგებარ ენაზე ესაუბრება და ატყუებს. პაპუაშვილის თქმით, გუნდში მწვავე კითხვების დასმა არ უჭირს და ხაზს უსვამს, რომ „ქართულ ოცნებაში“ არსებულ აზრთა სხვადსხვაობაზე თანაგუნდელები არგუმენტებით საუბრობენ.**

„ქვეყნის მოსახლეობას, მას, ვინც აგირჩია, უნდა ელაპარაკო გასაგები ენით და არა დაშტამპულად, გაბანტული ტუჩებით. ლაპარაკობენ ერსა და იმავეს და ტკეპნიან ერთსა და იმავე ადგილს. თუ მოსახლეობას ატყუებ, ის ვერ აგიტანს და ვერ გაპატიებს. მე არ მინდა, ხავსი მომედოს და ამიტომ კრიტიკულადაც ვესაუბრები ჩემს თანაგუნდელებს. ოპონენტებს კი ვერ ათქმევინებით, რა ნაკლი ჰქონდა სააკაშვილს, შიში იყო მისი. ასეთები, სახის შენარჩუნებას რომ ცდილობენ, ჩადენილ საქმეებს რომ ივიწყებენ და, რასაც იმსახურებენ, იმას არ ილებენ, ეს მაბრაზებს მე. არ მინდა, ვიყო არც ფანატიკოსი, არც რეაქციონერი, არც ბნელი და არც ჩამორჩენილი. მინდა, ადეკვატურად ვუყურო პრობლემებს, ჩავიხედო, რა რესურსი, რა ძალა მაქვს მსახურების. პოლიტიკოსებმა კი, საერთოდ, გააგიჟეს მოსახლეობა, ყველა კრეტინი პოლიტიკოსობას იჩემებს და ესენი არიან ჩემი ოპონენტები — ადამიანები, რომლებიც არიან დამნაშავეები“, — განაცხადა დეპუტატმა და დასძინა, რომ მოსახლეობა ხელისუფლებას კოაბიტაციისა და არასწორი პოლიტიკის გამო საყვედურობს.



„მართალია ის ხალხი, ქუჩაში რომ მაჩერებს და მეუბნება: თქვენა ხართ ხელისუფლებაში, ამდენს რომ აბედინებთო? დღე და ღამე მუშტი-კრივს ხომ არ აყურებინებ საქართველოს, რამდენი უნდა მოხვდეთ? ასეთი ტონალობით არ უნდა გველაპარაკებოდნენ. მაშინ, როცა ხელისუფლებამ ისეთი ნაბიჯები გადადგა, როგორიც მათ არც დაესიზმრებოდათ“, — აღნიშნა პაპუაშვილმა.

„ქართული ოცნების“ დეპუტატი რუსეთთან ურთიერთობის საკითხსაც შეეხო და განაცხადა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ამ კუთხით ფრთხილი პოლიტიკის გამატარებელია.

„რუსეთზე რომ ლაპარაკობენ ამდენს, სირცხვილია. რეალურად შეხედეთ — რუსეთი რა არის და რა არ არის. რა პრეტენზია გვაქვს და რა დამიშავა რუსეთმა, მე კარგად ვიცი, მაგრამ ისიც ვიცი და პოლიტიკაში არ უნდა იყო, თუ არ იცი, პოლიტიკაში მისი წონითი კატეგორია, ხვედრითი წონა მისი, ის, თუ რას ნიშნავს მისი არსებობა შენს მეზობლად. მივმართავ მოსახლეობას: ხომ არსებობენ ჩვენზე ძლიერი ქვეყნები შეიარაღებით, ფინანსებით, ეკონომიკით, მიხედონ ამ რუსეთს. **მე, ქართველ კაცს, რატომ მევალება, რომ შევუვარდე მუხლუხოებში? მე უნდა მოვისპო და ამოვწყდე, რომ სხვა ქვეყნებმა თქვან: ნახეთ, რუსეთი როგორ ექცევა პატარა საქართველოსო? ეს არის ჩემი დანიშნულება?** ზოგიერთი პოლიტიკოსი გავარდება და მიცვალებულით პოლიტიკური ქულების დაწერას ცდილობს, ეს ამაზრზენია“,— განაცხადა პაპუაშვილმა.

## გია ხუხაშვილი: «ქართულ ოცნებაში» პაპუაშვილივით ბევრი ფიქრობს, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ისინი, ფაქტობრივად, მძევლები არიან ძალიან არასასიამოვნო სიტუაციის, ხმას ვერ იღებენ

**ექსპერტმა გია ხუხაშვილმა „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრისას განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტატის მიერ გადაცემა „რეაქციაში“ გამოთქმული მწვავე განცხადებები საღ აზრს ნამდვილად არ არის მოკლებული და პაპუაშვილივით მის გუნდში ბევრი ფიქრობს, თუმცა ისინი ამაზე საჯაროდ ვერ საუბრობენ.**

— დღეს უმრავლესობას უწევს არჩევანის გაკეთება საკუთარ კეთილდღეობასა და სიმართლეს შორის. სამწუხაროდ, უმრავლეობა არჩევანს საკუთარი კეთილდღეობის სასარგებლოდ აკეთებს. „ქართულ ოცნებაში“ პაპუაშვილივით ბევრი ფიქრობს, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ისინი, ფაქტობრივად, მძევლები არიან ძალიან არასასიამოვნო სიტუაციის, ხმას ვერ იღებენ. მათთვის საკუთარი კეთილდღეობაა პრიორიტეტი პოლიტიკაში. **ზაზა პაპუაშვილი** იშვიათი გამონაკლისია — თავისი პროფესიიდან გამომდინარე, არ შეუძლია ფარისევლობა. მანაც ითმინა გარკვეული პერიოდის განმავლობაში და ბოლოს თქვა, რასაც ფიქრობს, თუმცა რუსეთის საკითხზე, გარკვეულწილად, არ ვიზიარებ მის პოზიციას, კერძოდ, ამ



პოზიციის საჯაროდ გამოთქმას. ჩვენ ფრთხილი პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ და ფრონტის წინა ხაზზე არ უნდა გავიჭრათ, მაგრამ ამ ეტაპზე საჯარო დისკუსია ასეთ საკითხზე არ მიმაჩნია მიზანშეწონილად“, — განაცხადა ხუხაშვილმა.



## ჰამლეტ ჭიპაშვილი: რად გვინდა უუფლებო პრეზიდენტი, რომელიც ვერაფერს გააკეთებს?!

**23 მარტს პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუციის საბოლოო რედაქცია მიიღო. ქვეყნის უმთავრეს კანონში შესატან სადავო ცვლილებებზე საყოველთაო მსჯელობა შარშან რეგიონებსა და დედაქალაქში პროტესტის ფონზე რამდენიმე თვეს მიმდინარეობდა. საქართველოს პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, დღეს ქვეყანას სრულყოფილი კონსტიტუცია აქვს.**

კონსტიტუციის საბოლოო რედაქციის მიხედვით, 2020 წელს საპარლამენტო არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემით ჩატარდება, საარჩევნო ბარიერი 5-დან 3 პროცენტამდე დაიწევს. ერთჯერადად შენარჩუნდება საარჩევნო ბლოკების შექმნის შესაძლებლობა:

* საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლს ემატება პუნქტი, რომლის მიხედვით, „სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე“;

* ცვლილებები შედის კონსტიტუციის მე-16 მუხლში, რომელიც რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების საკითხებს არეგულირებს;

* ჩანაწერი საუნივერსიტეტო ავტონომიის შესახებ ემატება 27-ე მუხლის მესამე პუნქტს, შესაბამისად, უზრუნველყოფილია აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომია;

* პრინციპული ცვლილება ეხება ე.წ. ბონუსის სისტემას. კერძოდ, კონსტიტუციის ახალ რედაქციაში აღარ იქნება ე.წ. ბონუსის სისტემა და „პარლამენტის წევრთა მანდატები შესაბამისად განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტი მაინც მიიღეს.

**პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილის შეფასებით, საქართველოში იდეალურად დაწერილი კონსტიტუციაც კი ვერ იმუშავებს, რადგან არ არსებობს ნება ხელისუფლების მხრიდან, რომ ქვეყანაში კანონი კანონობდეს:**

— ჩვენ არ ვართ ის სახელმწიფო, რომელიც კანონს აქცევს ყურადღებას. ეს სახელისუფლო თანამდებობებზე მოკალათებული პირების ბრალია, სწორედ ისინი არ ასრულებენ კანონებისა და კონსტიტუციის მოთხოვნებს. ამ ქვეყანაში კონსტიტუცია, რაც უნდა იდეალურად იყოს დაწერილი, ვერ იუმუშავებს, რადგან საზოგადოებაში და, უწინარესად, ხელისუფლებაში, არ არის სურვილი, რომ კონსტიტუციამ ან ნებისმიერმა კანონმა იმუშაოს. როდესაც ქვეყანაში კანონი აუცილებლად შესასრულებელია მხოლოდ რიგითებისთვის, ხოლო ზემდგომებისთვის მხოლოდ სათამაშოა, ცხადია, ასეთ ქვეყანაში ვერც კონსტიტუციაზე ვილაპარაკებთ და ვერც კანონზე“, — განაცხადა ჰამლეტ ჭიპაშვილმა.

**რაც შეეხება პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევას და ე.წ. ხმოსნების ინსტიტუტის შემოღებას, პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ მსგავსი ექსპერიმენტი კარგს არაფერს მოუტანს საქართველოს.**

— პრეზიდენტი არ უნდა იყოს ისეთი უუფლებო, განსაკუთრებით — პოლიტიკურად ახალგაზრდა ქვეყნებში, როგორიც საქართველოა. საქართველოს მსგავს ქვეყნებს სჭირდებათ ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა და არა საპარლამენტო. საპარლამენტო მმართველობა არის ევროპის ქვეყნებში და უკვე გაჩნდა ბზარები ამ მმართველობაში. საპრეზიდენტო მმართველობა უნდა ეფუძნებოდეს პატიოსნებას, იმ ადამიანის პატიოსან მუშაობას, რომელსაც პრეზიდენტად აირჩევენ, მაგრამ საქართველომ სხვა გზა აირჩია. უფრო სწორად, ეს აირჩია **სააკაშვილმა** და დანარჩენებმაც განაგრძეს მისი შემოქმედება. სააკაშვილმა საპარლამენტო მმართველობა იმიტომ აირჩია, რომ მესამე ვადით ვეღარ იქნებოდა პრეზიდენტი, ამიტომ გადაწყვიტა პრემიერმინისტრობა, თანაც, თავისი პარტიის მუდამ გამარჯვების შემთხვევაში, მუდმივ პრემიერად ყოფნა. რომ არა „ცოცხების“ გამოყენების შემზარავი ფაქტები ციხეში, სააკაშვილი დღესაც იქნებოდა ქვეყნის მმართველი; პრეზიდენტი კი იქნებოდა დასაჭურისებული, უუფლებო, როგორიც დღეს არის“, — აღნიშნავს პოლიტოლოგი, რომელიც ემხრობა მოსაზრებას, რომ პრეზიდენტი უნდა ავირჩიოთ პირდაპირი გზით, ხმოსნების გარეშე

— როდესაც ხდება პრეზიდენტის არჩევნების პროფანაცია, ჩნდება კითხვა: **რად გვინდა ისეთი პრეზიდენტი, თუ არაფრის გამკეთებელი არ იქნება და უფლება არაფრის ექნება? მხოლოდ კანონებზე ხელმომწერად და პროტოკოლური ცერემონიების შესასრულებლად გვინდა და მას ბიუჯეტის თანხით შევინახავთ? თუ გვინდა, გვყავდეს პრეზიდენტი, ის ხალხმა უნდა აირჩიოს და ჰქონდეს უფლებები, მართოს სახელმწიფო“,** — აღნიშნა ჭიპაშვილმა.

გვერდი მოამზადა
**სოფიო კაკაჩია**

## «არ ღირს ევროპაში ქრისტიანობის აღსასრულის ზეიმი, რადგან მან შეიძლება უარესი შედეგი მოგვიტანოს»

**რელიგიების ცნობილმა ათეისტმა კრიტიკოსმა რიჩარდ დოუკინსმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ არ ღირს ევროპაში ქრისტიანობის აღსასრულის ზეიმი, რადგან მან დასავლეთს შეიძლება უარესი შედეგი მოუტანოს.**

დოუკინსი უარეს შედეგში ევროპაში ისლამურ იმიგრაციასა და ისლამის სულ უფრო მზარდ გავლენას გულისხმობს.

საინტერესოა, რომ რელიგიების კრიტიკოსმა რიჩარდ დოუკინსმა თვითონ შეიტანა დიდი წვლილი დასავლეთში ქრისტიანობის ავტორიტეტისა და გავლენის დასუსტებაში, მაგრამ ახლა უკვე ისიც აცნობიერებს, რომ, მუსლიმების მზარდი რაოდენობის პირობებში, დასავლეთის დექრისტიანიზაციამ დასავლური საზოგადოება შეიძლება სრულიად დაუცველი დატოვოს ისლამური იდეოლოგიის წინაშე.



**„ინტელიგენცია რა, გვყავს? თავმოყვარეობა დაკარგეს, ფულზე გაიყიდნენ. ამბობენ: ივანიშვილმა გადაარჩინა ინტელიგენცია და სტალინმა დაღუპაო. გაგიჟდება კაცი! სტალინმა ინტელიგენცია თუ დაღუპა, მაშ, ვინ შექმნა ამდენი ბრწყინვალე ნაწარმოები პოეზიაში, პროზაში, კინოსა და თეატრში? როგორ განვითარდა მეცნიერება, ხელოვნება? თუ დღეს ივანიშვილმა გადაარჩინა ინტელიგენცია, მაშინ მათ მიერ დაწერილი ერთი წიგნი მაინც წამაკითხონ, სპექტაკლი მაჩვენონ ან ფილმი. რეგრესია ყველაფერში“.**

კარდაკარ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «საზღვარი ყველაფერს აქვს, ხელისუფლების წევრების სიხარბის გარდა»

**რუბრიკის სტუმარი, თბილისელი ტარიელ სუხიაშვილი ჩვენი გაზეთის მკითხველია, პოლიტიკასა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში საკმაოდ კარგად გათვითცნობიერებული.**

— „ოცნების“ ხელისუფლების დიდი იმედი არ მქონდა, მაგრამ, რაც მქონდა, ისიც გამიცრუვდა... საზღვარი ყველაფერს აქვს, ხელისუფლების წევრების სიხარბის გარდა.

ამ ხელისუფლების იმედი იმიტომ არ მქონდა, რომ ნაციონალებიცა და „მეოცნეებიც“ ერთი ძალის სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ. ნაციონალები სახელმწიფოში მოქმედებდნენ დაშინების უხეში მეთოდით და, როდესაც მათმა პატრონებმა ნახეს, რომ სააკაშვილის რეჟიმმა ამოწურა შესაძლებლობები, მოამზადეს მეორე გუნდი — „მეოცნებეების“, რომელიც თითქოს უფრო აკადემიურად გამოიყურებოდა, და ჯალათები „ქართული ოცნებით“ ჩაანაცვლეს. ამჟამინდელი ხელისუფლება მუშაობს უფრო მიზანმიმართულად, დახვეწილად, თანაც ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, რაც უფრო ეფექტიანი და შეუჩნეველია, ვიდრე დაშინების მეთოდი. შიშის, შანტაჟისა და ტერორის დროს პროტესტის ალბათობა დიდია, უფრო ზუსტად, გარდაუვალია, შიშს უპირისპირდება ძალა. სწორედ ამიტომ შეიქნა საჭირო მათი ჩანაცვლება ისეთი ძალით, რომელიც აქცენტს ეკონომიკაზე გადაიტანდა. ეკონომიკური ზემოქმედება ეფექტიანია და დამღუპველი. ერთი შეხედვით, არავინ გაშინებს, არ გემუქრება, მაგრამ გართმევენ ყველაფერს კანონის ფარგლებში და პროტესტსაც ვერ გამოთქვამ. თუკი ვინმეს საწინააღმდეგო აზრი გაუჩნდება, ეს ხელისუფლებისთვის საშიში არ არის.

**— ვინ არის ის უხილავი, რომელიც წყვეტს, ვინ მოვიდეს ხელისუფლებაში?**

— ამაზე უნდა ისაუბროს მედიამ, ინტელიგენციამ, აკადემიურმა წრეებმა. ყველა ლაპარაკობს, როგორ გართულდა ცხოვრება, რა მდგომარეობაშია ხალხი და ქვეყანა, მაგრამ არავინ საუბრობს იმაზე, რატომ გვჭირს ეს ყველაფერი; როგორ მოხდა, რომ დიდების მწვერვალზე მყოფი ქვეყანა უცებ უფსკრულში აღმოჩნდა. ბევრს ვკითხულობ, თვალყურს ვადევნებ საინფორმაციო საშუალებებს, მაგრამ, სამწუხაროდ, საჯაროდ არავინ საუბრობს იმაზე, რა დაგვემართა.

**— რა არის მიზეზი, რატომ დაგვექცა ქვეყანა?**

— ყველა მიზეზზე რომ ვილაპარაკოთ, გაზეთის ფორმატი ვერ დაიტევს, მაგრამ ერთს ვიტყვი — ურაპატრიოტიზმმა დაგვღუპა. კომუნისტების ბოლო პერიოდიდან მოყოლებული ამ პრობლემამ დაგვღუპა. კომუნისტების მმართველობის პერიოდში იყვნენ პატრიოტებიც და იყვნენ მედროვეებიც; **ზვიად გამსახურდიას** პერიოდში იყვნენ პატრიოტები ურაპატრიოტიზმის გადახრით და მედროვეები; შევარდნაძის მმართველობისას იყვნენ პატრიოტებიც, ურაპატრიოტებიც, ყაჩაღებიც, მაგრამ პატრიოტების რაოდენობა თანდათან შემცირდა და მომდევნო ხელისუფლებებში პატრიოტები საერთოდ აღარ არიან. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ პიროვნებას, რომელზეც ვიტყვით, რომ ეროვნულია, მეტიც — საღად მოაზროვნე.

ამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, ყველა ეპოქა სათანადოდ უნდა შეფასდეს.

**— ხშირად გვესმის: მონობაში ვიყავით და ახლა თავისუფლები ვართო...**

— არ ვიცი, რას უწოდებენ მონობას. ვინც ასე საუბრობს, განათლების დეფიციტი აქვს. იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელსაც კავშირისთვის დამახასიათებელი სამი ძირითადი პრინციპი ჰქონდა, ისევე, როგორც ევროკავშირს, საზღვრები იყო სიმბოლური; 15 რესპუბლიკაში ერთიანი ეკონომიკური სივრცე იყო და საერთო ვალუტა. ამ კავშირს ჰქონდა ერთიანი თავდაცვის სისტემა, რასაც ევროპამ ვერ მიაღწია. ევროკავშირის ქვეყნებს სურთ ერთიანი თავდაცვის სისტემა, მაგრამ ამის საშუალებას ამერიკა არ აძლევს. **რომ ამბობენ: საბჭოთა კავშირის პერიოდში მონები ვიყავითო, მაშინ ნებისმიერი ევროპელი მონა ყოფილა. საბჭოთა კავშირის მოქალაქე თავისუფალი იყო. თუკი რომელიმე რესპუბლიკას სურვილი ჰქონდა, თავის ქვეყანაში რამე გაეკეთებინა, წარადგენდა გეგმას საკავშირო დონეზე და აუცილებლად დადებით პასუხს მიიღებდა. გვეხმარებოდნენ ყველაფრით, მათ შორის, კვალიფიციური მუშახელით, ადგილებზე იხსნებოდა შესაბამისი სასწავლებლები კადრების გამოსაზრდელად. დღეს ამის გამკეთებელი არავინაა.**



100 ქარხანას აგიშენებთო, — გვეუბნებიან და ჩვენც გვჯერა. არავინ სვამს კითხვას: გვაქვს კი ჩვენი შექმნილი პროდუქციის გასაღების ბაზარი? ან გვჭირდება ის ქარხანა, რომელსაც ვითომ გვიშენებენ? გვაქვს ნედლეული, რომლითაც ქარხანა უნდა ვამუშაოთ?.. უამრავი შეკითხვაა და პასუხი არ არის. ამ ცნობიერების ხალხთან რა უნდა გააკეთო?!

ქვეყანა, ერი უკან მიექანება. არადა, ამბობენ, დემოკრატიააო. როგორ შეიძლება დემოკრატია იყოს ქვეყანაში, სადაც მხოლოდ ერთი ძალა დომინირებს თავისი სატელიტებით. „პატრიოტთა ალიანსი“ რუსეთში წავიდა ვითომ საქმის გასაკეთებლად, სინამდვილეში, ეს ელექტორატის მისაზიდად გააკეთეს. აბა, სხვა რა უნდა იფიქრო, როდესაც რუსეთში საქართველო-ნატო-რუსეთის ალიანსზე ისაუბრეს, რაც მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როდესაც ვერცხლისწყალი აირევა წყალში.

პოლიტტექნოლოგიები, რომლებიც ბოლო რამდენიმე წელიწადში დამკვიდრდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეფექტიანად მუშაობს. ეს **კვირიკაშვილის** მოგონილი არ არის, ამაზე კვალიფიციური ხალხი მუშაობს, უბრალოდ, ჩვენები კარგი მოწაფეები აღმოჩნდნენ.

ჭკვიანურია ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩაგდება. **მოქალაქეები ჩივიან, რომ ქვეყანაში გაჭირვებაა, მაგრამ გამოსავალს უცხო ქვეყანაში გადახვეწაში ეძებენ; უხარიათ, რომ შვილი უცხოეთში წავიდა და ამაყობენ კიდეც. არავინ ამბობს, რომ გაჭირვება ხელოვნურად არის შექმნილი, რომ ეს ყველაფერი დაგეგმილია და ვიღაცის ნებაზეა დამოკიდებული ჩვენი ბედი.**

ქართველი გახარებულია, როდესაც ლუკმაპურის ფულს გამოიმუშავებს უცხოეთში, მაგრამ ეს ხომ ექსპლუატაციის, ღირსების შელახვისა და არაადეკვატური შემოსავლის ხარჯზე ხდება?! არადა, საზღვარგარეთ ხშირად უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები მიდიან.

## «დღეს სახელისუფლო სკამებზე სხედან ადამიანები, რომლებსაც სტატუსით ეკუთვნით, იყვნენ პოლიტიკოსები, თორემ კარგი გლეხი არც ერთ მათგანს მწყემსადაც არ გაუშვებდა. ვერავის ვხედავ, ვინც პრეზიდენტი უნდა იყოს. თუკი ვინმე ასეთი იყო, ყველა გააქციეს ქვეყნიდან»

**— ახალი საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინში ვართ...**

— ხშირად მოისმენთ სიტყვებს: **ქართული პოლიტიკა,** ოღონდ ვერ ვხვდები, რას უწოდებენ მას — სკამებს, რომლებზეც სხედან? **დღეს სახელისუფლო სკამებზე სხედან ადამიანები, რომლებსაც სტატუსით ეკუთვნით, იყვნენ პოლიტიკოსები, თორემ კარგი გლეხი არც ერთ მათგანს მწყემსადაც არ გაუშვებდა. ვერავის ვხედავ, ვინც პრეზიდენტი უნდა იყოს. თუკი ვინმე ასეთი იყო, ყველა გააქციეს ქვეყნიდან.**

ამას პოლიტიკოსებზე ვამბობ და ინტელიგენცია რა, გვყავს? თავმოყვარეობა დაკარგეს, ფულზე გაიყიდნენ. ამბობენ, **ივანიშვილმა** გადაარჩინა ინტელიგენცია და **სტალინმა** დაღუპაო. გაგიჟდება კაცი, სტალინმა ინტელიგენცია თუ დაღუპა, მაშ, ვინ შექმნა ამდენი ბრწყინვალე ნაწარმოები პოეზიაში, პროზაში, კინოსა და თეატრში, როგორ განვითარდა მეცნიერება, ხელოვნება? თუ დღეს ივანიშვილმა გადაარჩინა ინტელიგენცია, მაშინ მათ მიერ დაწერილი ერთი წიგნი მაინც წამაკითხონ, სპექტაკლი მაჩვენონ ან ფილმი. რეგრესია ყველაფერში.

**ქვეყანაში დღეს არსებული ძალა არავის მისცემს საშუალებას, გამოჩნდეს მეორე ძალა, რომელიც სახელწიფოსთვის სასიკეთო საქმეს გააკეთებს.**

**— გამოდის, არაფერი გვეშველება და ხალხიც შეგუებულია ვითარებას...**

— არ ვეგუები, მაგრამ ვერავის ვხედავ, ვისაც მხარში ამოვუდგები. პოლიტიკოსები, რომლებიც მედიასაშუალებებში ჩანან, ჯიბგირებივით არიან — ცდილობენ, სანახაობით გაგვართონ, მერე ჯიბიდან რომ ამოგვაცალონ ყველაფერი; ცდილობენ, ყურადღება გადაგვატანინონ უმნიშვნელოზე, რათა თვითონ ბიზნესწილები გაინაწილონ.

მემარცხენე ძალები თითქოს არსებობენ, მაგრამ ისინიც ვერ თმობენ სკამებს, პირველკაცობას ვერ თმობენ და მათ ნაცვლად მრცხვენია. არაფერი გვეშველება, ხალხის პროტესტიც არ იქნება, რადგან იმედგაცრუება დიდია და თანაც მედროვეებით არის ქვეყანა სავსე. **ვინც კარგად არის, არ ფიქრობს იმაზე, რომ მხოლოდ მისი კარგად ყოფნა საკმარისი არ არის. როცა ქვეყანა ცუდად არის, კარგად ვერავინ იქნება.**

ვსვამთ შეკითხვას: გვინდა თუ არა ნატო? მაგრამ არავინ ამბობს, რა არის ნატო. საზოგადოების 95%-მა არ იცის, რა არის ნატო. არადა, **ნატო არის აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ემსახურება იმპერიალისტთა ვიწრო წრეების ინტერესებს, ხალხი კი ნატოს მიმართ ოქროს კოშკებს აგებს. ყველა საკითხს, რომლებზეც ვსაუბრობთ, პროფესიონალების გაანალიზება სჭირდება, რასაც არავინ აკეთებს.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## «მოქალაქეები ჩივიან, რომ ქვეყანაში გაჭირვებაა, მაგრამ გამოსავალს უცხო ქვეყანაში გადახვეწაში ეძებენ; უხარიათ, რომ შვილი უცხოეთში წავიდა და ამაყობენ კიდეც. არავინ ამბობს, რომ გაჭირვება ხელოვნურად არის შექმნილი, რომ ეს ყველაფერი დაგეგმილია და ვიღაცის ნებაზეა დამოკიდებული ჩვენი ბედი»



# კემეროვოში მასწავლებელი ტატიანა დარსალია ბავშვების გადარჩენისას დაიღუპა

**რუსეთის ქალაქ კემეროვოში მომხდარი ტრაგედიისას, როცა სავაჭრო ცენტრში ხანძარი გაჩნდა, მასწავლებელმა ტატიანა დარსალიამ შეძლო თავისი 14 წლის ქალიშვილის გადარჩენა, რომელთან ერთადაც ცენტრში საყიდლებზე იმყოფებოდა. ქალიშვილის შენობიდან გაყვანის შემდეგ მას შემოესმა ბავშვების ხმები, რომლებიც დახმარებას ითხოვდნენ, და უკან მიბრუნდა. სამწუხაროდ, ტატიანა დარსალიამ ვერც ბავშვები გადაარჩინა და თვითონაც დაიღუპა.**

ბოლო მონაცემებით, სავაჭრო ცენტრის თანამშრომელმა სახანძრო სიგნალიზაცია გამორთო. დაკავებულია ხუთი ეჭვმიტანილი, მათ შორის, სავაჭრო ცენტრის მფლობელი. დაკითხულია 70-ზე მეტი თვითმხილველი.

ოფიციალური ინფორმაციით, ხანძარს 64 ადამიანი ემსხვერპლა, ასობით — დაშავდა.

გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს, მათ შორის ხანძრის განზრახ გაჩენაზე.



**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**66 რეგვენი პარლამენტარი, რომლებმაც ამ სისულელეს მხარი დაუჭირეს, ცოტა ნამდვილად არ არის და სრულიად მოსალოდნელია, 1 წლის ან რამდენიმე თვის შემდეგ, როგორც ამას რეგლამენტი ითვალისწინებს, ამ კანონპროექტის პარლამენტში კიდევ ერთხელ წარდგენისას, მისმა მხარდამჭერებმა იმ დაკლებული 10 დეპუტატის გადმობირებაც შეძლონ და ეს სრული იდიოტობა თავს მოგვახვიონ, რეალობად გვიქციონ.**

# რა სურთ ქალებს და რა სურს პარლამენტის თავმჯდომარეს?

**საქართველოს პარლამენტში ჩავარდა კანონპროექტი გენდერული კვოტირების შესახებ. ეს ძალიან კარგი ამბავია, მაგრამ ცუდია ის, რომ ამ სრულიად იდიოტურ კანონპროექტს საქართველოს პარლამენტის 66-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. კანონპროექტის კანონად ქცევისთვის 76 ხმა იყო საჭირო, ანუ ამ სრული სიბრიყვის რეალურ ცხოვრებაში გადატანას, სულ რაღაც, 10 ხმა დააკლდა, რაც, ჩემი აზრით, მაინც საგანგაშო მაჩვენებელია.**



ფაქტობრივად, ყველამ ზუსტად ვიცით, რაზეც არის საუბარი, მაგრამ მაინც თავი დავიზღვიოთ და დავაზუსტოთ: **საქართველოს პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენილი ეს კანონპროექტი ითვალისწინებდა იმას, რომ არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტია ვალდებული უნდა ყოფილიყო, 150-წევრიანი საპარლამენტო საარჩევნო სია 50 პროცენტით ქალებით დაეკომპლექტებინა; თანაც ისე, რომ სიაში ყოველი მეორე ყოფილიყო ქალი, და არა, დავუშვათ, პირველი 75 — კაცი და ბოლო 75 — ქალი; ან პირველი 25 — კაცი, მეორე 25 — ქალი და ა.შ. ერთი კაცი — ერთ ქალი, კიდევ კაცი — კიდევ ქალი — აი, ასეთი უმკაცრესი თანმიმდევრობით უნდა შედგეს პარტიათა საპარლამენტო სიები, თუკი ეს კანონპროექტი ოდესმე კანონად იქცევა. ეს იმას ნიშნავს, რომ 150 ქართველი პარლამენტარიდან აუცილებლად 75 ქალი იქნება!**

იმთავითვე ვიტყვი, მეტ-ნაკლებად მესმის ამ ხმის მიმცემი 66 პარამენტარიდან მათი, ვინც ქალია. ისიც ვიცი, რომ ზოგიერთმა ქალმაც კი არ დაუჭირა მხარი ამ კანონპროექტს, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა, მამაკაცები რა მოსაზრებით უჭერდნენ მხარს ამ სისულელეს. საქართველოს პარლამენტში 66 ქალი ნაღდად არ არის, მხარდამჭერებიდან, სულ ცოტა, 50 მამაკაცია. სიმართლე გითხრათ, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ისინი საკუთარ ოჯახში ჩვეულებრივი „გრუზინი ქმრები“ არიან და ცოლებს, პარლამენტში კი არა, საღამოს 6 საათის შემდეგ მეზობელთან საჭორაოდ არ გაუშვებენ. ამ ნაბიჯით, უბრალოდ, თავისი ჭკუით, საზოგადოებას აწონებენ თავს: ნახეთ, რა გამოსული ვარო, თუმცა ეს ამბავიც იქით იყოს და ამ „კვოტირებული ქალების“ თემაში ბევრი უფრო საინტერესო საკითხია.

კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ **ღმერთსა და ქართველი პარლამენტარების უმეტესობას მადლობას ვწირავ, რადგან ეს სრული რეგვენობა ქართულ რეალობად არ იქცა, თუმცა ამ შტერიზმის ავტორებთან და მომწონებლებთან მაინც გვაქვს რამდენიმე კითხვა.**

აკი უკვე ვთქვით: **66 რეგვენი პარლამენტარი, რომლებმაც ამ სისულელეს მხარი დაუჭირეს, ცოტა ნამდვილად არ არის და სრულიად მოსალოდნელია, 1 წლის ან რამდენიმე თვის შემდეგ, როგორც ამას რეგლამენტი ითვალისწინებს, ამ კანონპროექტის პარლამენტში კიდევ ერთხელ წარდგენისას, მისმა მხარდამჭერებმა იმ დაკლებული 10 დეპუტატის გადმობირებაც შეძლონ და ეს სრული იდიოტობა თავს მოგვახვიონ, რეალობად გვიქციონ.**

ამიტომ მინდა, ვიცოდე პასუხი გარკვეულ კითხვებზე, ეგებ მეც აღმოვჩნდე „გადაბირებულ“ მომხრეთა შორის?!

პირველ რიგში, მინდა, დავუსვა შეკითხვა პარლამენტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. რაკი **ირაკლი კობახიძეცა** და **თამარ ჩუგოშვილიც** იურისტები არიან, მათგან მაინტერესებს: **პარლამენტის მიერ მიღებული ნებისმიერი კანონი უნდა შეესაბამებოდეს თუ არა ქვეყნის ძირითად კანონს — საქართველოს კონსტიტუციას?**

თუ ასეა, საქართველოს კონსტიტუცია არ კრძალავს პოლიტიკური პარტიის ან მოძრაობის შექმნას რომელიმე კონკრეტული ვიწრო ნიშნით, მაგალითად, „ქალთა პარტია“ ან „მამაკაცთა პარტია“, ხომ ასეა?

ვთქვათ, ვინმემ შექმნა ასეთი პარტია, ამიხსენით, პატივცემულებო, **როგორ უნდა ჩაიწეროს „ქალთა პარტიის“ საარჩევნო სიაში ყოველი მეორე მამაკაცი ან „მამაკაცთა პარტიის“ სიაში ყოველი მეორე ქალი?**

ან იქნებ, საერთოდ, გეიპარტიის შექმნა მინდა, არ მაქვს უფლება?

**რა ვქნა, რომელ სიაში ჩავწერო იმ ორიენტაციის ადამიანები, რომლებიც თავს არც „ქალად“ მიიჩნევენ და არც „მამაკაცად“?**

აკი, **„ანტიდისკრიმინაციული კანონი“ დიდი ზარ-ზეიმით მიიღო თავის დროზე საქართველოს პარლამენტმა. ჰოდა, ადამიანებს რომ საკუთარი სქესის არჩევის უფლებას ვართმევთ, ეს არ არის დისკრიმინაცია?**

ხომ მივყვებით ევროპულ სტანდარტსა და თავისუფლებას? მაშ, რატომ ვუზღუდავთ ადამიანებს სივრცეს და რატომ ვაიძულებთ, ან „ქალად“ ჩაეწერონ სიაში, ან „მამაკაცად“?

საერთოდაც, მოგეხსენებათ, ლგბტ არის 4 სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის აღმნიშვნელი სიტყვის საწყისი ასოები: ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი. კი, ვიცით, რომ არსებობს კიდევ 50-მდე სექსუალური ორიენტაცია, მაგრამ, სანამ მათ თავი ბოლომდე არ დაუმკვიდრებიათ, ამ ჩამოთვლილ ოთხს დავუმატოთ „ქალი“ და „მამაკაცი“ და ჯერჯერობით ამ ექვსით დავკმაყოფილდეთ, ჯანდაბას! ანუ, **საქართველოს პარლამენტში უნდა შევიტანოთ კანონპროექტი, რომლის მიხედვით, არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურ პარტიას უნდა დაევალოს, რომ სიაში პირველი იყოს კაცი, მეორე — ქალი, მესამე — ლესბოსელი, მეოთხე — გეი, მეხუთე — ბისექსუალი, მეექვსე — ტრანსსექსუალი, მეშვიდე ისევ — მამაკაცი, მერვე — ისევ ქალი, მეცხრე ისევ — ლესბოსელი და ა. შ.**

**სხვა შემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის მიერ ასე ძალიან მოწონებული კანონპროექტი „გენდერული კვოტირების“ შესახებ ყველაზე უფრო დისკრიმინაციული გამოდის, ანუ ჩვენ ამით ვზღუდავთ, ქალისა და მამაკაცის გარდა, ყველა დანარჩენის უფლებებს, ხოლო მომავალში, როდესაც მსოფლიო უკვე ოფიციალურად ცნობს კიდევ 46 დანარჩენ „სქესს“, კანონში შესაბამისი ცვლილებაც უნდა შევიდეს.**

მართალია, მსოფლიოში ჯერ მსგავსი არაფერი ხდება და, როგორც ჩემთვის ცნობილია, „გენდერული კვოტირების“ კანონი მხოლოდ ჰოლანდიის პარლამენტმა მიიღო, ისიც ქალების სავალდებულო რაოდენობას 30 პროცენტით განსაზღვრავს, ანუ სიაში ყოველი მესამეა ქალი, მაგრამ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ხომ ყველაფერში პირველები და ექსპერიმენტატორები უნდა ვიყოთ?! ჩვენ ხომ ისე ავაწყვეთ უკვე ჩვენი ქვეყნის ცხოვრება და ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობა, რომ სხვა საქმე არ გვაქვს და, რაც სიახლეები და ექსპერიმენტებია განსახორციელებელი მსოფლიოში, პირველად ჩვენ უნდა განვახორციელოთ?!

ამიტომ **პარლამენტში ქალთა 50-პროცენტიანი კვოტირების მსოფლიო ექსპერიმენტს, რომლის ანალოგი ჯერ არც ერთ ქვეყანაში არ არის, ხომ არ სჯობია, ბარემ, 10 და 20 კი არა, კაი 50 წლით გავუსწროთ მსოფლიოს და პირდაპირ „ექვსსქესიანი კვოტირების“ კანონი მივიღოთ? ასე მართლა გადავრევთ სამყაროს და მერე ჩვენი, ასე ძალიან დემოკრატიული, თავისუფალი და გადასარევი ქვეყნის ევროკავშირსა თუ ნატოში შესვლასაც წინ ველარაფერი დაუდგება.**

ისე, მაინტერსებს, რატომ ვჩაგრავთ ასე უნამუსოდ ქალებს. იქნებ მსურს, რომ ჩემი ქვეყნის პარლამენტში უმრავლესობა ქალები იყვნენ? ან იქნებ მინდა, 150-წევრიან პარლამენტში 100 ქალი იყოს, რა, არ შეიძლება? ან სულაც, მინდა, 150-ვე ქალი იყოს? რატომ ვართმევთ ქალებს ასეთი წარმატების უფლებასა და შესაძლებლობას?!

**კითხვები, სარკასტულიც და სერიოზულიც, კიდევ ბევრია, მაგრამ კობახიძე-ჩუგოშვილის დუეტმა, სანამ მიხვდებიან, რომ სრულ იდიოტიზმს უჭერენ მხარს, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ეგებ შეძლონ.**

რაც მთავარია, იქნებ ვინმემ იმაზეც გვიპასუხოს, რატომ მაინცდამაინც პარლამენტში უნდა მოხდეს ეს 50-პროცენტიანი კვოტირება? **სხვაგან, სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რატომ ვზღუდავთ, ვავიწროებთ და ვჩაგრავთ ქალებს? მაგალითად, კარგი იქნებოდა, ასეთივე კვოტები დაგვეწესებინა, პირველ რიგში, არმიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ შახტებსა და მაღაროებზე, მშენებლობებსა და სხვა მძიმე სამუშაო უბნებზე.**

**იქნებ ვინმემ იმაზეც გვიპასუხოს, რატომ მაინცდამაინც პარლამენტში უნდა მოხდეს ეს 50-პროცენტიანი კვოტირება? სხვაგან, სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რატომ ვზღუდავთ, ვავიწროებთ და ვჩაგრავთ ქალებს? მაგალითად, კარგი იქნებოდა, ასეთივე კვოტები დაგვეწესებინა, პირველ რიგში, არმიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ შახტებსა და მაღაროებზე, მშენებლობებსა და სხვა მძიმე სამუშაო უბნებზე**

ისე, ისიც საინტერსოა: რომ დავაარსო პოლიტიკური პარტია და ვერ ვიპოვო 75 ისეთი ქალბატონი, რომლებსაც სურვილი ექნებათ, საარჩევნო სიებში ჩაეწერონ, ანუ პარლამენტის წევრები გახდნენ და პოლიტიკაში ჩაერიონ, რა უნდა ვქნა? ნათესავ-მეგობარ-მეზობლებში ვემათხოვრო მდედრობითი სქესის ახლობლებს: მოდით, გეხვეწებით, ჩაგწერთ სიაში, ცესკომ სია რომ მიიღოს და დამიმტკიცოს და, თუკი მოხვდებით პარლამენტში, მერე რაღაცას მოვიფიქრებთ-მეთქი?

ანუ გამოდის, **ჩემი პარტიისთვის, კვალიფიციური კადრები კი არა, ქალები უნდა ვეძებო?**

მახსოვს, როდესაც უნივერსიტეტი დავამთავრე, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე კათედრაზე დარჩენა შემომთავაზეს. ჩემთან ერთად, კათედრის სხდომაზე კიდევ ორი კანდიდატის საკითხს განიხილავდნენ, ანუ სამიდან ერთი უნდა დაეტოვებინათ. კათედრის გამგე, აწ გარდაცვლილი **გოგი კეჩხუაშვილი**, ჩემკენ იყო და, რომ დაასაბუთა, რატომ ვიმსახურებდი კათედრაზე დარჩენას, მეტი დამაჯერებლობისთვის დასძინა: „შარშანწინ თამარი დავტოვეთ, იმ წელსვე გათხოვდა და დეკრეტში გავიდა; შარშან თეონა დავტოვეთ, წელს ისიც დეკრეტშია; ამ მხრივ მაინც ვიქნებით ახლა დაზღვეული“.

მართალია, ჩემი მხრიდან კათედრაზე დარჩენაზე უარის თქმას სულ სხვა მიზეზები ჰქონდა, მაგრამ ჩემ მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, თავაზიანი უარის გარდა, ეგეც ვთქვი: რადგან ვერ დავორსულდები და დეკრეტში ვერ გავალ, მხოლოდ მაგიტომ ნუ დამტოვებთ-მეთქი.

ეს ისე, სახალისოდ გავიხსენე, ანუ იმის აღსანიშნავად, როგორ „მეხმარებოდა“ ჩემი სქესი, ანუ მამაკაცობა თავის დროზე უნივერსიტეტში სამსახურის შოვნაში.

ახლა კი პირიქით — თურმე ქალობა უნდა დაეხმაროს ადამიანებს, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში რომ მოხვდნენ.

ერთი ამერიკული კინოკომედია გამახსენდა — „რა სურთ ქალებს?“.

ზევით ბევრი კითხვა დავსვით, მაგრამ არ დაგვისვამს ყველაზე მთავარი: თვითონ ქალები არ აღიქვამენ ამას შეურაცხყოფად? **ის, რომ შენ სადღაც უნდა აგირჩიონ არა იმიტომ, რომ იმსახურებ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ქალი ხარ, ნუთუ ყველაზე დიდი დისკრიმინაცია, შეურაცხოფა, შეზღუდვა და შევიწროება არ არის?! ჰკითხა კი ვინმემ თვითონ ქალებს, სურთ თუ არა, „კვოტირებულები“ იყვნენ?**

„ᲩᲐᲘᲡᲣᲑᲜᲘᲡ ᲐᲚᲛᲝᲩᲔᲜᲐ" ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ „ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲓᲐᲜ" ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲗᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘᲗ, ᲐᲜᲣ ᲫᲕ.Წ. ᲐᲦ. X-VIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲠᲘᲦᲓᲔᲑᲐ. ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ, ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘ. ᲐᲥ ᲨᲔᲛᲝᲜᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲖᲔ

**ეს უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური აღმოჩენა, რომლითაც კიდევ ერთხელ (და საბოლოოდ) დადასტურდა, რომ კოლხეთი რკინის წარმოების უპირველესი კერაა, სამშობლოა და სწორედ ამიტომ უწოდებდნენ ძველი ბერძნები ჩვენს წინაპრებს ხალიბებს — რკინის გამომგონებლებს, 2000 წელს მოხდა. არქეოლოგთა ექსპედიციამ, რომელსაც პროფესორი ᲒᲘᲐ ᲗᲐᲕᲐᲛᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ ხელმძღვანელობდა (ექსპედიციის წევრები: ნანა ხახუტაიშვილი, ნარგიზ სურმანიძე, ანზორ ჯაველიძე), ჩაქვის ხეობის სოფელ ჩაისუბნის ტერიტორიაზე, უძველესი კოლხური ნამოსახლარის გათხრების დროს, შავი ზღვის სანაპიროდან 3,5-4 კილომეტრის დაშორებით, ჩაის პლანტაციით დაფარულ ბორცვზე მიაგნო რკინის წარმოების ერთ-ერთ უძველეს და უდიდეს წინაანტიკურ კოლხურ ცენტრს.**





მაშინ ეს აღმოჩენა ჩვენს საზოგადოებრიობას, რბილად რომ ვთქვათ, სათანადოდ არ შეუფასებია: „ვერთობოდით" დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის, **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ,** სახურავებზე სირბილის ცქერით, ნაძალადევი იმედით ველოდებოდით ოპოზიციის ლიდერ **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲥᲕᲐᲜᲘᲐᲡ** დაპირებულ 250-დოლარიან პენსიასა და „კმარას", „ვარდების რევოლუციას".

მოკლედ, ხალიბური წარსულისთვის არ გვეცალა.

დღეს ამ უყურადღებობის გამოსწორების შესაძლებლობა გვაქვს. ცხადია, არა იმიტომ, რომ ერთმა „ტელეკულტ-მასავიკმა" ქართულ მეცნიერებასთან ასე თუ ისე დაკავშირებული სიუჟეტების გადაღება დაიწყო და, მით უფრო, არც იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობის" კოაბიტირებული ნარჩენები ყაჩაღანის ოქროს საბადოს გადარჩენაზე ალაპარაკდნენ, იმ საბადოსი, რომელსაც მათი ბატონობის წლებში მატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი გააუქმეს, რის შედეგადაც ეს უმნიშვნელოვანესი არტეფაქტი, საყდრისად წოდებული, პირისაგან მიწისა აღიგავა.

**„საქართველო და მსოფლიოს" სტუმარია აჭარის მამულიშვილთა კავშირის თავმჯდომარე, მწერალი და მეცნიერი ᲜᲘᲐᲖ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ.**

— „საქართველო და მსოფლიოს" მკითხველებს, მინდა, შევახსენო საქვეყნოდ ცნობილი დებულება: ებრაელმა ხალხმა კაცობრიობას მისცა ბიბლია — ღმერთის რწმენა, ბერძნებმა — ფილოსოფია, ქართველმა ერმა კი — რკინა, ცივილიზაციის განვითარების ერთ-ერთი პირობა. და ეს არ უნდა დაიკარგოს. მსოფლიოს მუზეუმებში უხვად არის წარმოდგენილი კოლხური რკინის წარმოების ნიმუშები — საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, საყოფაცხოვრებო ნივთები.

1960-იანი წლებიდან წარმოებული **ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲗᲮᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡ ᲙᲝᲚᲮᲗᲐ ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲔᲑᲨᲘ — ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ, ᲒᲣᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲠᲐ-ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲔᲑᲘ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲥ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘ.** სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ წლების განმავლობაში რკინის წარმოების ეს კერები მიზეზთა გამო განადგურდა. ეს ადგილები მოსახლეობამ გამოიყენა, როგორც სასოფლო-სამეურნეო სავარგულები — მოხნა და აითვისა.

დღეს **„ᲩᲐᲘᲡᲣᲑᲜᲘᲡ ᲐᲚᲛᲝᲩᲔᲜᲐ" ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ „ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲓᲐᲜ" ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲗᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘᲗ, ᲐᲜᲣ ᲫᲕ.Წ. ᲐᲦ. X-VIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲠᲘᲦᲓᲔᲑᲐ. ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ, ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘ. ᲐᲥ ᲨᲔᲛᲝᲜᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ.**

ამიტომ ამ უნიკალური ადგილის გადარჩენას ჩვენი ერის ისტორიისთვის, განსაკუთრებით, მომავალი თაობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**— გადასარჩენად გაკეთდა რამე?**

— რა თქმა უნდა. აჭარის მამულიშვილთა კავშირის ინიციატივითა და ადგილობრივი მოსახლეობის უანგარო მონაწილეობით შემოიღობა 2274 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი. ერთი ქურა ტრაქტორმა დააზიანა სოფლის მკვიდრთა მიერ მიწის დამუშავების დროს, ამიტომ ამ ძეგლის გადარჩენის მიზნით, შემოღობვისას მოგვიწია მისი გათხრა, მეორე ქურა ზუსტად ისეთად წარმოგვიდგა, როგორიც სამი ათასი წლის წინათ იყო.

**ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲗᲮᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡ ᲙᲝᲚᲮᲗᲐ ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲔᲑᲨᲘ — ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ, ᲒᲣᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲠᲐ-ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲔᲑᲘ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲥ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘ**

დარწმუნებული ვართ, რომ, **თუ აჭარის ხელისუფლება, რომელსაც წერილობით მივმართეთ, მხარს დაგვიჭერს და ამ ადგილზე დაარსდება მუზეუმი პირობითი სახელწოდებით „უძველეს კოლხთა ეზო", აქაურობა საქართველოს ტურისტული ქსელის მნიშვნელოვან ობიექტად იქცევა.**

მადლიერებით უნდა მოვიხსენიო ჩაქვის ხეობისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, რომელმაც დიდი ყურადღებით აღიქვა ეს ფაქტი და დაგვპირდა, რომ მხარს დაუჭერს აჭარის მამულიშვილთა კავშირის, ინტელიგენციის, სასულიერო მოღვაწეთა და ადგილობრივი მოსახლეობის მამულიშვილურ ინიციატივას.

დაახლოებით 11-14 აპრილს გადაწყვეტილი გვაქვს ამ ადგილზე ფართო საზოგადოებისთვის პრეზენტაციის გამართვა, რომელზეც საგნობრივად ვისაუბრებთ „ჩაქვის აღმოჩენის" მნიშვნელობასა და ჩვენი ინიციატივის განხორციელების სარგებლიანობაზე.

**— ბატონო ნიაზ, თქვით, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ მოიწონა თქვენი წინადადება და უანგაროდ ამოუდგა მხარში აჭარის მამულიშვილთა კავშირს. ეგებ გაშიფროთ, უანგარობა რაში გამოიხატა?**

— საერთო ენთუზიაზმში, ყოველდღიურ საქმიანობაში. დაბა ჩაქვის ადმინისტრაციულ ცენტრში შედგა პირველი გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, წარმოვადგინეთ ძეგლის გადარჩენის აუცილებლობისა და იქ მუზეუმის მოწყობის იდეა, რომელსაც დამსწრე საზოგადოებამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. აღსანიშნავია ისეთი მნიშვნელოვანი სიკეთის გაღება, როგორიც მიწით მოსარგებლეთა მიერ მათთვის დასამუშავებლად შემოსაზღვრული ნაკვეთების მომავალი მუზეუმითვის დათმობაა. **ᲠᲔᲖᲝ ᲧᲣᲠᲨᲣᲑᲐᲫᲔ** და **ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ** არიან ეს სანიმუშო მამულიშვილები.

იმთავითვე მხარში ამოგვიდგა ჩაქვის ხეობის ხელმძღვანელობა — ბატონები: **ᲒᲔᲚᲐ ᲥᲔᲑᲣᲚᲐᲫᲔ** და **ᲒᲔᲚᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ**, სოფლის დეპუტატი **ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ** და სხვა ღირსეული ადამიანები.

უძველეს პერიოდში, მაშინ, როცა ამ მიდამოში რკინას ამუშავებდნენ ჩვენი წინაპრები, აქაურობა, ძირითადად, წაბლის, წყავისა და შკერის ტყით იყო დაფარული, რომელსაც რკინის გამოსადნობად საჭირო საწვავ მასალად იყენებდნენ. ჩაქვის მოსახლეობამ, კერძოდ, **ᲨᲐᲥᲠᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲚᲘᲫᲔᲛ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲓᲐᲠᲩᲘᲫᲔᲛ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔᲛ** და სხვებმა უკვე მოიძიეს წაბლისა და სხვა ფოთლოვანების აქა-იქ შემორჩენილი ნერგები, ისინი მზად არიან, საჩუქრად გადმოგვცენ და აქაურობას ძველ ლანდშაფტთან მიახლოებული სახე დაუბრუნონ.

ამ პროექტზე მუშაობენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ᲯᲔᲛᲐᲚ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ** და საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი **ᲓᲣᲒᲚᲐᲡ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲐᲫᲔ**, რა თქმა უნდა, სრულიად უსასყიდლოდ.

აჭარის ძეგლთა დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი **ᲚᲐᲨᲐ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერი-სპეციალისტები, პროფესორ **ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲙᲐᲮᲘᲫᲘᲡ** ხელმძღვანელობით, სრულ მზადყოფნას გამოთქვამენ ამ მამულიშვილური პროექტის განხორციელების მხარდასაჭერად.

**ᲐᲠᲛᲐᲖ ᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔ**

**ᲗᲣ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲔᲗ, ᲛᲮᲐᲠᲡ ᲓᲐᲒᲕᲘᲭᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲔᲑᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ «ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡ ᲙᲝᲚᲮᲗᲐ ᲔᲖᲝ», ᲐᲥᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲥᲡᲔᲚᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ**

**P.S. აი, ასე: სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც საშვილიშვილო საქმის გასაკეთებლად დაირაზმება, ქვეყნის სულიერ განწმენდასაც შეუწყობს ხელს და ადამიანების კეთილშობილურ პოტენციალსაც გამოამჟღავნებს.**

**რაც ასე აუცილებელია დღევანდელი საქართველოსთვის.**

**მთავარია ამ საქმის წარმატებით დასრულება, რაც, უეჭველია, შესანიშნავად ესმის აჭარის მთავრობას და მის ხელმძღვანელ ზურაბ პატარაძეს...**

**და, შემდეგ, ბატონო ზურაბ, დავსხდეთ ამ მამულიშვილური საქმის ინიციატორებთან, შემსრულებლებთან ერთად ბათუმის რომელიმე ქართულ რესტორანში და ჩაქველების ნაქები „ჩაქვური ღვინით" ვთქვათ გამარჯვების სადღეგრძელო.**

**ესეც ხომ ქართული ტრადიციაა!**

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

## ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲖᲔ ᲖᲔᲬᲝᲚᲐᲡ ᲡᲝᲠᲝᲡᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲚᲝᲑᲘᲠᲔᲑᲡ

**გამოცემა The Jerusalem Post-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გლობალისტი მილიარდერის, ჯორჯ სოროსის, ფონდის მიერ დაფინანსებული ორგანიზაცია „ევროპის სამოქალაქო თავისუფლების კავშირი" გერმანიის მიერ უნგრეთზე ზემოქმედებას ლობირებს, რათა უნგრეთმა არასამთავრობო ორგანიზაციების გამჭვირვალობის კანონი შეცვალოს.**

„ევროპის სამოქალაქო თავისუფლების კავშირი" სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციის მეშვეობით ცდილობს გერმანიის მთავრობაზე გავლენის მოხდენას, რათა მან, თავის მხრივ, უნგრეთზე ზეწოლა გააძლიეროს.



ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შრომის უსაფრთხოების სფერო კომპლექსური საკითხია და, პირველ რიგში, სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ვხედავდით, იმიტომ, რომ სახელმწიფოში არ არსებობდა ორგანო, რომელიც გააკონტროლებდა შრომის უსაფრთხოებას. მუშებისთვის კი ეს საკმაოდ რთული საკითხია, რადგან შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას ცოდნა სჭირდება. ქაღალდზე მშრომელებს ბევრი უფლება აქვთ, რეალურად კი ეს უფლებები უგულებელყოფილია დამსაქმებლის მიერ“.**

# შრომის უსაფრთხოების წესების უგულებელყოფამ კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

## ბოლო 5 წელიწადში 270 ადამიანი დაიღუპა სამუშაოს შესრულებისას

**45 წლის ზაზა აბრამიშვილი შუქრუთის მაღაროს გვირაბში ჩამოშლილი ლოდების ნანგრევებში მოყვა და დაიღუპა. უბედური შემთხვევა ჭიათურაში 26 მარტს, გამთენიისას, მოხდა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს. სახალხო დამცველის ინფორმაციით, შრომის უსაფრთხოების ნორმების უგულებელყოფის გამო ბოლო 5 წელიწადში 270 ადამიანი დაიღუპა, მათგან 18 — 2017 წლის პირველ ნახევარში.**

შრომის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, არაერთი წელია, მოითხოვენ, აღდგეს 2006 წელს გაუქმებული შრომის ინსპექცია, რომელიც უფლებამოსილი იქნება, არა მხოლოდ რეკომენდაციები გასცეს დამსაქმებლებისთვის, არამედ, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, კომპანიებს დააკისროს კონკრეტული სანქციები. პარლამენტმა გასულ კვირაში დაამტკიცა შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი, რომელიც 21 მარტს გამოქვეყნდა. კანონში მითითებულია, რომ შესაბამისი ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილი იქნება, გამოიყენოს სანქციები იმ საწარმოებისა და დამსაქმებლების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ზედამხედველი ორგანოს მითითებები იქნება სავალდებულო. აღნიშნული კანონი 1 აგვისტოდან ამოქმედდება.

**სახალხო დამცველის წარმომადგენლის, თათული თოდუას, განცხადებით, მიღებული შრომის უსაფრთხოების კანონი კარგია, თუმცა აქვს ხარვეზებიც, რომლებიც რეალობას ერთბაშად ვერ შეცვლის.**

„შრომის უსაფრთხოების სფერო კომპლექსური საკითხია და, პირველ რიგში, სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ვხედავდით, იმიტომ, რომ სახელმწიფოში არ არსებობდა ორგანო, რომელიც გააკონტროლებდა შრომის უსაფრთხოებას. მუშებისთვის კი ეს არის საკმაოდ რთული საკითხი, რადგან შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას ცოდნა სჭირდება. ქაღალდზე მშრომელებს ბევრი უფლება აქვთ, სინამდვილეში კი ეს უფლებები უგულებელყოფილია დამსაქმებლის მიერ“, — განაცხადა **თათული თოდუამ.**

**სახალხო დამცველის აპარატში მიიჩნევენ, რომ შრომის უსაფრთხოების ნორმების დამრღვევი პირებისთვის სახელმწიფოს სისხლის სამართლებრივი კუთხით მკაცრი პოლიტიკა არ აქვს, რომელიც კომპანიებისა და საწარმოებისთვის მკაცრი შემაკავებელი მექანიზმი იქნებოდა.**

„ჩვენ გამოვითხოვეთ სასამართლოებიდან შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის მონაცემები. დაახლოებით 90 საქმე იყო სასამართლოში განხილული. მათი უმრავლესობა საპროცესო შეთანხმებით დასრულდა ან პირობითი მსჯავრით. მხოლოდ სამი საქმე იყო, როდესაც პირებს თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ“, — განაცხადა ომბუდსმენის წარმომადგენელმა.

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საპარლამენტო მდივნის, სოფო ჭარელის, განცხადებით, საკანონმდებლო პროექტის განხილვისას რამდენიმე საკითხი იყო კრიტიკულად მნიშვნელოვანი, კერძოდ, შრომის უსაფრთხოების მონიტორინგის სამსახური ყოფილიყო მაქსიმალურად ეფექტიანი და ბევრ სფეროზე გავრცელებულიყო მისი მოქმედების არეალი.**

„საკვების მაკონტროლებელ ორგანოს არ სჭირდება სასამართლოს ნებართვა, რათა შეამოწმოს კვების ობიექტები. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, ვამბობდით, რომ შრომის უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგის სამსახურს, ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, შეძლებოდა შრომის უსაფრთხოების შემოწმება, რადგან კანონპროექტის თავდაპირველ ვერსიაში ამ ორგანოს სასამართლოს ნებართვის შემდეგ უნდა განეხორციელებინა სხვადასხვა საწარმოს შემოწმება. შემდგომ დაიხვეწა ეს მიდგომა და ახლა ეს სასამართლოს ნებართვის გარეშე შეუძლია. ჯარიმები კი შეიძლება იყოს სხვადასხვა ოდენობის, ეს უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია საწარმოს შემოსავალზე, თუმცა ყველაზე დიდი ოდენობის ჯარიმა 7 000 ლარს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე საკითხი არ იქნა გათვალისწინებული, მაინც შეიძლება ჩაითვალოს ეს კანონი პირველ ნაბიჯად, რადგან აქამდე გაწერილი სტანდარტები არ არსებობდა. ჯანდაცვის სამინისტროს ფარგლებში მოქმედ ზედამხედველობის დეპარტამენტს, რეკომენდაციის გაცემის გარდა, პრაქტიკულად არანაირი უფლება არ ჰქონდა. იმუშავებს თუ არა სანქციები და აისახება თუ არა ეს დღეს შრომის უსაფრთხოებაზე, მომავალში გამოჩნდება“, — აღნიშნა საიას საპარლამენტო მდივანმა **სოფო ჭარელმა.**

# რას მოუტანს ახალი ჰესები საქართველოს?

**რამდენიმე წელია, აქტიურად მსჯელობენ, საჭიროა თუ არა საქართველოში ახალი ჰესების აშენება. არადა, საქართველო ელექტროენერგიის ნაწილს კვლავ იმპორტის მეშვეობით იღებს.**



პანკისის ხეობაში, მდინარე ალაზანზე, მესამე ჰესის, „ხადორი 3“-ის, მშენებლობა დაიწყო. პროექტის მიხედვით, ჰესის ნაგებობა სოფელ ბირკიანიდან რამდენიმე ათეულ მეტრში უნდა ააშენოს კომპანია „ალაზანი ენერჯიმ“. ამ კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, „ხადორი 3“-ის მშენებლობა 2019 წლის დეკემბრამდე უნდა დასრულდეს.

ბირკიანის მოსახლეობა დასახლებულ პუნქტთან ასე ახლოს ჰესის აშენებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და რამდენიმე საპროტესტო აქცია გამართა. პანკისის მოსახლეობა მოსალოდნელ ეკოლოგიურ საფრთხეებზე საუბრობს.

**„მდინარე ალაზანს ამხელა მილებში რომ მოაქცევენ, შეიძლება ჭაში სასმელი წყალიც დაგვიწყდეს. ალაზნის წყლით საზრდოობს ჩვენი სოფელი და, ალაზანი რომ აღარ იქნება, ჭაც დაშრება. ამ საფრთხეების თავიდან აცილებას რით აპირებენ?! ხალხი წინააღმდეგია და კიდევ ერთი ჰესის აშენებას არ დავუშვებთ“**, — განუცხადა პანკისის სათემო რადიოს ბირკიანში მცხოვრებმა **ვახტანგ ფარეულიძემ.**

საპროტესტო გამოსვლები გრძელდება სვანეთშიც. მოსახლეობა ამჯერად „მესტია-ჭალაჰესის“ მშენებლობის შეჩერებას მოითხოვს. გეგმის მიხედვით, 50-მეგავატიანი ჰესის სამშენებლო სამუშაოები წლის ბოლოს უნდა დასრულდეს. ადგილობრივები კი შიშობენ, რომ ენერგეტიკული ობიექტი ეკოლოგიურ მდგომარეობას გააუარესებს და ღვარცოფულ პროცესებს გააქტიურებს. „ნენსკრა ჰესის“ პროექტი კვლავ დაპირისპირების მიზეზია. მშენებელი იტალიური კომპანია „ნენსკრა ჰიდროს“ საქმიანობით უკმაყოფილო ადგილობრივმა მოსახლეომ პროტესტი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით გამოთქვა. ის კომპანიის მიერ ადგილობრივებისთვის დასაქმებაზე მიცემული პირობის შეუსრულებლობას აპროტესტებდა. ჭუბერის მოსახლეობის განცხადებით, დღემდე ელოდებიან სამუშაო ადგილებს, რისი პირობაც მათ პროექტის განხორციელებამდე მიიღეს.

## „ეს არის, უბრალოდ, ბიზნესინტერესები. ეკოლოგიურად რა შედეგს მიიღებენ, ამაზე ნაკლებად ფიქრობენ“

**ვინ არის დაინტერესებული საქართველოში ჰესების მშენებლობით? — ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ ეკონომიკის საკითხების ექსპერტი დემურ გიორხელიძე ესაუბრება.**

— საქართველოს ენერგეტიკული განვითარების კონცეფცია საღად მოაზროვნე ხალხმა ჯერ კიდევ 2012 წელს შეიმუშავა. შემდეგ ხელისუფლება დაადგა სხვა პოლიტიკას, რომელსაც ლობირებს გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა. ეს ყველაფერი მიბმული არ არის საქართველოს ეკონომიკის განვითარებასთან. ეს არის, უბრალოდ, ბიზნესინტერესები. ეკოლოგიურად რა შედეგს მიიღებენ, ნაკლებად ფიქრობენ, იმიტომ, რომ გადაწყვეტილებებს დღეს იღებენ და 10-20 წლის შემდეგ რა მოხდება, ამ ხალხს აღარ მოეკითხება. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ ენერგეტიკის სამინისტროში, რომელიც, ძალიან კარგია, რომ გააუქმეს. თუმცა, ამ სფეროში, ძირითადად, იგივე ხალხი დარჩა, ხალხი, რომელიც ამბობს, რომ ალტერნატიული მზის ენერგია და ქარის ენერგია კი არის კარგი, მაგრამ ჰესები უკეთესიაო. ენერგეტიკა უნდა განვითარდეს, ჰესები უნდა აშენდეს, მაგრამ ეს პროცესი საქართველოს ეკონომიკასთან უნდა იყოს მიბმული. რაც შეეხება მოსახლეობის პროტესტსა და აქციებს სვანეთსა და პანკისში, შეიძლება მოწინააღმდეგე მხარე მართავდეს, მაგრამ იმ ადამიანებმა, რომლებიც ამას ლობირებენ, კარგად იციან, რომ პროტესტი ჰესების წინააღმდეგ ყოველთვის დაიძლევა.

## „ჰიდრორესურსები არა იაფი, არამედ ენერგიის ყველაზე ძვირი წყაროა საქართველოში“

**არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი დათო ჭიპაშვილი ამბობს, რომ ორი წლის წინათ ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ჰიდროელექტროსადგურების აშენებაზე აქცენტის გაკეთება არასწორი მიდგომა იყო. მესტიაში მშენებარე დიდი ჰიდროელექტროსადგურ „ნენსკრა ჰესის“ მიერ წარმოებული ელექტროენერგია მთავრობას ძალიან ძვირი დაუჯდება და შედეგად მოსახლეობას ელექტროენერგიის ტარიფი გაუძვირდება.**

— დღემდე კონფიდენციალურია ინფორმაცია „ნენსკრა ჰესის“ წარმოებული ელექტროენერგიის ტარიფის შესახებ. რა ფასად მოგვიწევს ელექტროენერგიის შესყიდვა?! კომპანიის მიერ გამოქვეყნებულ რეზიუმეში წერია, რომ ელექტროენერგიის ფასი ყოველწლიურად მოიმატებს, რათა კომპანიამ შემოსავალი 7 ამერიკულ ცენტად გარანტირებულად მიიღოს. რაც ნიშნავს იმას, რომ, თუ ეს ჰიდროელექტროსადგური შევიდა ექსპლუატაციაში (2024-2025 წლებში), ამ თანხის გადახდა მოგვიწევს დახარჯულ ელექტროენერგიაში და ეს ფასი წლების განმავლობაში უფრო მოიმატებს. ჩნდება შეკითხვა: გამოიკვლიეს თუ არა, რა გავლენას იქონიებს ეს ჰიდროელექტროსადგური არა მხოლოდ ელექტროენერგიის ფასზე, არამედ, საზოგადოდ, ეკონომიკის განვითარებაზე?

როდესაც საუბარია ენერგოდამოუკიდებლობაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ენერგეტიკა მხოლოდ ელექტროენერგია არ არის, ელექტროენერგია ენერგეტიკის მხოლოდ მცირე ნაწილია, დაახლოებით 22% საქართველოს შემთხვევაში.

რაც შეეხება ბუნებრივ აირს, ნავთობს, ნავთობპროდუქტებს, ჩვენ დამოკიდებულნი ვართ მეზობელ ქვეყნებზე. შესაბამისად, უნდა იყოს გაკეთებული ანალიზი, ამდენ ჰესს რომ ვაშენებთ, რის ჩანაცვლებას ვაპირებთ ჰიდროელექტროსაგდურების მიერ გამომუშავებული ენერგიით. სულ გვესმოდა, რომ ჰიდრორესურსები იაფი ენერგიის წყაროა. არადა, გარანტირებული შესყიდვების მიხედვით, ჰოდრორესურსები არა იაფი, არამედ ენერგიის ყველაზე ძვირი წყაროა საქართველოში.

მოსახლეობის პროტესტი კი გამოწვეულია იმით, რომ საკითხის შეუსწავლელად ხდება მათთან კომუნიკაცია, რომ ამა თუ იმ ადგილას ჰესი უნდა აშენდეს. კითხვაზე — რა სარგებელი მოაქვს ამ ჰესებს სოფლისა და მოსახლეობისთვის? — პასუხები, როგორც წესი, არის ტრაფარეტული. ამ ჰიდროელექტროსადგურებისგან გამოწვეული ზიანი კი გაცილებით დიდი იქნება. სრულიად სვანეთის მოსახლეობა გაერთიანდა და, ერთობლივი გადაწყვეტილებით, არ დაუშვებს ბუნებისთვის დამანგრეველი ინფრაქტრუქტურების მშენებლობას, მათ შორის, „ნენსკრაჰესის“, „მესტია-ჭალაჰესისა“ და სხვების მშენებლობას.

გვერდი მოამზადა
**სოფო კაკაჩიამ**

**გიორგი მარგველაშვილმა, ბრიუსელსა და ვაშინგტონში მამა-მარჩენლების მონახულებისა და მათგან რჩევა-დარიგებების მიღების შემდეგ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პრეზიდენტად ყოფნის პერიოდში არ შეცვლილა და ისეთივე თვალსაზრისი აქვს ქართველ ერზე, როგორიც 2001 წელს ჰქონდა, როცა გამოაქვეყნა „ნაშრომი“: „ნიჩურტა! — მე ქართველი ვარ“.**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრეზიდენტი, რომელსაც არ ადარდებს, რას ეუბნება მოსახლეობის ნაწილი

**ინტერვიუმ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ტელეკომპანია „პირველის“ გადაცემა „პოლიტმეტრის“ წამყვანმა ნინო ჟიჟილაშვილმა ჩამოართვა, კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართული ანდაზა: „კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს!“**

გიორგი მარგველაშვილმა, ბრიუსელსა და ვაშინგტონში მამა-მარჩენლების მონახულებისა და მათგან რჩევა-დარიგებების მიღების შემდეგ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პრეზიდენტად ყოფნის პერიოდში არ შეცვლილა და კვლავ ისეთი თვალსაზრისი აქვს ქართველ ერზე, როგორიც 2001 წელს ჰქონდა, როცა გამოაქვეყნა „ნაშრომი“: „ნიჩურტა! — მე ქართველი ვარ“.

თითქმის საათნახევრიან ინტერვიუში მარგველაშვილმა ილაპარაკა თავის „მიღწევებზე“: რომ ვაშინგტონში ისაუბრა აშშ-ის მიერ საქართველოს **მხარდამჭერი აქტის** მიღებაზე, რაც ისტორიული ნაბიჯი იქნება; აგრეთვე, იმაზეც, რომ **„მის წინააღმდეგ გალაშქრება კომიკური იყო“; რომ „ვიღაცას მიაჩნია, რომ ჩემზე მეტად უყვარს სამშობლო“ და რომ მისი „ყველაზე წმინდა გრძნობებია ქართველობა და ქრისტიანობა“** (?! — ლ.მ.).

ქსოვის მოყვარულმა პლასტილინა პრეზიდენტმა, რომელმაც 2001 წელს გამოქვეყნებულ ე.წ. ფილოსოფიურ ესეში ქართველ ხალხს გონებასუსტი და დებილი უწოდა, პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის 4 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, თავი მხოლოდ სახელისუფლო გუნდისთვის ოპოზიციონერობის გაწევით, კანონებზე ვეტოს დადებით, არაადეკვატური განცხადებებითა და სააკაშვილის სასახლიდან გამოსვლაზე უარით დაგვამახსოვრა, აგრეთვე, იმით, რომ 2016 წელს მეუღლესთან ერთად 5 დღით იმყოფებოდა ოლიმპიურ თამაშებზე რიოდე-ჟანეიროში, რაც საქართველოს ბიუჯეტს 130 ათასი ლარი დაუჯდა (პენსიონერის ყოველთვიურ შემოსავალზე 722-ერ მეტი!), პატიმრობიდან გაათავისუფლა კრიმინალში მსჯავრდადებული ცოლის ნათესავები, მიხეილ სააკაშვილის მიერ მილიონების გაფლანგვას „5 პიჯაკის საქმე“ დაარქვა, 3000 უცხოელს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა და საბერძნეთში ვიზიტისას ქალიშვილიც იახლა — ესეც, ალბათ, საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე.

ინტერვიუში გიორგი მარგველაშვილს, მიუხედავად განაცხადებისა, რომ მისი „ყველაზე წმინდა გრძნობებია ქართველობა და ქრისტიანობა“, ნებსით თუ უნებლიეთ, წამოსცდა: **„არ მაინტერესებს, ისტორიის სახელმძღვანელოებში რას დაწერენ გიორგი მარგველაშვილზე“**, ბოლოს კი განაცხადა: **„მოსახლეობის ნაწილი, ნაკლებად მადარდებს, მე რას მეუბნება“.**




ასეა! საქართველოს პრეზიდენტს, რომლის „ყველაზე წმინდა გრძნობებია ქართველობა და ქრისტიანობა“, არ აინტერესებს მოსახლეობის თუნდაც ნაწილის აზრი, სამაგიეროდ, აინტერესებს ამერიკელი პატრონების აზრი და რჩევა-დარიგებები.

ისე, საინტერესოა: **ფილოსოფოს პრეზიდენტს, რომელმაც განათლება ჯორჯ სოროსის მიერ შექმნილ ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში მიიღო და რომელმაც ქართველ ხალხს გონებასუსტი და დებილი უწოდა, მოსახლეობის რომელი ნაწილის აზრი აინტერესებს: იმავე სოროსის ბუდეში გამოჩეკილი სუბიექტების ხომ არა, რომლებიც მხოლოდ ყოველივე ქართულისა და ქრისტიანობის წინააღმდეგ იბრძვიან?**

**ლუკა მაისურაძე**

## ამონარიდები გიორგი მარგველაშვილის «ნაშრომიდან» — «ნიჩურტა! — მე ქართველი ვარ»

ალბათ, იმედი დიდი საქართველოს მომავლისა, თავიდანვე იყო ილუზიური, ამას დღეს ბევრი ხვდება, მაგრამ რა არის იმის მიზეზი, რაც ჩვენ ჩვენი თავისაგან შევქმენით მეოცე საუკუნის ბოლოს? **როგორია ჩვენი ავადმყოფობის ფურცელი? დიაგნოზი და პროგნოზი?**

დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია — **გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით — ანუ ფაქტიურად მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ ფორმამდე. ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისათვის შესაფერისი აზროვნება — აი საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა.** მაგრამ, ნათელია, რომ დებილობა ინდივიდში და გონებრივი სისუსტე ერში, განსხვავებულად გამოიხატება. მაშინ, როდესაც კონკრეტული ადამიანის შეფასებისათვის, საკმარისია დააკვირდეთ მის ქცევას, ერის შემთხვევაში, ანალიზი განსხვავებულ პარამეტრთა ანალიზს გულისხმობს, აქ უნდა ამოიცნოთ უფრო ზოგადი — ქცევის პატერნები, სოციალურად მიღებული ნორმები, მსოფლმხედველობის ფორმები, იდეოლოგია, ტრადიციები და წესჩვეულებები...

**შემდეგი ნიშანია შეუსაბამობა ნებელობით ფუნქციასთან. როგორც ინფანტილობა, როგორც გონებრივი ჩამორჩენილობის კიდევ ერთი გამოხატულება“.**

# ბრიტანეთის ავტოგოლი

# გაერთიანებული სამეფო რუსეთის კარს უმიზნებდა, მაგრამ ბურთი საკუთარ კარში გაიტანა

**2018 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელიც 14 ივნისი-15 ივლისის პერიოდში რუსეთში უნდა გაიმართოს, იმ მომენტიდანვე შეიქნა სპეკულაციის საგანი, როცა გაირკვა, რომ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული საფეხბურთო ასპარეზობის მასპინძელი რუსეთი იქნებოდა. ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელთა ამჟამინდელი მოწოდებები კი ამ ჩემპიონატისთვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ გაჭიანურებული დრამის ბოლო აქტია.**

მსოფლიოს სპორტის პოპულარული წარმომადგენლების რეაქცია საკმაოდ მწვავე აღმოჩნდა ბრიტანეთის მთავრობის წევრების განცხადებებზე რუსეთში გასამართი მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მიმართ ბოიკოტის გამოცხადებაზე.

ამ რეაქციის პროლოგი იყო შეფასება ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელისა და მწვრთნელის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი კაპიტნის, **გარი ნევილისა**, რომელმაც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **ბორის ჯონსონს**, რომელიც მსოფლიოს მოუწოდებდა რუსეთში გასამართი ფეხბურთის ჩემპიონატს ბოიკოტისკენ, **„უტვინო ვირი“** უწოდა.

ნევილის შემდეგ ამ საკითხზე (ბოიკოტის) ძალიან მშვიდად ისაუბრა „ევროპული სოლიდარობისთვის“ საკვანძო ფიგურამ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ჰორსტ ზეეჰოფერმა.** კითხვას — დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გაუარესების ფონზე უნდა გამოუცხადოს თუ არა გერმანიამ 2018 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს ბოიკოტი, ზეეჰოფერმა ასე უპასუხა: **„პოლიტიკური პრობლემები უნდა მოაგვარონ პოლიტიკის წარმომადგენლებმა და არა სპორტის“.**

უფრო მწვავე განცხადება გაისმა „პლანეტის მთავარი საფეხბურთო ადამიანის“, ფიფას პრეზიდენტის, **ჯანი ინფანტინოს** მხრიდან, რომელმაც თავისებურად შეაფასა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ბოიკოტის იდეა: **„ჩვენ არავისთან ვაპირებთ ომს, თქვენ ნახავთ საფეხბურთო დღესასწაულს, ხოლო, თუ ვინმე შეეცდება ამ დღესასწაულის გაფუჭებას, მას სერიოზული პრობლემები შეექმნება. რუსებს სურთ, ტურნირი წარმატებით ჩაატარონ. მე არასოდეს მინახავს ღონისძიების ჩასატარებლად ისეთი დონის სამზადისი, როგორიც რუსეთში ვიხილე, განსაკუთრებით — უსაფრთხოების მხრივ“,** — განაცხადა ჯანი ინფანტინომ, რომელმაც მანამდე ცივი წყალი გადაასხა „რუსულ ფეხბურთში დოპინგის კვალის“ მაძიებლებს. ფიფას პრეზიდენტის განცხადებით, პასუხები ყველა დოპინგ-სინჯისა, რომლებიც რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებს ბოლო სამ დიდ საერთაშორისო ტურნირზე აუღეს, უარყოფითი იყო. საუბარია 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიაში, 2016 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატსა და 2017 წლის კონფედერაციის თასზე. დოპინგზე საუბრისას ინფანტინომ ხუმრობით აღნიშნა, რუსი ფეხბურთელები დოპინგს რომ მოიხმარდნენ, იმაზე გაცილებით უკეთ ითამაშებდნენ, ვიდრე დღეს ასპარეზობენ. ისე, იფანტინოს ეს ხუმრობა სიმართლესთან ახლოსაა.




„საფეხბურთო დაპირისპირებას“ ამ რაუნდში ანგლოსაქსები გამარცხდნენ და ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებმა **ანგელა მერკელის** მეთაურობით, უბრალოდ, უარი თქვეს „მსოფლიოს ჩემპიონატის ბოიკოტის“ იდეის განხილვაზე ევროკავშირის ლიდერების სამიტზე, რომელიც „სკრიპალის საქმის“ გამო უნდა გაიმართოს. ყოველ შემთხვევაში, მერკელის განცხადებით, **„2018 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ბოიკოტზე მსჯელობა დაგეგმილი არ არის“.**

მეტიც. **ბრიტანული გამოცემა DAILY MAIL-ის მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, ბოიკოტის წინააღმდეგია ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია(FA). როგორც გაზეთი იუწყება, ასოციაცია მზად არის, წინ აღუდგეს ტურნირის ბოიკოტისკენ მოწოდების ნებისმიერ მცდელობას, თუ ვინმე დააპირებს პოლიტიკურ ინსტრუმენტად ფეხბურთის გამოყენებას.**

სხვათა შორის, ინგლისურმა ფეხბურთმა, თავისი გულშემატკივრების თავშეუკავებლობის გამო, მართალია, საკლუბო დონეზე, მაგრამ ერთხელ უკვე იწვნია საერთაშორისო იზოლაციის სიმწარე — 1985 წლის მაისში ბრიუსელში, სტადიონ „ეიზელზე“ ლივერპულის „ლივერპულისა“ და ტურინის „იუვენტუსის“ მატჩის მიმდინარეობისას ინგლისელმა გულშემატკივრებმა ტრიბუნებზე ჩხუბი აუტეხეს იტალიელებს. შედეგად დაიღუპა 39 ადამიანი, 600-ზე მეტი — დაიჭრა. ამის შემდეგ ინგლისურ კლუბებს 5 წლით აუკრძალეს ევროპულ ტურნირებში მონაწილეობა. ეს ინგლისელებს ძალიან არ მოეწონათ და, თავიანთი პოლიტიკოსების სულელური იდეების გამო, სულაც არ აპირებენ, იზოლაცია კიდევ ერთხელ გამოსცადონ.

დაპირისპირების პირველ ტაიმში მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, ვითარება რუსეთისთვის მაინც არ არის დამამშვიდებელი. მსოფლიოს ყოფილი უძლიერესი იმპერიის ფუნქციონერები შეუპოვრობით გამოირჩევიან და შესაძლებლობებიც საკმარისი აქვთ.

მაგალითად, **რუსეთის ფედერაციის მეზობელია უკრაინა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას შეიძლება მოისურვოს დონბასის დაბრუნება ომით, დონბასიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში კი მდებარეობს როსტოვი, რომლის შესანიშნავ სტადიონზე მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩები უნდა გაიმართოს, თუმცა რუსეთს შეუძლია, პროვოკატორებს საკადრისი პასუხი გასცეს.**

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძე**

ქრისტიანების დევნა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს ბაკქანალია — მართლმადიდებლობაზე თავდასხმები, რომლებსაც ე.წ. დემოკრატიული დასავლეთი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ტელევიზიების, აგრეთვე, სამთავრობო სტრუქტურებში მოკალათებული პირების ხელით ახორციელებს, თვით დედაეკლესიაში შიგა დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს. ამის დასტურია ე.წ. ციანიდის საქმე, მაღალი იერარქიის სასულიერო პირებს შორის დაპირისპირება და ურთიერთბრალდებები, რომლებიც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ, როგორც ხელისუფლებაში, ისე საპატრიარქოში ბევრია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესების გამტარებელი პირი.**

# ქრისტიანობასთან ბრძოლის ქრონიკები და გაბუნიაზე მზრუნველი «ქართული ოცნება»

**„კომუნიზმის დანგრევის შემდეგ ამერიკის ერთადერთი მტერი მართლმადიდებლობაა“, — ამ ფრაზას პოლონური წარმოშობის ამერიკელ პოლიტოლოგსა და სოციოლოგს, აშშ-ის 39-ე პრეზიდენტის, ჯიმი კარტერის, მრჩეველს უსაფრთხოების საკითხებში — ზბიგნევ ბჟეზინსკის (1928-2017) მიაწერენ. უცნობია, სად და ვისთან თქვა ეს სიტყვები ბჟეზინსკიმ, მაგრამ აშკარაა, რომ სწორედ 1991 წლიდან, სსრკ-ის დანგრევის შემდეგ დაიწყო მართლმადიდებლობაზე გააფთრებული შეტევა.**



ანტიმართლმადიდებლური ძალების პირველი სამიზნე იუგოსლავია იყო.

კოსოვო, რომელიც 1990-იან წლებში „დემოკრატიულმა დასავლეთმა“ სერბეთს წაჰგლიჯა, მართლმადიდებლურ სამყაროში ერთ-ერთ წმინდა მიწად ითვლებოდა, რადგან ამ პატარა მხარეში მდებარეობდა 1400-მდე მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტერი, მაგრამ დღეს ყველაფერი, რაც კი ქრისტიანობასთან ასოცირდებოდა, მიწასთანაა გასწორებული და ეს გააკეთა ნატომ ალბანელი ექსტრემისტების წახალისებითა და უშუალო მონაწილეობით.

**1999 წელს, მართლმადიდებლურ აღდგომას, ნატოს ავიაციამ უმოწყალოდ დაბომბა სერბეთის ტერიტორია, ესროდნენ მართლმადიდებლურ ძეგლებს, ჭურვებზე კი ეწერა: „გილოცავთ აღდგომას!“. ნატოს მონაცემებით, 35 ათასი ავიადარტყმა განახორციელეს. იუგოსლავიას 3 ათასი ფრთოსანი რაკეტა, 25 ათასი ტონა (ზოგიერთი მონაცემით — 79 ათასი) ასაფეთქებელი ნივთიერება დაატყდა თავს; დაიღუპა — 5700 ადამიანი, მათ შორის, 400 ბავშვი; დაიჭრა — 7000-მდე მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის, 2000-ზე მეტი ბავშვი; უგზო-უკვლოდ დაიკარგა 821 ადამიანი; მატერიალურმა ზიანმა, რომელიც იუგოსლავიას მიადგა, 200 მილიარდი დოლარი შეადგინა.**

„ამჟამად ქრისტიანების სასტიკმა დევნა-შევიწროებამ არნახული მასშტაბი მიიღო“, — აღნიშნულია კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაცია Aid to the Church in Need-ის 2017 წლის ანგარიშში, — ამასთანავე, ქრისტიანების დევნის, მეთოდები სულ უფრო სასტიკი ხდება. ბევრ ქვეყანაში ვითარება კვლევის ჩატარების პერიოდამდე ისეთი სერიოზული იყო, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, კიდევ უფრო თუ გაუარესდებოდა“, — ნათქვამია ანგარიშში სახელწოდებით **„ტანჯულები და დავიწყებულები?“**, — მაგრამ ეს მაინც მოხდა... მხოლოდ 2016 წელს მსოფლიოში **600 ათასმა ქრისტიანმა განიცადა დევნა-შევიწროება ამა თუ იმ ფორმით.** მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულთა ზუსტი რაოდენობის დადგენა ყოველთვის რთულია, უეჭველია, რომ ქრისტიანების დევნის მასშტაბი კვლავ დიდია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში“.

ანგარიშში გამოთქმულია შეშფოთება ქრისტიანების მდგომარეობის გამო ახლო აღმოსავლეთში და ნათქვამია, რომ „ქრისტიანებისა და სხვა რელიგიის წარმომადგენლების განადგურება ყოველთვის იყო და არის გაცხადებული მიზანი ერაყში, სირიასა და ამ რეგიონის სხვა ნაწილებში, მათ შორის, ეგვიპტეში მოქმედი ექსტრემისტული სამხედრო დაჯგუფებებისა. ანგარიშში მოყვანილია ქალდეური კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსის — **ანტონი აუდოს** სიტყვები, რომ ბოლო 5 წელიწადში ქრისტიანთა რაოდენობა რეგიონში 1,2 მლნ-ით შემცირდა და ახლა (2016 წელს) მხოლოდ 500 ათასს შეადგენს.

კერძოდ, **ერაყის** ქრისტიანული მოსახლეობა 2015 წელთან 2 წელიწადში 275 ათასიდან 150 ათასამდე შემცირდა და, თუ მათი განადგურება კვლავაც ასეთი ტემპით გაგრძელდება, 2020 წელს ამ ქვეყანაში საერთოდ აღარ იცხოვრებს ქრისტიანი, თუმცა, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების განდევნის შემდეგ, ნინევიის ველზე ათასობით ქრისტიანი დაუბრუნდა თავის კერას.

ქრისტიანებს გენოციდი მოუწყვეს **ნიგერიის** ჩრდილოეთში, სადაც „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებულმა ტერორისტულმა ორგანიზაცია „ბოკო ჰარამმა“ მასშტაბური კამპანია გააჩაღა ქრისტიანების გასანადგურებლად“.

2014 წლიდან ქრისტიანები იდევნებოდნენ **ინდოეთშიც**, სადაც ხელისუფლების სათავეში მოვიდა ინდური ნაციონალიზმის ულტრამემარჯვენე პარტია „ბჰარატია ჯანათა პარტი“, რომელსაც ხელმძღვანელობს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი **ნარენდრა მოდი.** ანალოგიური ტენდენცია აღინიშნება ჩინეთშიც, სადაც ანგრევენ ქრისტიანულ ეკლესიებს და ანადგურებენ ჯვრებს.

* 2018 წლის იანვარში, შობის დღესასწაულზე **ნიგერიაში** 4 ქრისტიანი მოკლეს, 10 — დაჭრეს;

* მუსლიმანებმა **პაკისტანის** ქალაქ კვეტაში 9 ქრისტიანი მოკლეს და 50-ზე მეტი — დაჭრეს;

* 2017 წლის ბოლოს ეგვიპტეში მოკლეს კათოლიკე მღვდელი. „მე ალაჰი მეუბნებოდა, მომეკლა ის“, — განაცხადა თავდამსხმელმა.

იმავე წლის 9 აპრილს ეგვიპტეში ააფეთქეს კოპტების ორი ეკლესია, დაიღუპა ათეულობით ადამიანი;

* **კენიაში** „ალ-შაბ-ააბის“ ტერორისტებმა თავი მოჰკვეთეს 9 ქრისტიანს;

* **შრი-ლანკაზე** ბუდისტების ჯგუფმა სრულიად გაანადგურა პროტესტანტული ეკლესია;

* 2016 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 90 ათასი ქრისტიანი მოკლეს რწმენის გამო, მილიარდზე მეტი — კი სასტიკად იდევნებოდა.

საქართველოში მართლმადიდებლობაზე შეტევა ხელისუფლების სათავეში „ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლისთანავე დაიწყო — 2004 წლის 12 მარტს ნაციონალებმა შინაგან საქმეთა იმჟამინდელი მინისტრის, „მარადმწვანე“ პარლამენტარ (ამჟამადაც პარლამენტარია) **გია ბარამიძის** მეთაურობით, გლდანის ეკლესია დაარბიეს, ტაძრის კარი სატვირთო ავტომანქანით შელეწეს, ხელკეტებით სცემეს მრევლს, ქალები თმით ათრიეს.

ამ სადამსჯელო აქციაში, გია ბარამიძესთან ერთად, მონაწილეობდნენ: **ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დათა ახალაია, ვასილ სანოძე, ოლეგ მელნიკოვი.** ეკლესიის წინამძღოლი **მამა ბასილი** და მისი მხარდამჭერი **პეტრე ივანიძე** კი საპყრობილეში გამოამწყვდიეს. როგორც ჩანს, ეს იყო შურისძიება 1999 წლის ინციდენტის გამო, როდესაც მამა ბასილის მხარდამჭერებმა ქვებით შეიარაღებული **გიგა ბოკერია** და **დავით პაიჭაძე** გალახეს.

ამის შემდეგ დაიწყო საპატრიარქოს საქმეებში სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევა, შეტევა პატრიარქსა და მართლმადიდებლურ ღირებულებებზე.

**2012 წელს, როდესაც ხალხმა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი მოიშორა, ბევრს ეგონა, რომ მართლმადიდებლობასა და ქართულ ტრადიციულ ფასეულობებზე შეტევა შეწყდებოდა, მაგრამ მოხდა პირიქით...**

„ქართული ოცნება“, უკვე მე-6 წელიწადია, ხელისუფლების სათავეშია და, შეიძლება ითქვას, ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური საქმიანობით არათუ გაუტოლდა „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიან სისხლიან რეჟიმს, არამედ გაუსწრო კიდეც. სწორედ „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, კერძოდ, 2013 წელს, იყო ჰომოსექსუალთა მხრიდან ე.წ. აღლუმის გამართვის მცდელობა, რომელიც კრახით დასრულდა ასი ათასამდე მართლმადიდებლის ქუჩაში საპროტესტო აქციაზე გამოსვლის გამო. 2013 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს დაეკისრა ვალდებულება, მიეღო კანონი, რომელიც დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის აღმოფხვრისკენ იქნებოდა მიმართული და, მიუხედავად ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტისა, საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს ერთხმად(!) მიიღო ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი. ეს არის ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგიის განმტკიცება-პროპაგანდისკენ გადადგმული ნაბიჯი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 17 მაისი ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოაცხადა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტს 2018 წლის სამოქმედო გეგმაში შეტანილი აქვს ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორი- ▶



**საპატრიარქოში შექმნილ რთულ ვითარებასა და განხეთქილებაზე მიუთითებს მაღალი იერარქიის სასულიერო პირების ვიზიტები ვაშინგტონში. აღსანიშნავია, რომ იმ მღდელმთავრებმა, რომლებიც ადრე ანტილიბერალური გამონათქვამებით გამოირჩეოდნენ, რომ იტყვიან, ფირფიტა გადააბრუნეს და ახლა დასავლური ფასეულობების დამცველებად მოაქვთ თავი, ხოტბას ასხამენ ამერიკის შეერთებულ შტატებს და ლამის, სექსუალური უმცირესობების დამცველებად მოგვევლინონ**

## ქრისტიანების დევნა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც ქართული მედიასაშუალებები წერდნენ, „აქციის მონაწილეებმა „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს“, მაგრამ თითქმის არაფერი უთქვამთ იმ შეურაცხყოფაზე, რომელიც „რუსთავი 2“-ის ტელეწამყვანმა აკადრა მართლმადიდებლებს და სრულიად ქრისტიანულ სამყაროს, ანუ ე.წ. ლიბერალურმა მასმედიამ და გრანტიჭამია არასამთავრობოებმა გაბუნიას მიმართ მუქარა „საყურეებს მოგაძრობ“ დიდ დანაშაულად ჩათვალეს, ხოლო ქრისტეზე უტიფარი ხუმრობა და ქრისტიანული სამყაროს შეურაცხყოფა — გამოხატვის თავისუფლებად (?! — ნ.კ.). ისე, საინტერესოა, როგორ მოიქცევიან ე.წ. ლიბერალური მედიისა და არასამთავრობოების წარმომადგენლები, ვინმემ მუსლიმანთა ან იუდეველთა რელიგიური გრძნობები რომ შეურაცხყოს.**

◀სო დღის აღნიშვნა 17 მაისს(?)...

ამ ყველაფრის პარალელურად ქვეყანაში მოიმატა მართლმადიდებლობის შეურაცხმყოფელმა თავხედურმა გამოხდომებმა არასამთავრობოებისა თუ ცალკეული პირების მხრიდან:

* 2017 წლის 11 მაისს ორმა პირმა ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ეზოში, ლგბტ-ის დროშაააფრიალა;

* სოციალურ ქსელში ვინმე კობა ბიწაძემ გამოაქვეყნა ფოტოები, რომლებზეც ასახულია, როგორ ფრიალებს დროშა ბაგრატის ტაძრის ეზოში. ამ ფოტოს აქვს მინაწერი: „ამ ეკლესიის ეზოში მაქვს ნატ...ები რამდენჯერმე ბიჭებთან და პრობლემაა რამე?“

*„კომპანია „აიისამ“ გამოუშვა პრეზერვატივები, რომლებზეც წმინდანი მეფე თამარია გამოსახული, წარწერით „სამეფო კარი თამარში“, პრეზერვატივის სხვა პაკეტზე „ქართვლის დედაა“ წარწერით: „მე არ მსურს, ვიყო დედაშენი — ქართველი ქალი წარმატებული და ემანსიპირებულია“;

* მიმდინარე წლის 3 თებერვალს კი ილიას უნივერსიტეტის ლექტორმა, ვინმე **გიორგი მაისურაძემ** სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა მუქარის შემცველი განცხადება:

**„მანამ არ მოვისვენებთ, სანამ საქართველოში მართლმადიდებლობას არ დავასრულებთ“.**

„ამ ტექსტით, მინდა, მივმართო ლიბერალური ფასეულობების და სალი, თავისუფალი აზროვნების მქონე საქართველოს ყველა მოქალაქეს. დროა, ყველაფერს ღიად დაერქვას თავისი სახელი. ილუზიებში ნუ იცხოვრებთ, მეგობრებო! დღეს მართლმადიდებლობას იერიში მიაქვს თავისუფალ სიტყვაზე, თვით თავისუფლების უწმინდეს იდეაზე. არა საპატრიარქოს, არა რომელიმე მღვდელმსახურს, არა პარლამენტს და პოლიტიკურ პარტიებს, არამედ, პირველ რიგში, სწორედ — მართლმადიდებლობას, ამ შავბნელ, რუსულ, იმპერიალისტურ იდეოლოგიას. სწორედ მართლმადიდებლობა, და არა რომელიმე ორგანიზაცია ან პიროვნება, არის მთავარი წინაღობა საქართველოში დასავლური ფასეულობების საბოლოოდ დამკვიდრებისა. და ყველა მისი მიმდევარი სინათლისა და პროგრესის ცნობიერი თუ გაუთვითცნობიერებელი მტერია. ამიტომ **ჩვენ, ლიბერალები, საქართველოს ინტელექტუალური ელიტა, საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტები, ვიბრძოლებთ ბოლომდე და ყველა კანონიერი საშუალებით, სანამ საბოლოოდ არ დავასრულებთ ამ ანტიპროგრესულ, ანტიცივილურ იდეას საქართველოში, ამ სიბნელის, აგრესიისა და უძრაობის დასაყრდენს მართლმადიდებლური რწმენის სახით“.**

* ახლახან, 19 მარტს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პოსტკრიპტუმის“ წამყვანმა **გიორგი გაბუნიამ** ყველა ქრისტიანისთვის შეურაცხმყოფელი რამ განაცხადა:

„მე ვფიქრობ, რომ იესო ქრისტემ დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც საქადაგებლად 2000 წლის წინ ისრაელში მოვიდა. უნდა მოსულიყო 2-3 წელიწადში აჭარაში და ჯვარზე კი ვერ გააკრავდნენ, იმიტომ, რომ ჯვრის დასამზადებლად ხე აღარ იქნებოდა დარჩენილი. ამ დროისთვის ბიძინას ეზოში იქნება ყველა ხე გადარგული. ასე იცოცხლებდა იესო ღრმა სიბერემდე უხეო აჭარაში. მთავარია, სადმე ბიძინასთვის არ გადაეკვეთა გზა ან უარესი — მის ეზოში არ დაეწყო ქადაგება, თორემ იგივენაირად დაასრულებდა, როგორც 2000 წლის წინ, ან უარესად“.

ამ განცხადების გამო საზოგადოების აღშფოთების შემდეგ „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა **ნიკა გვარამიამ** ტელეკომპანიის სახელით მორწმუნე ადამიანებს ბოდიში მოუხადა, ტელეკომპანიის ეთიკის კომისიამ კი გაბუნიას საყვედური გამოუცხადა.

ამის მიუხედავად, მეორე დღეს, 20 მარტს, გიორგი გაბუნიამ უტიფრად განაცხადა, რომ არავინ შეურაცხუყვია და ბოდიშის მოხდას არ აპირებს(?!) — ნ.კ.).

ამას მოჰყვა „ქართული მარშის“ საპროტესტო აქცია „რუსთავი 2“-ის შენობასთან — აქციის მონაწილეები ტელევიზიის ეზოში არ უშვებდნენ გიორგი გაბუნიას და მას ბოდიშის მოხდას სთხოვდნენ. იყო შეძახილები „საყურეებს მოგაძრობ“... გადმოდი მანქანიდან“ და ა.შ. როგორც ქართული მედიასაშუალებები წერდნენ, „აქციის მონაწილეებმა „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს“, მაგრამ თითქმის არაფერი უთქვამთ იმ შეურაცხყოფაზე, რომელიც „რუსთავი 2“-ის ტელეწამყვანმა აკადრა მართლმადიდებლებს და სრულიად ქრისტიანულ სამყაროს, ანუ ე.წ. ლიბერალურმა მასმედიამ და გრანტიჭამია არასამთავრობოებმა გაბუნიას მიმართ მუქარა „საყურეებს მოგაძრობ“ დიდ დანაშაულად ჩათვალეს, ხოლო ქრისტეზე უტიფარი ხუმრობა და ქრისტიანული სამყაროს შეურაცხყოფა — გამოხატვის თავისუფლებად (?! — ნ.კ.). ისე, საინტერესოა: როგორ მოიქცევიან ე.წ. ლიბერალური მედიისა და არასამთავრობოების წარმომადგენლები, ვინმემ მუსლიმანთა ან იუდეველთა რელიგიური გრძნობები რომ შეურაცხყოს?!

**მომხდარს საქართველოს საპატრიარქო გამოეხმაურა და სახელმწიფოს „რელიგიური გრძნობების სათანადოდ დაცვის უზრუნველყოფისკენ“ მოუწოდა.**

„ბოლო დროს კიდევ უფრო გაძლიერდა მორწმუნე საზოგადოების გრძნობების შეურაცხყოფისა და ღვთის გმობის გამოვლინებები. არის არაერთი შემთხვევა, თუმცა კომპანია „აიისას“ და მისი დირექტორის უზნეო თავგასულობა და „რუსთავი 2“-ის ა.წ. 18 მარტის სიუჟეტი თავისი უტიფრობით, სარკაზმითა და ცინიზმით საზოგადოებისთვის ღია გამოწვევად იქცა“, — ნათქვამია განცხადებაში.

საპატრიარქოს განცხადებაში, ასევე, ნათქვამია, რომ ამ ფაქტებს „მოჰყვა ცალკეული მოქალაქეების, „ქართული მარშისა“ და ზოგიერთი სასულიერო პირის მხრიდან მკვეთრი რეაგირება“. „ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ ძალადობრივ ქმედებებს. ამასთანავე, მკვეთრ რეაგირებას ვითხოვთ ხელისუფლებისაგან, რათა მორწმუნეთ (იქნება ეს ქრისტიანი, მუსლიმი, იუდეველი თუ სხვა) უსამართლობისა და დაუცველობის განცდა მოეხსნათ.

გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ფასეულობას, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი მთავარი გარანტია, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამ უფლებით სარგებლობა განუყოფლადაა დაკავშირებული პასუხისმგებლობასთან და სხვისი უფლებებისა და თავისუფლების დაცვასთან, ამიტომაც მივმართავთ მორწმუნეთ: ახალგაზრდებს, ინტელიგენციას, არასამთავრობო სექტორს, სახალხო დამცველს და, საერთოდ, ყველას: ძალისხმევა მივმართოთ იქითკენ, რომ სახელმწიფომ დროულად უზრუნველყოს რელიგიური გრძნობების სათანადოდ დაცვა, რითაც დაიცავს ქვეყნის სტაბილურობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს“, — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

**საპატრიარქოს განცხადებას მოჰყვა დასავლეთისადმი მონური მორჩილებით გამორჩეული საქართველოს ხელისუფლების არაადეკვატური პასუხი — „ქართული მარშის“ 6 წევრის დაპატიმრება მუხლით, რომელიც 2-დან 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს(!). არადა, შარშან, დეკემბერში, ქვეყნის პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა პირდაპირ ეთერში „კეთილები“ აგინა დეპუტატ ნიკა მელიას, მაგრამ ის არათუ დააპატიმრეს, ჯარიმაც კი არ გამოუწერეს.**

ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლებამ გიორგი გაბუნიას, რომელიც ამბობს, რომ „მუდმივ სტრესში უწევს მუშაობა და ქუჩაში გადაადგილება“, დაცვა დაუნიშნა, რათა თავიდან, არათუ საყურე, თმის ღერიც არ ჩამოუვარდეს.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 30 სექტემბერს „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტ **ზაზა დავითაიას** თავს დაესხნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ (ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელია სააკაშვილის გულმხურვალე მხარდამჭერი **კობა ხაბაზი,** რომელიც კიევის ცენტრში შეკრებილი ხალხის დასახოცად ქართველი სნაიპერების ჩაყვანის ერთ-ერთ ორგანიზატორად დაასახელეს ამ სნაიპერებმა) წევრები და სასტიკად გაუსწორდნენ, მაგრამ არავინ დაუსჯიათ, „ქართული მარშის“ წევრები კი სასწრაფოდ დააპატიმრეს. მათ გაბუნიას სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის 2-დან 5 წლამდე ციხე ემუქრებათ.

ეს ბაკქანალია — მართლმადიდებლობაზე თავდასხმები, რომლებსაც ე.წ. დემოკრატიული დასავლეთი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ტელევიზიების, აგრეთვე, სამთავრობო სტრუქტურებში მოკალათებული პირების ხელით ახორციელებს, თვით დედაეკლესიაში შიგა დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს. ამის დასტურია ე.წ. ციანიდის საქმე, მაღალი იერარქიის სასულიერო პირებს შორის დაპირისპირება და ურთიერთბრალდებები, რომლებიც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ, როგორც ხელისუფლებაში, ისე საპატრიარქოში ბევრია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესების გამტარებელი პირი.

ამის დასტურია ციანიდის საქმეში მონაწილე ერთ-ერთი პირის, პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის, ამჟამად უცხოეთში გაქცეული **სოსო ოხანაშვილის** ბიოგრაფიაც. ოხანაშვილმა, რომელიც საპატრიარქოში „ნაცმოძრაობამ“ ჩანერგა და რომელსაც თავის დროზე დიდი გავლენა ჰქონდა საპატრიარქოში, 1998-2003 წლებში აშშ-ში გაიარა სპეცდანიშნულების რაზმის წევრობის მოსამზადებელი რამდენიმე კურსი; 2003 წელს გახდა „მწვანე ბერეტი“. ოხანაშვილი მხარს უჭერს სააკაშვილის მეხოტბე **მეუფე კალისტრატეს, მიტროპოლიტ დიმიტრის, მეუფე პეტრეს** (ცაავას).

საპატრიარქოში შექმნილ რთულ ვითარებასა და განხეთქილებაზე მიუთითებს მაღალი იერარქიის სასულიერო პირების ვიზიტები ვაშინგტონში. აღსანიშნავია, რომ იმ მღდელმთავრებმა, რომლებიც ადრე ანტილიბერალური გამონათქვამებით გამოირჩეოდნენ, რომ იტყვიან, ფირფიტა გადააბრუნეს და ახლა დასავლური ფასეულობების დამცველებად მოაქვთ თავი, ხოტბას ასხამენ ამერიკის შეერთებულ შტატებს და ლამისაა, სექსუალური უმცირესობების დამცველებად მოგვევლინონ.

როგორც ხედავთ, **არ ცხრება ე.წ. ლიბერალების შეტევები და ტერორი მართლმადიდებლების მიმართ. ამ სულგაყიდული სუბიექტების ერთადერთი მიზანი ყოველივე ქართულის, მართლმადიდებლების შეურაცხყოფაა და ამას გამოხატვის თავისუფლებას უწოდებენ.**

აშშ-ის სპეცსამსახურებმა გამოზარდეს პოლიტიკოსების მთელი თაობა, და, როგორც ჩანს, არა მხოლოდ პოლიტიკოსების, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ უნდა განადგურდეს ყველა, ვისაც განსხვავებული აზრი და ცხოვრების წესი აქვს, ვიდრე დასავლურ (ლიბერალურ) წარმოდგენებშია; ამ გზაზე მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს მართლმადიდებლური აზროვნება პოლიტიკაში; იდეოლოგია, დაფუძნებული მართლმადიდებლურ ფასეულობებზე, რომელიც აერთიანებს ხალხს დასავლური ნეოლიბერალური ფსევდოფასეულობების წინააღმდეგ.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



გიორგი გაბუნია




**სოციალურ ქსელში ამ ფოტომონტაჟით გამოეხმაურნენ ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორის, ნინო ჯანგირაშვილის, ნათქვამს — „რა დააკლდება თამარ მეფეს, თუ მას პრეზერვატივზე გამოსახავენ“**



სოსო ოხანაშვილი

**ცნობისათვის:** **ენციკლოპედია „მსოფლიოს რელიგიების“ მონაცემებით, დედამიწაზე მცხოვრები 7,6 მლრდ ადამიანიდან 2,3 მლრდ ქრისტიანია (მოსახლეობის 33,2%), 1,5 მლრდ — მუსლიმანი (22,4%), 950 მლნ — ინდუისტი (13,7%), 639 მლნ — აგნოსტიკოსი (9,3%), ბუდისტი — 469 მლნ (6,8%), იუდეველი 12,2 მლნ და სხვ. ათეისტების რაოდენობა 138,5 მლნ-ია.**

**ქრისტიანობა აერთიანებს 4 ძირითად მიმართულებას:**

*** კათოლიკები — 1,2 მლრდ;**

*** პროტესტანტები — 800 მლნ. პროტესტანტებს შორის არიან ორმოცდაათიანელები (279 მლნ), ანგლიკანები, ბაპტისტები, ლუთერანები, მეთოდისტები და სხვ.;**

*** მართლმადიდებლები და „ძველი აღმოსავლური“ ეკლესიები. მართლმადიდებელია 15 ავტოკეფალური ეკლესია, მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, მორწმუნეთა საერთო რაოდენობაა 227 მლნ;**

*** ძველ აღმოსავლურ ეკლესიაში მორწმუნეთა რაოდენობა 70 მლნ-ია;**

*** მარგინალი ქრისტიანები (მორმონები, იელოვას მოწმეები და სხვ.) 33 მლნ.**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიგრანტებმა ევროპაში კიდევ ერთი იდეოლოგიური გამარჯვება მოიპოვეს. საგანგებოდ მათთვის გერმანიის ჯანდაცვის სამინისტრომ გამოსცა სახელმძღვანელო, როგორ აცდუნონ ევროპელი ქალები.**





## ბრიტანელი პარლამენტარები პორნოსაიტებზე დღეში 160-ჯერ შედიოდნენ

**ბრიტანეთის პარლამენტში 5 თვის განმავლობაში პორნოსაიტებზე შესვლის 24 ათასზე მეტი შემთხვევა გამოვლინდა. ნიშანდობლივია, რომ ამ ხასიათის ყველა რესურსი პარლამენტის ქსელში დაბლოკილია.**

ეს სამარცხვინო სტატისტიკა ეყრდნობა პარლამენტის ოფიციალურ მონაცემებს შარშანდელი ივნისიდან ოქტომბრამდე პერიოდში. ელემენტარული არითმეტიკის მოშველიებით ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ ბრიტანელი კანონმდებლები პორნოსაიტებზე სამი თვის განმავლობაში ყოველდღიურად 160-ჯერ შედიოდნენ, „დანარჩენ დროს კი კანონებზე მუშაობაში ხარჯავდნენ“.



## ბრიტანეთში, ტრანსგენდერები რომ არ გაანაწყენონ, მეანებმა უარი უნდა თქვან მთელი რიგი ტერმინების გამოყენებაზე

**ბრიტანეთში სამშობიარო სახლების საშუალო სამედიცინო პერსონალს სთხოვენ, უარი თქვას ახალშობილთა მისამართით ისეთი ტერმინების გამოყენებაზე როგორიცაა, მაგალითად, „რა მშვენიერი ბიჭუნაა“, ან „რა ლამაზი გოგონაა“, რადგან ამით შეიძლება აწყენინონ მელოგინეებს.**

სანაცვლოდ კი სთავაზობენ, გამოიყენონ ტერმინები: „ჯანმრთელი ბავშვი“ და „კარგად გაართვით თავი“, „სამშობიარო პალატის“ ნაცვლად კი თქვან „სამშობიარო ოთახი“.

ერთი წლის წინათ ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციამ სამედიცინო პერსონალს დაბეჯითებით ურჩია, ორსულებს არ უწოდონ „მომავალი დედები“, რადგან ასეთმა მიმართვამ შეიძლება ტრანსგენდერები გაანაწყენოს.

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## მწვრთნელმა ქალმა ორი წლის განმავლობაში 6 მოსწავლე შეაცდინა

**28 წლის კორი ბერდს, ჩიკაგოს შემოგარენის ვერნონ ჰილის სკოლაში ფეხბურთის გუნდის მწვრთნელის თანაშემწეს, ბრალი წაუყენეს სამ მოზარდზე სექსუალური თავდასხმის გამო. მას ბრალდება 12 მუხლით წაუყენეს.**

გამომძიებლებმა დაკითხეს მოზარდები. კორიმ აღიარა დანაშაული. სასამართლომ მას გირაოდ მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა.

**ახალი გარემოებებიდან გამომდინარე, გამომძიებლები დამატებით კიდევ სამ მოზარდს დაჰკითხავენ, რადგან გაირკვა, რომ ბოლო სექსუალური კონტაქტი არასრულწლოვანთან კორი ბერდს დაპატიმრებამდე ორი კვირით ადრე ჰქონია.**




კორი ბერდი ბიჭებთან სექსუალურ ურთიერთობებს 2016 წლის დეკემბრიდან 2018 წლის თებერვლამდე პერიოდში ამყარებდა.

## Fox News-ის ვიცეპრეზიდენტის სკანდალური განცხადება



**ჯონ მუდის თქმით, აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებს სპორტული პრინციპით კი არ არჩევდნენ, არამედ კანის ფერითა და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიხედვით. მუდიმ თავის ინტერნეტსვეტში „გაათანამედროვა“ ოლიმპიადების დევიზი — „სწრაფად. მაღლა. ძლიერად“ — შეცვალა ასე: „მუქად. ჰომოსექსუალურად. მრავალფეროვნად“.**

Fox News-მა მხარი არ დაუჭირა თავის ვიცეპრეზიდენტს, მაგრამ აშშ-ის ნაკრებში არსებული რეალობა მუდის აზრს ადასტურებს. გეიფიგურისტი **ადამ რიპონი** ოლიმპიური თამაშების ისედაც ბინძურ წყალს კიდევ უფრო ამღვრევს. იგი აცხადებს, რომ ხელს არ ჩამოართმევს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ **მაიკ პენსს** ლგბტ-თემისადმი მისი უარყოფითი დამოკიდებულების გამო.

შტატების ფრისტაილერი **გას კენუორტი** კი აცხადებს: „ვამაყობ, რომ ამ საოცარ ყმაწვილთან (რიპონთან) ერთად წარმოვადგენ ლგბტ-თემს“.

## ვიცეპოლკოვნიკი ნასტია: გერმანელი ტრანსგენდერი ბატალიონს უმეთაურებს



**ბუნდესვერის სარდლობამ ბატალიონის მეთაურად პირველად დანიშნა ტრანსგენდერი.**

ვიცეპოლკოვნიკი **ანასტასია ბიფანგი** ამტკიცებს, რომ ყოველთვის ერთგვარ „არასრულფასოვნებას“ გრძნობდა, მაგრამ 40 წლამდე ითმენდა ამ დისკომფორტს. 40 წლისამ კი გადაწყვიტა, ჩაეტარებინა ჰორმონალური თერაპიის კურსი და რამდენიმე ოპერაცია გაეკეთებინა. დღეს ბიფანგი თავს სრულფასოვან ქალად მიიჩნევს.

უფროსმა ოფიცერმა თანამდებობა გასული კვირის ოთხშაბათს დაიკავა. მას ანდეს კავშირგაბმულობისა და უზრუნველყოფის 381-ე ბატალიონი ქალაქ შტორკოვში, რომლის პირად შემადგენლობაში 750 ადამიანია. 43 წლის ბიფანგის თქმით, მისმა ხელქვეითებმა მშვიდად აღიქვეს ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება.

ვიცეპოლკოვნიკი დარწმუნებულია, რომ



ახალ თანამდებობაზე წარმატებულად იმუშავებს. ამასთანავე, იგი, როგორც სამხედრო მოსამსახურე ჰომოსექსუალების საზოგადოების წევრი, აქტიურად დაიცავს ტრანსგენდერების უფლებებს, მით უფრო მაშინ, როცა უცნობი ადამიანები მოურიდებლად აკრიტიკებენ მის დაწინაურებას და შეურაცხმყოფელ კომენტარებს წერენ „ფეისბუკის“ მის გვერდზე.

**მომზადდა CHICAGO TRIBUNE–ის, THE DAILY MAIL-ის, BRITISH MEDICAL JOURNAL-ისა და ტელეარხ RBB24-ის მასალების მიხედვით**

**„მოსკალების“ მთავარ დანაშაულად გვისახელებენ 1932-33 წლების შიმშილობას, რომელსაც კუჩმამ „უკრაინული ჰოლოკოსტი უწოდა“... ამისკენ უბიძგებდა უკრაინელ პოლიტიკოსებს ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის კონგრესმა 1986 წელს შექმნა ამ „ჰოლოკოსტის“ შემსწავლელი სპეციალური კომისია.**

გესტსაქერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნარინჯისფერი ნაღმი

**ახალი მსოფლწესრიგის დოქტრინიდან გამომდინარე იშლება ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელსაც მარიონეტული მთავრობები ჩაენაცვლება. ამისთვის გამოყენებული პოლიტტექნოლოგიები „ფერადი“ რევოლუციების სახელით არის ცნობილი.**
**წიგნში, რომლის ადაპტირებულ თარგმანს გთავაზობთ „საქართველო და მსოფლიო“, მიმოხილულია „ფერადი რევოლუციების“ წარმოქმნისა და განვითარების დოქტრინის ისტორია და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებრიობის უსუსურობის მიზეზები. ნაშრომი ნათელს ჰფენს „ვარდების რევოლუციის“ სახელით საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების იმ სიღრმისეულ საკითხებს, რომელთა შესახებ ჩვენთან დუმილს ამჯობინებენ.**


სერგეი ყარა-მურზა




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-10 (425-434)

დასავლეთისა და რუსეთის საუკუნოვან გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და თამაშობს უკრაინის მოსახლეობის ნაწილის პოლიტიზებული ეთნიკური თვითშეგნება. მის ფორმირებასა და საბრძოლო გამოყენებაში შეიძლება XX საუკუნის დასაწყისისა და დასასრულის ორი დიდი პროგრამის გამოყოფა. „ნარინჯისფერი რევოლუცია“ დიდწილად ამ ორივე პროგრამის შედეგებს ეყრდნობოდა.

ამ პროგრამების გარჩევას არ შევუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ თავისებურებას — რუსი ემიგრანტი-ისტორიკოსი **ნ.ი. ულიანოვი** ნიუ იორკში გამოცემულ თავის წიგნში „უკრაინული სეპარატიზმის წარმოშობა“ ხაზგასმით მიუთითებდა, რომ **XX საუკუნის დასაწყისის უკრაინული ნაციონალიზმი ავანტიურა იყო,** „მას არ იზიარებდა ქვეყნის მოსახლეობისა და ინტელიგენციის ერთი პროცენტიც კი. საერთო სურვილის საწინააღმდეგოდ მან (ნაციონალიზმმა) წამოაყენა რუსული კულტურისგან გამიჯვნის პროგრამა... რუსული რადიკალური ინტელიგენცია ვერასოდეს ამჩნევდა მის რეაქციულობას. იგი ავტომატურად თვლიდა მას „პროგრესული“ კატეგორიის მოვლენად, რითაც „ეროვნულ-განმათავისუფლებელ“ მოძრაობებს შორის კეკლუცობის საშუალებას აძლევდა“...

საბჭოთა ხელისუფლება ვერ ახერხებდა ნაციონალიზმისთვის ეფექტიანი ღონისძიებების დაპირისპირებას, რადგან 60-80-იან წლებში ქვეყნის ხელმძღვანელობა ამ ამოცანის გადაწყვეტის სიმაღლეზე არ იდგა.

„პერესტროიკის“ წლებში რუსეთისგან განრიდების, ახალი უკრაინული ერის შექმნის პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით გრძელდებოდა. „ნარინჯისფერი რევოლუცია“ აღნიშნული პროგრამის შუალედური შედეგიც და ამ პროგრამის შესრულების ეტაპიც ერთდროულად აღმოჩნდა... **ლეონიდ კუჩმა** (უკრაინის პრეზიდენტი) თავის წიგნში **„უკრაინა რუსეთი არ არის“** (2003 წ.) აღიარებდა: „უკრაინელი ერის კონსოლიდაციის პროცესების დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი“...

უკრაინაში ეროვნული მშენებლობის პროგრამა სავსებით თანამედროვე ვარიაციის ხასიათის მატარებელია. იგი სულ ახლახან გახდა შესწავლის საგანი და ჯერჯერობით პირობითად **ჰეტერონაციონალიზმად** იწოდება.

უწინ ნაციონალიზმის ორ სახეობას გამოყოფდნენ — **კლასიკურ ევრონაციონალიზმსა** და მის საპირისპირო **ეთნონაციონალიზმს**. ეს ორი, ურთიერთშეუთავსებელი წარმოდგენა სამყაროზე, ხალხსა და ერზე ფილოსოფიური უფსკრულითაა გამიჯნული, მაგრამ ბოლო პერიოდში ამ ორი იდეოლოგიური კონსტრუქციის ბრძოლაში იბადება ის, რასაც ჰეტერონაციონალიზმი ჰქვია. მას განსაზღვრავენ, როგორც ეთნონაციონალური თვითშეგნების პოლიტიკის პოლიტიკური ერთობის კონცეფციის ჩარჩოებში მოთავსების მცდელობას (ჯონ კომაროვი, „ეთნიკურობა და ხელისუფლება პოლიეთნიკურ სახელმწიფოებში“).

პოსტსაბჭოთა უკრაინული ნაციონალიზმის ჰეტეროგენული ხასიათი კარგად არის ილუსტრირებული თვით ლეონიდ კუჩმას რიტორიკაში: იგი ევროპულად ლაპარაკობს ერისა და ეროვნული სახელმწიფოს შესახებ, მაგრამ ამ სახელმწიფოს ლეგიტიმურობის მთავარ არგუმენტად ტიპური ეთნონაციონალიზმის მეთოდს იყენებს — „კოლონიზატორების“ დანაშაულთა გახსენების მეთოდს გათავისუფლებული უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ. აი, მაგალითი მისი გამოსვლიდან „გოლოდომორის“ მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ვეჩეზე, რომელიც 2003 წლის 22 ნოემბერს გაიმართა: „მილიონობით უდანაშაულოდ დაღუპულთა სულები მოგვიწოდებენ და შეგვახსენებენ ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ფასს, იმას, რომ მხოლოდ უკრაინულ სახელმწიფოებრიობას შეუძლია, უზრუნველყოს უკრაინელი ხალხის თავისუფალი განვითარება...“ **„მოსკალების“ მთავარ დანაშაულად გვისახელებენ 1932-33 წლების შიმშილობას, რომელსაც კუჩმამ „უკრაინული ჰოლოკოსტი უწოდა“... ამისკენ უბიძგებდა უკრაინელ პოლიტიკოსებს ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის კონგრესმა 1986 წელს შექმნა ამ „ჰოლოკოსტის“ შემსწავლელი სპეციალური კომისია.**

უკრაინის ხელისუფლებამ ეთნოგენეზი მკაცრი ეთნონაციონალიზმის ლიანდაგზე დააყენა და შეეცადა „ახალი“ ხალხის დარაზმვას ეროვნული მტრობისა და უარყოფის საფუძველზე...

ჩვენი თემისთვის დაგვჭირდება მხოლოდ იმის ხაზგასმა, რომ ეთნონაციონალიზმის პოლიტიკური ტექნოლოგიის არჩევას ბიძგი მისცა 2004-2005 წლების არჩევნების მიმდინარეობის კონფრონტაციულმა განწყობილებამაც. „ნარინჯისფერმა რევოლუციამ“ ეთნონაციონალური კონფლიქტი ქვეყნის (უკრაინის) შიგნით გადაიტანა.



**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინის სახალხო მეურნეობამ კატასტროფა განიცადა. მშპ 50 პროცენტზე მეტად შემცირდა, კიდევ უფრო მეტად შემცირდა სამრეწველო წარმოება. 2000 წელს საშუალო რეალური ხელფასი 1990 წლის ხელფასების საშუალო მაჩვენებლის 27 პროცენტამდე დაეცა. უკრაინაში ჩამოყალიბდა ლატაკებისა და ლუმპენების ფენა. უკრაინის მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეოთხედი აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა, რომელიც (მაჩვენებელი) თვეში დაახლოებით 33 დოლარი იყო. კარპატისპირეთში მოსახლეობის 80 პროცენტი უმუშევარი იყო. სამუშაო ძალა უცხოეთში გაედინა. ევროპელი ანალიტიკოსების შეფასებით, 7 მილიონი ადამიანი საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ**

კულტურულმა ტრადიციებმა, ისტორიულმა მეხსიერებამ, რელიგიურმა განსხვავებულობამ (და კონფლიქტებმა), ასევე, დასავლეთის განსაკუთრებულმა დაინტერესებამ, თავისი როლი შეასრულა უკრაინელების დაყოფაში არჩევნების დროს. **იანუკოვიჩს ხმა მისცეს ხარკოვის, ეკატერინოსლავის, ხერსონისა და ტავრიის ყოფილმა გუბერნიებმა, რომლებიც რუსებისა და უკრაინელების მიერ XVIII-XIX საუკუნეებში იყო კოლონიზებული, ამ ტერიტორიის ისტორიული სახელი არის ნოვოროსია. იგი (ეს ტერიტორია) რევოლუციის წლებში შეუერთეს უკრაინის ჯერ ბურჟუაზიულ, შემდეგ — საბჭოთა რესპუბლიკას. იუშჩენკოს კი ხმა მისცეს ყოფილმა ავსტრო-უნგრეთის ოლქებმა და მალოროსიის დასავლეთმა.**

აშშ და ევროპა, ანუ დასავლეთი უკრაინას ნატოსა და ევროკავშირში შესვლას და, აქედან გამომდინარე, „ცივილიზებულობაში დამკვიდრებას“, ეკონომიკურ დახმარებას და ყველა სიკეთეს დაჰპირდა. დასავლეთ უკრაინამ, უკრაინულენოვანმა ინტელიგენციამ, მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელოვანმა ნაწილმა და ზოგიერთმა (მაგრამ ყველაზე უფრო გავლენიანმა) კლანმა აშკარად დაუჭირეს მხარი ამ ორიენტაციას... **უკრაინელების ერთ, მნიშვნელოვან ნაწილს, ოპოზიციისა და დასავლეთის გავლენით სულ უფრო გაუღვივდა რუსეთის მიერ მისი ექსპანსიის საფრთხის შიში. დასავლური დაპირისპირების გარანტად აღიქმებოდა იუშჩენკო.**

ამასთანავე, აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონების მოსახლეობა, რომელიც უკრაინის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარია, დაიღალა რუსული ენისა და კულტურის უკრაინულზე დამოკიდებულებით. საარჩევნო კამპანიაში იანუკოვიჩი რუსეთთან დაახლოებისა და რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებათა დამცველების მხარეს დადგა. ქვეყნის მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეჭვობდა, რომ იუშჩენკო შეასრულებდა თავის დაპირებას, მათი უფლებების დასაცავად რომ გასცა. ბალტიისპირეთის ქვეყნებში რუსულენოვანი მოსახლეობის მოქალაქეობრივი უფლებების შებღალვის მაგალითი უკრაინაში მცხოვრებ რუსებს შეშფოთების საფუძველს აძლევდა.

დაპირისპირების ამ აშკარა მიზეზებს სხვადასხვაგვარად აფასებენ დამკვირვებლები. ცნობილი ამერიკელი სოვეტოლოგი **რიჩარდ პაიპსი** კონფლიქტის სურათს ასეთ გვიხატავს: „ვიქტორ იანუკოვიჩს მხარს უჭერდა მოსკოვი და უკრაინული ბიუროკრატია, რუსული უმცირესობა და მრეწველობის მაგნატები, რომლებმაც თავიანთი ქონება რუსეთის ისტებლიშმენტთან თანამშრომლობით დააგროვეს. მისი მოწინააღმდეგე იუშჩენკო კი წარმოადგენდა უკრაინული უმრავლესობის დემოკრატიულ და პროევროპულ მისწრაფებებს“.

გარკვეულწილად მართალს ამბობდნენ ის დამკვირვებლები, რომლებიც ინტელიგენციისა და სტუდენტების არჩევანში ხედავდნენ მისწრაფებას, — „დასავლური“ არჩევანის გზით გასცლოდნენ უკრაინის აღდგენას. **ბევრი ადამიანის შეგნებაში ფესვგადგმულია დასავლეთის, როგორც „პოსტინდუსტრიული სამოთხის“, წარმოდგენა, რომელმაც 90-იანი წლების დასაწყისში ფატალური როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დედაქალაქებში. ანალიტიკოსები შეგვახსენებენ, რომ უტოპიების კულტივირება და მისით ახალგაზრდული გონების დაავადება ყველა დროში ინტელიგენციის ლამაზი და დამანგრეველი მისია იყო.**

„ნარინჯისფერი რევოლუციის“ დროს ყოველდღიური მოვლენების განვითარების წარმმართველი როლი შეასრულა ოპოზიციურმა ინტელიგენციამ, რომელიც შეკრული იყო არაფორმალური კავშირებით და მასმედიის მომსახურებით, და მის გვერდით მყოფმა სტუდენტობამ. ინტელიგენციას შეიძლება მივაკუთვნოთ რელიგიური მოღვაწეებიც, რომლებიც ჩაებნენ პოლიტიკურ ბრძოლაში და საეკლესიო მოვალეობების შესრულების ჩარჩოებს გასცდნენ.

ხაზი უნდა გაესვას ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: **„ნარინჯისფერი რევოლუცია“ მოხდა იმ მომენტში, როცა უკრაინის ეკონომიკა აღმავლობას განიცდიდა და მოსახლეობის შემოსავლები სწრაფად იზრდებოდა. პრაქტიკა არ ადასტურებს მექანიკური კავშირის არსებობას მოსახლეობის ცხოვრების დონესა და მის პოლიტიკურ შეხედულებებს შორის.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინის სახალხო მეურნეობამ კატასტროფა განიცადა. მშპ 50 პროცენტზე მეტად შემცირდა, კიდევ უფრო მეტად შემცირდა სამრეწველო წარმოება. 2000 წელს საშუალო რეალური ხელფასი 1990 წლის ხელფასების საშუალო მაჩვენებლის 27 პროცენტამდე დაეცა. უკრაინაში ჩამოყალიბდა ლატაკებისა და ლუმპენების ფენა. უკრაინის მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეოთხედი აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა, რომელიც (მაჩვენებელი) თვეში დაახლოებით 33 დოლარი იყო. კარპატისპირეთში მოსახლეობის 80 პროცენტი უმუშევარი იყო. სამუშაო ძალა უცხოეთში გაედინა. ევროპელი ანალიტიკოსების შეფასებით, 7 მილიონი ადამიანი საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ.

ესე იგი, „ნარინჯისფერი რევოლუცია“ მოხდა იმ დროს, როცა მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა. ასე იყო საქართველოშიც. რევოლუციების ლოგიკაა ასეთი.

**გაგრძელება მომდევნო ნომერში**

წყევლაკრულვიანი საკითხავი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხშირად ხდება ხოლმე, რომ ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს აწმყოსა და ისტორიულ წარსულს შორის, სუსტდება ან თითქმის სრულიად ქრება სოციალურ და ინდივიდუალურ შეგნებაში. ორი ავადმყოფობა იკიდებს მაშინ ფეხს საზოგადოებაში: „ზეკაცთა“ „წუთის ყლაპიობა“ და დონკიხოტობა ჭიქისფეხებიანი ბუმბერაზებისა.**

# მარადიული საფიქრალი: ქართველი ერი, როგორც ისტორიული არსება, ჭეშმარიტი ტრაგიკული გმირი არ არის?



ადამიანი, მით უმეტეს, ხალხი უიდეალოდ რაღაც დაუმთავრებელ არსებად მიგვაჩნია, გაუგებრობად, შინაგან წინააღმდეგობად. ჩვენ ყოველთვის ვითხოვთ ადამიანისგან, რომ თავის ყოველ მოქმედებაში ცხოვრების იდეით იხელმძღვანელოს და პირუტყვულად ვთვლით ისეთ ყოფაქცევას, რომელიც მომენტების მოთხოვნებს ვერ გასცილებია. ზნეობრივ პიროვნებასა და ზნეობრივ იდეალს ვეძებთ ადამიანში და მიზანთა წინ დაყენება ადამიანობის ყველაზე დამახასიათებელ თვისებად მიგვაჩნია, მაგრამ, თუ კარგად დავუკვირდებით ამ კეთილშობილ ნიჭს ადამიანისას, ადვილად დავინახავთ, რომ იგი დაფუძნებულია მის მეორე საყურადღებო მხარეზე, რომელიც არანაკლებ გარკვევით არჩევს მას ცხოველისგან: ადამიანი ისტორიული არსებაა...

ეს აზრია გატარებული ქართველი მწერლის, პოლიტიკოსის, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის — **გერონტი ქიქოძის** ფილოსოფიურ წერილში „ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი“. ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს ამ წერილიდან.

დიდი ზნეობრივი ტრაგედიაა კაცობრიობის ისტორია საერთოდ, თუმცა ცალკე პიროვნებათა ცხოვრება უფრო ხშირად უშინაარსო და ზნეობრივად ულირს ფარსს შეიძლება ჰგავდესო.

ჭეშმარიტებას ღაღადებს დიდი გერმანელი ფილოსოფოსიც — **არტურ შოპენჰაუერი**, როდესაც ამბობს: ადამიანი იაფფასიანი, მდარე საქონელია, რომელსაც ბუნება, ეს უზარმაზარი ფაბრიკა, ნარდად ისვრის ბაზარზეო; და ორი თვისება ახასიათებს ამ ცოცხალ საქონელს — დიდი სისულელე და ბოროტება. იშვიათად, ერთხელ მთელი საუკუნეების განმავლობაში, ის ამ ნაგავშიც გამოურევს ხოლმე ობოლ მარგალიტს — გენიოს პიროვნებას და იმასაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამით კიდევ უფრო თვალნათელი გახადოს ადამიანობის საერთო უნიჭობა და უბადრუკობაო.

ამ უნიჭობისა და უბადრუკობის ეპოქა გვიდგას ჩვენ XXI საუკუნის მეორე ათწლეულში და ხელის გულზე გვიდევს სილაჩრე, სულმოკლეობა, მცონარობა, საკუთარი თავის უპატივცემლობა, წამბაძველობა, „უკულმართი მსახიობობა შინაც და გარეთაც, მხიარულებაშიც და მწუხარებაშიც, უმოქმედობაშიც და იდეალებისთვის ბრძოლაშიც“, რის გამოც **ქართველი ერი, როგორც მთელი, როგორც ისტორიული არსება, ჭეშმარიტი ტრაგიკული გმირია. „რა განსაცვიფრებელი ზნეობრივი ენერგია არ გამოააშკარავა მან საუკუნეთა განმავლობაში თავის დამოუკიდებელ ეროვნულ მეობის შესანახად. განა საფიქრებელია, რომ ეს ენერგია სამუდამოდ გაქრა, რომ ის ეხლა აღარ არსებობს? რასაკვირველია, არა! საჭიროა მხოლოდ „დაკარგული მთლიანობის“ აღდგენა, საჭიროა მხოლოდ პაწია, ხშირად სმენისათვის მიუწვდომელი ხმების „მწყობრ მელოდიაში“ შეერთება“, მაგრამ როგორ?**

აი სწორედ ეს არის დღეს წყევლაკრულვიანი საკითხავი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10 (434)

* ადამიანი ისტორიული არსებაა და, უწინარეს ყოვლისა, ეს არის საძირკველი მისი განსაკუთრებული ბედისა თუ უბედობისა, საძირკველი მისი ადამიანობისა. ცხოველმა არ იცის ისტორია. **...ცხოველმა ნაკლებად იცის, თუ რა არის მოტივთა ბრძოლა მოქმედების დროს და ის აუცილებლად იმ ლტოლვებს ექვემდებარება, რომლებსაც მომენტის მოთხოვნილებანი უკარნახებს. თვითნებობას მოქმედებაში კი იგი სავსებით მოკლებულია.**

**სულ სხვაა ადამიანი: რაც უნდა განუვითარებელი იყოს იგი, რაც უნდა დაბალ საფეხურზე იდგეს გონებრივად, მხოლოდ მას შეუძლია ამაღლდეს თავის თანაგრძნობაში წუთიერობაზე, გასცილდეს მახლობელთა ვიწრო წრეს, იტანჯოს და იმხიარულოს შორეულ წინაპართა ტანჯვით და სიხარულით.** შეუდარებელია გაფართოება პიროვნებისა, რასაც ცხოველი მოკლებულია!

**წარსულის შეუგნებლად შეუძლებელია შეგნება მომავლისა.**

* ადამიანის ცნობიერებაში მომავალი ყოველთვის და აუცილებლად არსებობს, როგორც შესაძლებლობა და არა როგორც ობიექტური რეალობა. ამიტომ ის არსება, რომელიც მოკლებულია წარსულის ცნობიერებას, თავისუფალია დროის წარმოდგენისაგან საზოგადოდ, იმიტომ, რომ აწმყო მხოლოდ მომენტია, ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი მომენტებისაგან კი დროის წარმოდგენის შედგენა ყოვლად შეუძლებელია.

*** დრო მიმდინარეობაა და, ვინც ამ მიმდინარეობას თავის უკან ვერ ხედავს, ის აუცილებლად ბრმაა მომავლისათვის,** იმიტომ, რომ მაშინ მის შეგნებაში მხოლოდ აწმყო არსებობს რეალურად: როგორც მომენტი, როგორც დამოუკიდებელი წერტილი.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს აწმყოსა და ისტორიულ წარსულს შორის, სუსტდება ან თითქმის სრულიად ქრება სოციალურ და ინდივიდუალურ შეგნებაში. ორი ავადმყოფობა იკიდებს მაშინ ფეხს საზოგადოებაში: „ზეკაცთა“ „წუთის ყლაპიობა“ და დონკიხოტობა ჭიქისფეხებიანი ბუმბერაზებისა.

*** მდიდარი და საგმირო მომავალი იმას უღიმის, ვისაც მდიდარი და საგმირო წარსული აქვს;** ფილისტერები არც კი ოცნებობენ სხვა რამეზე, გარდა თბილი ხალათისა და სრული ფოსტლებისა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ **ის, ვინც თავისი არარაობა წარსულში საკმაოდ შეურყევლად დაამტკიცა, ვერც მომავალში შესძლებს მთების გადაბრუნებას.** უძლიერესი ზნეობრივი, სოციალური და ესთეტიკური იდეალები მდიდარ და მრავალმხრივ ისტორიულ ნიადაგზე აღმოცენდა...

*** რაც უფრო ძვირფასია ცხოვრება, მით უფრო გარდაუვალი და მწვავეა წინააღმდეგობა ყოფნასა და არყოფნას შორის.** თუ კაცობრიობის კულტურას მომავალში სიბერე და მოქანცულობა მოელის, როგორც ეს ბევრსა ჰგონია, მაშინ მისი ბედი სრულიადაც არა ყოფილა ტრაგიკული. როგორც ბებერი მნათე ძველ სამრეკლოზე, იგი მშვიდობიანად მიიძინებს დაფლეთილ სავარძელზე და ზარს აღარავინ ჩამოჰკრავს იმის საცნობად, რომ შეწყდა ფრიად მოსაწყენი, ფრიად ერთფეროვანი და სისხლგაყინული ცხოვრება ღვთისმოსავ არსებისა. **კაცობრიობის ტრაგედია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის არასოდეს გადაიქცევა „ბებერ მნათეთ“, ხოლო მისი სულიერი კულტურა — „გახუნებულ სავარძლად“.**

სულიერმა კულტურამ არ იცის, რა არის დაბერება: მუდმივ ზრდაშია იგი, თავის ძალთა და შესაძლებლობათა დაუსრულებელ გაშლაში და ამ განვითარებას, წინსვლას, „სინთეტიკურ შემოქმედებას“ არა აქვს სხვა საზღვარი, გარდა სიკვდილისა. **განა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ, მაგალითად, ელინთა მიერ ნაანდერძევმა ხელოვნებამ, პოეზიამ და ფილოსოფიამ დაჰკარგოს თავისი მუდმივი ახალგაზრდული მშვენიერება, ჯანსაღობა და მიმზიდველობა, ან დაბერდეს დანტე, შექსპირი, ბეთჰოვენი, მიქელ-ანჯელო, რემბრანტი — მარად განუყრელი მესაიდუმლენი ადამიანობისა?!** შეიძლება ისინი კიდევ უფრო ძვირფასნი გახდნენ მომავალ თაობათათვის, ვიდრე ჩვენთვის არიან!..

*** სადაც მოქმედებას წინ არჩევანი არ მიუძღვის, იქ არ არსებობს შეგნება თავისუფლებისა და, სადაც თავისუფლების შეგნება არ არის, იქ არ არის განსხვავებაც ბოროტებასა და სიკეთეს შორის.**

*** არა უმიზეზობა, არამედ მიზეზთა და მოტივთა ბრძოლა და არჩევაა წყარო იმ თავისებური განცდისა, რომელსაც ჩვენ შეგნებული პიროვნების და მისი ნების თავისუფლებას ვუწოდებთ.**

*** არვის შეუძლია თავისი უზნეობა იმით გაამართლოს, თითქო მისი ბუნება და ხასიათი ერთხელ და სამუდამოდ ისეა მოწყობილი, რომ აუცილებლად დასაძრახისი და უარყოფითი ინსტინქტები დღესასწაულობენ იდეალურსა და კეთილშობილზე.**

*** არ შეიძლება პასუხისმგებელი გავხადოთ ვინმე ისეთი მოქმედებისათვის, რომლის მიზეზი მის შინაგან ბუნებაში არა დევს. ფსიქიკურად გაბრუებული ადამიანის ნებისყოფა და მოქმედება სწორედ იმიტომ რჩება ეთიკური განსჯის გარეშე, რომ მათი მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, არა შინაგან ხასიათში უნდა ვეძებოთ, არამედ რაიმე გარეგან ძალაში: ჰიპნოზში, ნარკოზში ან ალკოჰოლში.**

*** უბადრუკია და შესაბრალისი ის პიროვნება და ხალხი, რომელსაც თავისი თავი ვერ უპოვნია ან დაუკარგავს თავისი ისტორიულად შემუშავებული ინდივიდუალური თუ სოციალური ხასიათი.**

მისი თავისუფლება, მისი ზნეობრივი ძალა შემცირებული და დაკნინებულია, მისი ნიჭი დამოუკიდებელი შემოქმედებისა ძლიერ საეჭვოა, მისი მორალური ღირებულებანი და კულტურა — უფერული და უგავლენო...

*** ცხოვრების გარეშე და მასზე მაღლა არარა არსებობს, რაც შეიძლება მის მართებულ მიზნად ჩაითვალოს, მას შემდეგ არარა მოსდევს, რაც შეიძლება მის ზნეობრივ დამთავრებად გადაიქცეს: მხოლოდ სიკვდილია სიცოცხლის უახლოესი მემკვიდრე და დასასრული, სიკვდილი კი უდიდესი ბოროტებაა, უდიდესი ცოდვა და შეჩვენება. ამიტომ უდიდესი ღირებულება, უდიდესი ზნეობრივი სიკეთე თვით ცხოვრებაა.**

* ცხოვრება შეუჩერებელი ცვალებადობაა. თვით ცხოვრების არსში ძევს პრინციპი განვითარებისა, წინსვლისა, გაფართოებისა. **ცხოვრების დედააზრს შეადგენს განვითარება, განვითარებისას კი — ყოველი უკვე მოღწეული საფეხურის უარყოფა, შემდგომი, უფრო მაღალი საფეხურის სახელით.** აქ არი ძირითადი წყარო სიკეთის და ბოროტების გათიშვის, ზნეობრივად სავალდებულოს გამოყოფისა;

*** რაც უფრო განვითარებული ხდება ადამიანი, რაც უფრო მაღლა ადის იგი გონებრივად და ზნეობრივად, მით უფრო შესამჩნევი და გადამწყვეტი ხდება მისი ბუნებისთვის ისტორიული წარსულის გავლენა.**

*** კაცობრიობა მეტია, ვიდრე უბრალო გროვა ხშირად უმნიშვნელო, ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ ელემენტთა.**

*** პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი არი, უწინარეს ყოვლისა, სიყვარული და მოკრძალება დიად ეროვნულ და კაცობრიულ გენიოსობის წინაშე, იმ ისტორიული სულის წინაშე, რომელიც ობიექტურ კულტურულ შემოქმედებაში თავისი უკვდავების ძეგლს იდგამს.** საკუთარი თავის ცნობა ამ ისტორიული ძალის ნაწილად, საკუთარი პიროვნების, ე.ი. სუბიექტური სულის მის ქვემდებარე ნაწილად აღიარება და შემოქმედება იმ მხრივ, რა მხრივაც ის უნდა ვითარდებოდეს, — აი, ნამდვილი შინაარსი ნათლად გაგებული ნაციონალური და ჰუმანიტარული გრძნობისა, რომელიც ხშირად ადამიანთა და მათ სისუსტეთა სიძულვილით და მხილებით საზრდოობს.

**გაზეთი „დროება“, 1910 წ.**

**«უბადრუკია და შესაბრალისი ის პიროვნება და ხალხი, რომელსაც თავისი თავი ვერ უპოვნია ან დაუკარგავს თავისი ისტორიულად შემუშავებული ინდივიდუალური თუ სოციალური ხასიათი»**

**«სადაც მოქმედებას წინ არჩევანი არ მიუძღვის, იქ არ არსებობს შეგნება თავისუფლებისა და, სადაც თავისუფლების შეგნება არ არის, იქ არ არის განსხვავებაც ბოროტებასა და სიკეთეს შორის»**

ისტორიანი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავთ, ისე გულ-და-გულ და პირდაპირ კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი. იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზაკვარი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქნება მადლობელნიც გაუხდეთ... ღმერთმა ჰქნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ და მშიშარ ფულისაგან და შეინარჩუნოთ ეს სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა“

# რუსი ინტელიგენცია საქართველოს სულიერი და მატერიალური კულტურის სამსახურში

**ისტორიამ დაადასტურა, რომ ერებისა და ხალხების ურთიერთობას განსაზღვრავენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები. საქართველო-რუსეთის შუქ-ჩრდილებით სავსე ხანგრძლივი ურთიერთობის პერიოდში ხალხთა შორის მეგობრობისა და თანადგომის, ურთიერთმხარდაჭერის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ისტორიამ შემოგვინახა მრავალი არაქართველის სახელი, რომლებმაც ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას მხარი დაუჭირეს ქართველ ინტელიგენციას და ამით ნათელი კვალი დატოვეს საქართველოს ბედუკუღმართ ისტორიაში.**

## წერილი III

ილია ჭავჭავაძე მხოლოდ ერთხელ ეწვია სოხუმს — 1903 წლის მაისში, რაც მეტად საყურადღებო მოვლენასთან იყო დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის ბოლოს აფხაზეთის საუკეთესო მიწების „განაწილების“ შედეგად გაგრა და მისი შემოგარენი — 14 ათასი ჰექტარი მამული „წილად ხვდა“ რომანოვების სიძეს, პრინც **პეტრე ოლდენბურგს.**

ამ საქმოსანმა გაანადგურა გაგრის საუკეთესო ტყეები, მოსპო ძვირფასი ჯიშის კორომები, გაზიდა ბზა და ურთხმელი, მაგრამ **ისიც უნდა აღვნიშნოთ, ამ მემამულემ და მისმა შვილმა — პრინცმა ალექსანდრემ, რა სიახლე შეიტანეს გაგრის მიდამოებში. მათ ეს, ერთ დროს მიყრუებული და დაჭაობებული ადგილი, კეთილმოაწყვეს — ააშენეს დასასვენებელი სახლები, პარკები, სასტუმროები და უმშვენიერეს კურორტად აქციეს.**

**გაგრაში სწორედ პრინცმა პეტრე ოლდენბურგმა დააარსა პირველი სკოლა,** ბავშვთა თავშესაფრის სახელწოდებით, და მისი პირველი დირექტორი იყო პ. სიდოროვი. **პეტრე ოლდენბურგის სიკვდილის შემდეგ მისმა შვილმა, ალექსანდრე ოლდენბურგმა, განიზრახა მამის მიერ დაწყებული საქმის გაფართოება. მართლაც, მან 1903 წლის დასაწყისისათვის მოამზადა ნიადაგი, საკუთარი სახსრებით გაგრაში დაეარსებინა საშუალო ტიპის სკოლა-ინტერნატი ამიერკავკასიის მასშტაბით ყველა წოდებისა და ეროვნების გოგონებისა და ვაჟებისთვის. ეს უთუოდ კეთილშობილური საქმე იყო.**

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ პრინცმა ალექსანდრემ 1903 წლის აპრილის დასაწყისში ილია ჭავჭავაძე მიიწვია გაგრაში რჩევა-დარიგებისა და კონსულტაციისთვის, მაგრამ ამ დროს ილიას არ ეცალა და გაგრაში ვერ ჩავიდა, მიზეზი კი წერილობით შეატყობინა. მაშინ, 1903 წლის 27 აპრილს, ალექსანდრე ოლდენბურგმა თბილისში ილიასთან გაგზავნა გაგრის ბავშვთა თავშესაფრის დირექტორი პ. ა. სიდოროვი და თან გააყოლა წერილიც, რომელშიც წერდა:

**„თქვენო კეთილშობილებავ, თავადო ილია გრიგოლის ძევ!**

**გაცნობებთ გაგრაში სკოლა-ინტერნატის გახსნის თაობაზე, რომელსაც ექნება სახელმწიფო საშუალო სასწავლო დაწესებულების სტატუსი ორივე სქესის ბავშვებისთვის. სურვილი მაქვს და საჭიროდ მიმაჩნია, ვისარგებლო თქვენი რჩევებით ამ საქმის განსახორციელებაში. სამწუხაროდ, რაკი თქვენ პირადად ვერ ჩამოხვედით გაგრაში, თქვენთან ვაგზავნი პ. ა. სიდოროვს, ჩემი გარდაცვლილი მამის, პრინც პეტრე გიორგის ძე ოლდენბურგის მიერ გახსნილი თავშესაფრის დირექტორს. სიდოროვი დაწვრილებით გაგაცნობთ მოცემულ საკითხს. იმედს ვიტოვებ, რომ ყურადღებას გამოიჩენთ და თქვენი რჩევებით დამეხმარებით ადგილობრივ პირობებში ამ საქმის განხორციელებაში“.**

ილია ჭავჭავაძე გულისყურით გაეცნო ალ. ოლდენბურგის გეგმებს და მისწერა პასუხი. ასე გაიმართა მიმოწერა მათ შორის და დამყარდა კეთილი ურთიერთობა. როგორც მიმოწერიდან ჩანს, ილიას პრინცისთვის გაუგზავნია, აგრეთვე, ქართველ პოეტთა ნაწარმოებებიც, ალბათ, იმ მიზნით, რომ ალ. ოლდენბურგს სრული წარმოდგენა ჰქონოდა ქართველი ხალხის სულიერ კულტურაზე. რა კრებული გაუგზავნა ილიამ, უცნობია, მაგრამ, რომ გაუგზავნა, ფაქტია. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ი. ჭავჭავაძის არქივში ინახება ალ. ოლდენბურგის ასეთი შინაარსის საპასუხო წერილი ილიასადმი:

**„თქვენო კეთილშობილებავ, თავადო ილია გრიგოლის ძევ!**

**სულის სიღრმემდე შემძრა თქვენმა ყურადღებამ. თქვენო ბრწყინვალებავ, გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ თქვენი შესანიშნავი ნაწარმოების — „ქართული პოემების“ ეგზემპლარის მოწოდებისთვის“.**

ჩვენთვის უცნობია ილია ჭავჭავაძის ასეთი ნაწარმოები, მაგრამ ერთი რამ ცხადია:



ალექსანდრე ოლდენბურგმა განიზრახა მამის მიერ დაწყებული საქმის გაფართოება. მართლაც, მან 1903 წლის დასაწყისისათვის მოამზადა ნიადაგი, საკუთარი სახსრებით გაგრაში დაეარსებინა საშუალო ტიპის სკოლა-ინტერნატი ამიერკავკასიის მასშტაბით ყველა წოდებისა და ეროვნების გოგონებისა და ვაჟებისთვის. ეს უთუოდ კეთილშობილური საქმე იყო

ილია საქმის კურსში იყო ყოველივე იმისა, რაც იმ დროს გაგრაში განათლების დარგში კეთდებოდა. **დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის დიდი საქმე, რომელიც ალ. ოლდენბურგმა გაგრაში სასწავლებლის დაარსებით გააკეთა, ი. ჭავჭავაძის მონაწილეობის გარეშე არ მომხდარა.**

პრინც ოლდენბურგის ამ კეთილშობილური საქმიანობის შესახებ ილიამ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებას მოახსენა. ამის თაობაზე „ივერია“ წერდა:

„ეხლანდელ თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებას მოხსენდება ფრიად საყურადღებო და საქართველოსათვის დიდად სასიამოვნო ამბავი იმის შესახებ, რომ მისმა უმაღლესობამ ოლდენბურგის პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძემ ინება, დაარსოს გაგრაში, სოხუმის მაზრაში, ამიერკავკასიისთვის საშუალო სასწავლებელი პანსიონებით ქალთა და ვაჟთათვის. ამ სასწავლებელთან გამართული იქნება ეგრეთ წოდებული უფროსი კლასები, სადაც ასწავლიან ყოველ ტექნიკურს და მეტადრე სამეურნეო საგნებს, ცხოვრებაში გამოსადეგს. ასეთი სასწავლებელი მით უფრო სასურველია ჩვენთვის, რომ ამ სასწავლებელში ჩვენებურს ენას დათმობილი ექნება ჯეროვანი ადგილი“.

**ეს იყო ფრიად სასიხარული ამბავი. გაგრაში არსდებოდა სასწავლებელი, რომელსაც მიზნად ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობის განათლება, ახალგაზრდობის აღზრდა, ამ კუთხის აყვავება-აღორძინება.** ამ გარემოების უარყოფა ყოვლად შეუძლებელია, ამიტომაც მიუთითებდა „ივერია“: **„დარწმუნებული ვართ, რომ თავადაზნაურობა დიდის მადლობითა და სიხარულით მიიღებს ამ ამბავს და თავის მხრით არ დაიშურებს არავითარს ღონისძიებას, რომ ამ სასურველს აზრს თავისი გზა მიეცეს განსახორციელებლად“.**

გაგრაში ჩატარებული ღონისძიების შემოწმების მიზნითა და ალ. ოლდენბურგისათვის მადლობის გამოსაცხადებლად აურჩევიათ დეპუტაცია სამი კაცის შემადგენლობით: **ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი** (სიძე პოეტ ვახტანგ ორბელიანისა, თბილისის თავადაზნაურთა მარშალი) და სიღნაღის თავადაზნაურთა წინამძღოლი **დიმიტრი ჩოლოყაშვილი.**

კომისიის წევრები გაგრაში 1903 წლის მაისში ჩასულან. 22 მაისს ეწვივნენ სოხუმს.

სოხუმში დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჩასვლა ელვისებური სისწრაფით გავრცელებულა. თედო სახოკია ილიას მასპინძლად დახვდა სოხუმში. „ასეთი ადამიანების სტუმრობით სოხუმელები მაინცდამაინც განებივრებული არ ვიყავით, — მიუთითებს თ. სახოკია, — წარმოგიდგენიათ, რარიგ უნდა გაგვხარებოდა მთელი საქართველოს სიამაყის — ილია ჭავჭავაძის მოსვლა! რომ ყველას შესძლებოდა ი. ჭავჭავაძის ნახვა, მისგან ცოცხალი სიტყვის გაგონება, გადაწყდა, სადილი გამართულიყო ძმათა შარვაშიძეთა სასახლის ვრცელ ეზოში ასწლოვანი მუხებისა და ცაცხვების ქვეშ“.

„ივერია“ ტრადიციულ ქართულ-აფხაზურ სუფრას ასე ხატოვნად აღწერს: **„წარმტაც სურათს წარმოადგენდა დიდს მანძილზე გაშლილი სუფრა, რომლის აქეთ-იქით ჩამწკრივებული იყო მშვენიერი ხეივანი ხილნარისა და თავში კი ამაყად იდგა ასწლოვანი მუხა. სამს საათზედ მასპინძელი საზოგადოება სულ შეგროვილი იყო და გულისფანცქალით ელოდა იმ წამს, როდესაც ბაღში ფეხს შემოდგამდა სოხუმის ძვირფასი სტუმარი“.**

ოთხ საათზე ეტლით მოსულან ილია ჭავჭავაძე და მისი თანმხლები პირები. საგანგებოდ მოწვეული მუსიკოსები მარშით შეგებებიან ძვირფას სტუმრებს. სადილზე თამადა ყოფილა **სოხუმის მოქალაქე თეიმურაზ გაბუნია,** „ცნობილი თავისი ჭკუითა და სიდარბაისლით“. **თაფლად იღვრებოდა ძმობისა და მეგობრობის სადიდებელი სადღეგრძელოები.** სამადლობელი სიტყვა ი. ჭავჭავაძეს ფეხზე წამოდგომით უთქვამს, საზოგადოებაც ფეხზე მდგარი უსმენდა თურმე ერის მოჭირნახულეს.

**„ბატონებო,** — უთქვამს ილიას, **— დიდი პატივისცემით მოგესალმებით! ბედნიერი გახლავართ, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს კალმით დახატულს კუთხეს და მის მოსახლე მშვენიერსავე ხალხს...**

თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამესახა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ისე ადვილად არ დავეჩაგვრინებით“.

ი. ჭავჭავაძემ თავის სიტყვაში განსაკუთრებით აღნიშნა ეპოქის ახალი ვითარება, კაპიტალიზმის განვითარება. ამ გზაზე იმ ერს აქვს უპირატესობა, უთქვამს ილიას, რომელიც ცხოვრებას კვალდაკვალ მისდევს, ამიტომ საჭიროა ქვეყნის ეკონომიური მართვის სადავეები ჩვენმა ხალხმა აიღოს ხელთო.

**„დღეს,** — მიუმართავს მას დამსწრეთათვის, — **აქამომდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავთ, ისე გულ-და-გულ და პირდაპირ კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი. იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზაკვარი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქნება მადლობელნიც გაუხდეთ.**

**კიდევ ვიტყვი: ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელ მაცდურისგან, ღმერთმა ჰქნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ და მშიშარ ფულისაგან და შეინარჩუნოთ ეს სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა“.**

თედო სახოკიას გადმოცემით, ი. ჭავჭავაძის სიტყვაში მთელი სამოქმედო პროგრამა იყო ჩამოყალიბებული:

„...დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს, ქონება შეიძინოს, ეკონომიურად წელში გამაგრდეს, ვინც ამას არ ფიქრობს, ვინც სხვას შეჰყურებს, აცა, რამე გავარდეს ხელიდან და მე ავიღოვო, ის ხალხი ტყუილად ნუ ელის, შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში...

ერთობლივი ძალით მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევინარჩუნოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულ ათასგვარ მტერსა და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, გავუმკლავდეთ, ხმალამოღებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავახაროთ“.

ილიას ჩამოსვლამ სოხუმში, მისმა ურთიერთობამ აფხაზეთის მოწინავე ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან დადებითი შედეგი გამოიღო თუნდაც იმ მხრივ, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე მას აღუძრავს საკითხი სოხუმში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების გაძლიერებისა და სკოლის დაარსების შესახებ.

ის, რაც ილიამ თვალის ერთი გადავლებით შენიშნა აფხაზეთში და რაზეც მიუთითებდა გაზეთი „ივერია“, წარმოადგენდა აფხაზ-ქართველთა ყველაზე საშიშ ეროვნულ მტერს. ეს იყო უცხოური ბურჟუაზია, რომელიც თანდათან ეუფლებოდა აფხაზეთის მიწა-წყალს. ამ გარემოებაზე ხშირად მიუთითებდნენ ქართული პერიოდული ორგანოები. მაგალითად, „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელი აფხაზეთიდან — **კონდრატე გვასალია** გულისტკივილით აღნიშნავდა:

„სოხუმის ოლქში მემამულეებმა თავიანთი მიწა-წყალი გაჰყიდეს. ვისაც გადარჩა რამ, ისინიც ეშურებიან მამულის მოშორებას. თუ საქმე ასე წავიდა, ხუთი წლის შემდეგ ჩვენს მემამულეებს ფაცხის დასადგმელი ადგილიც აღარ ექნებათ, ადგილი ჩალის ფასად გაჰყიდეს, ფული ოხრად გაფლანგეს და მომავალზე რას ფიქრობენ, ალაჰმა უწყის“.

მომზადდა
**ოთარ ჟურღულიას**
წიგნის „ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობებიდან“ მიხედვით

**P.S. რა ნაცნობი სურათია: „მიწა-წყალი გაჰყიდეს...“, „ფაცხის დასადგმელი ადგილიც აღარ ექნებათო...“**

**მას შემდეგ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა. დღეს კი საკითხავია: სოხუმი და, საერთოდ, აფხაზეთი საქართველოა?!**

ფერმერთა სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფერმერები მეწველ ფურს იშვიათად აძლევენ სუფრის მარილს. არადა, ეს ნივთიერება ცხოველის ორგანიზმისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ყოველ 100 კგ ცოცხალ მასაზე ფურს სჭირდება 5-7 გ და დამატებით, ყოველ 1 ლ მოწველილ რძეზე — 3-5 გ სუფრის მარილი. ამის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, საკვებურში ცხოველს მუდმივად ჰქონდეს სხვადასხვა საკვებდანამატით გამდიდრებული მარილის დაწნეხილი ბრიკეტები ან ქვამარილი.**

# რძის მწარმოებელთა პრობლემები და მათი გადაწყვეტის შესაძლებლობები

„საქართველო და მსოფლიო“ დღევანდელი ნომრიდან აგრძელებს რუბრიკის „ფერმერის სკოლის“ პუბლიკაციას. რუბრიკას უძღვებიან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები გოგოლა მარგველაშვილი და ელგუჯა გუგუშვილი.

## წერილი პირველი

**სოფლად მცხოვრები 587 ათასზე მეტი ოჯახი ემზადება საზაფხულო სამუშაოებისთვის, მათ შორის, ის ფერმერებიც, რომლებიც ძროხების მოშენებას მიზდევენ, და ისინიც, ვისაც ოჯახში ერთი „მარჩენალი“ ფური ან ფურკამეჩი მაინც ჰყავს. ასეთი კი საქართველოში 240 ათასი კომლია.**



წვრილ ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებში ძროხის შენახვა ბუნებრივი საკვები სავარგულების გამოყენებასთან არის დაკავშირებული, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცხოველების, განსაკუთრებით, მეწველი ფურების, სწორად და უმტკივნეულოდ გადაყვანას ბაგურიდან საძოვრულ კვებაზე.

ცნობილია, რომ ფერმერულ და სოფლად მცხოვრებთა საოჯახო მეურნეობებში ფურები მასობრივად იგებენ ხბოს თებერვლის ბოლოს-მარტში, ანუ საძოვარზე გაშვებისას ისინი იმყოფებიან ლაქტაციის საწყის სტადიაში. სუფთა ჰაერი, აქტიური მოძრაობის შესაძლებლობა და მზის სხივები დადებითად მოქმედებს ცხოველის ორგანიზმზე, ასტიმულირებს მის ყველა ფუნქციას, მაგრამ, თუ ბაგურიდან საძოვრულ კვებაზე გადასვლა გეგმაზომიერად, საქმის ცოდნით არ მოხდა, შესაძლოა, ცხოველის ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნას.

ტრადიციულად, საძოვარზე ძროხა გაჰყავთ თბილი დღეების დადგომისთანავე, ანუ ბალახის ვეგეტაციის საწყის სტადიაში. ცნობილია, რომ ქორფა ბალახი მდიდარია ადვილად მოსანელებელი პროტეინით. საკმაო რაოდენობითაა მასში დაბალმოლეკულური ნახშირწყლები და ზოგიერთი მინერალური ნივთიერება. ამან, ერთი შეხედვით, დადებითად უნდა იმოქმედოს რძეზე, განაყოფიერების უნარზე, მიღებული ნამატის ჯანმრთელობაზე, სიცოცხლისუნარიანობასა და სხვ.

მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება.

საქმე ის არის, რომ ზამთრის უხეში საკვებიდან საძოვრის ბალახზე („ახალ საკვებზე“) გადასვლა, ანუ ულუფაში ყუათიანი ნივთიერებების სტრუქტურისა და შემადგენილობის მკვეთრად შეცვლა საჭიროებს ფაშვის მიკროფლორის სახეობრივი შედგენილობის შესაბამის ცვლილებას. ამას კი გარკვეული დრო სჭირდება და, ვიდრე ეს პროცესი გრძელდება, ცხოველის ორგანიზმი განიცდის დისკომფორტს, რაც ვლინდება კუჭის აშლილობითა (დიარეით) და ხშირი დეფეკაციით.

მიუხედავად ამისა, **ვისაც ჰყავს მეწველი ფური კარგად იცის, რომ საძოვარზე გაყვანიდან რამდენიმე დღეში მონაწველი მოიმატებს. ეს საყურადღებო ფაქტია, მაგრამ, ასევე საგულისხმოა ის, რომ ამ პერიოდში ფური, როგორც წესი, შეჭმული საკვების ენერგიის შესაბამის სარძეო პროდუქტიულობას ვერ ავლენს, რაც იწვევს საკვების გადახარჯვას.**

აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, გარდამავალ პერიოდში, ფერმერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ ცხოველების ბაგური კვების ულუფიდან ზაფხულის ულუფაზე გადაყვანაზე, რასაც, სულ მცირე, **8-10 დღე მაინც სჭირდება. პრაქტიკულად ეს შემდეგნაირად უნდა გაკეთდეს:**

**დილით, საძოვარზე გარეკვამდე, ცხოველებს მცირე რაოდენობით (1,5-2,0 კგ) უნდა მივცეთ ის მოცულობიანი საკვები (თივა, ნამჯა, ჩალა, სენაჟი, ან სხვ.), რომლითაც იკვებებოდა ზამთრის პერიოდში. ყოველ მომდევნო დღეს მოცულობიანი საკვების რაოდენობას 10-15%- ით ამცირებენ, ანუ 8-10 დღის შემდეგ უკვე საჭირო არ იქნება მოცულობიანი საკვების მიცემა.**

ეს პერიოდი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ფაშვში მომრავლდეს ულუფის ახალი შედგენილობის შესაბამისი მიკროფლორა, საჭმლის მომნელებელი სისტემა გადაერთოს საძოვრის წვნიანი ბალახის მონელებაზე და თავიდან აგვაცილოს გართულებები, მათ შორის, გაბერვის ან დიარეის (ან ორივეს ერთად) შემთხვევები.

**გარდამავალი პერიოდის გართულებების თავიდან ასაცილებლად და რძის მოსამატებლად მნიშვნელოვანია, რომ ყოველ დილით, საძოვარზე გარეკვამდე, ფურს მივცეთ კონცენტრირებული საკვების (კომბინირებული საკვების ან მარცვალნარევის) დღიური ნორმის ნახევარი, ხოლო საძოვრიდან დაბრუნების შემდეგ, მოწველის წინ — მეორე ნახევარი.** კონცენტრირებული საკვების დღიური ნორმა კი გაიანგარიშება შემდეგნაირად: დღეში 10 ლ-მდე მეწველი ფურისთვის ყოველ 1 ლ მოწველილ რძეზე განსაზღვრულია 100 გ კონცენტრატი, 11-15 კგ-მდე დღიური წველადობისას — 130-150 გ/1 ლ რძეზე, 16-20 ლ მეწველისთვის კი — 200-250 გ/1 ლ რძეზე. ეს პროცედურა არა მხოლოდ აუმჯობესებს საკვების მონელებას და ავსებს ფურის ორგანიზმის დეფიციტს, არამედ დადებითად მოქმედებს რძის გაცემის პროცესზე.

**გარდამავალი პერიოდის გართულებების თავიდან ასაცილებლად და რძის მოსამატებლად მნიშვნელოვანია, რომ ყოველ დილით, საძოვარზე გარეკვამდე, ფურს მივცეთ კონცენტრირებული საკვების (კომბინირებული საკვების ან მარცვალნარევის) დღიური ნორმის ნახევარი, ხოლო საძოვრიდან დაბრუნების შემდეგ, მოწვლის წინ — მეორე ნახევარი**



გაცილებით უმტკივნეულოდ არის შესაძლებელი იმ ცხოველების საძოვრულ კვებაზე გადაყვანა, რომლებსაც ბაგურად კვებისას ულუფაში ეძლეოდათ სილოსი, ძირხვენები, სენაჟი და სხვ. ასეთ შემთხვევაში დილით უხეში საკვების მიცემის ზემოთ აღწერილი პროცედურა აუცილებელი არ არის.

საქართველოს ბარში, როგორც წესი, ცხოველები საძოვარზე გაჰყავთ გაცილებით ადრე (მარტის მეორე ნახევრიდან), ვიდრე ბალახი „მომწიფდება“. ამის აუცილებლობას ფერმერები გამოსაზამთრებლად დამზადებული საკვების სიმცირით ხსნიან. ასეთი მიდგომა მრავალი გარემოების გამო მიუღებელია. მათ შორის მთავარი არის ის, რომ ნორჩი ბალახის ძოვა უარყოფითად მოქმედებს ცენოზის სახეობრივ შედგენილობაზე და, შესაბამისად, მცირდება, როგორც მოსავლიანობა, ასევე ყუათიანობა.

საძოვრის საკვების ეფექტიანად გამოყენებისა და მოსავლიანობის შენარჩუნების, აგრეთვე, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, საძოვარზე გაყვანის პერიოდის სწორად შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. საყოველთაოდ გავრცელებული თვალსაზრისით, გაზაფხულზე საძოვრის ექსპლუატაციის დაწყების მაჩვენებლად უნდა ავიღოთ ბალახის სიმაღლე. სხვადასხვა ტიპის საძოვრისთვის ნორმა ასეთია: მშრალი ადგილების ბუნებრივი საძოვრებისთვის — 10-12 სმ, ტენიანი დაბლობის ბუნებრივი საძოვრებისთვის — 12-15 სმ, დაბლობის ბუნებრივი ან კიდევ ურწყავი მრავალწლიანი ნათესბალახოვანი საძოვრებისთვის — 15-18 სმ და სარწყავი მრავალწლიანი ნათესბალახოვანი საძოვრებისთვის — 18-20 სმ. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამ პარამეტრების დაცვა უზრუნველყოფს ცენოზის შედგენილობისა და საძოვრების მოსავლიანობის სტაბილურობას მრავალი წლის განმავლობაში.

ძროხის საძოვარზე შენახვისას გასათვალისწინებელია ის, რომ მწვანე ბალახი მცირე რაოდენობით შეიცავდეს ზოგიერთ მინერალური ნივთიერებას, მაგ., კალციუმს, ფოსფორს, მაგნიუმს, კალიუმს, სპილენძს, კობალტსა და ზოგიერთ სხვა ნივთიერებას, რის გამო აუცილებელია ცხოველს, მით უფრო მეწველ ფურს, დამატებით მივცეთ მინერალური საკვებდანამატი.

ამის აუცილებლობა არის ის, რომ მინერალური ნივთიერებების დეფიციტი, არა მხოლოდ არღვევს ორგანიზმის ნორმალური ცხოველმოქმედების რეჟიმს, არამედ ამცირებს საკვების საყუათო ნივთიერებების მონელებას. ეს კი, თავის მხრივ, ფურებში იწვევს რძის შემცირებას, სქესობრივი ციკლის მოშლას და სერვის-პერიოდის გახანგრძლივებას, ხბოებში კი — ზრდაში ჩამორჩენას.

ფერმერები მეწველ ფურს იშვიათად აძლევენ სუფრის მარილს. არადა, ეს ნივთიერება ცხოველის ორგანიზმისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ყოველ 100 კგ ცოცხალ მასაზე ფურს სჭირდება 5-7 გ და დამატებით, ყოველ 1 ლ მოწველილ რძეზე — 3-5 გ სუფრის მარილი. ამის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, საკვებურში ცხოველს მუდმივად ჰქონდეს სხვადასხვა საკვებდანამატით გამდიდრებული მარილის დაწნეხილი ბრიკეტები ან ქვამარილი.

მაგრამ **მხოლოდ სუფრის მარილის მიცემა ვერ ხსნის ულუფაში მინერალური ნივთიერებების დეფიციტის პრობლემას. ცნობილია, რომ რძე დიდი რაოდენობით შეიცავს კალციუმს, ფოსფორსა და სხვა მიკრო და მაკროელემენტებს. ორგანიზმში მათ შესავსებად კი ცხოველსბაგაზე მუდმივად უნდა ჰქონდეს, ასევე, მონოკალცი ან დიკალციფოსფატის სურვილისამებრ მიღების შესაძლებლობა.**

საძოვარზე გაყვანის წინ აუცილებელია ფურის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა, რაც თავიდან აგვაცილებს ინფექციური თუ ინვაზიური დაავადებების გავრცელებას. ამისათვის ფერმერმა უნდა მიმართოს ვეტერინარს, რომელიც, ცხოველის გამოკვლევასთან ერთად, ჩაატარებს ყველა იმ პროცედურას, რომლებიც ამ პერიოდისთვის აუცილებელია, მათ შორის, გეგმურ ვაქცინაციას ჯილეხზე, ემკარსა და თურქულზე; გამოიკვლევს ცხოველს ტუბერკულოზსა და ბრუცელოზზე; მისცემს მას ჰელმინთების საწინააღმდეგო პრეპარატებს და სხვ. მხოლოდ ასეთი პროცედურები უზრუნველყოფს ძროხის საძოვარძე შენახვის მაღალეფექტიანობას.

ცალკე თემაა ნახირის ძოვების სწორად ორგანიზაციისა და საძოვრების მოვლა-გაუმჯობესების საკითხი. ამაზე შემდეგ წერილში ვისაუბროთ.

**გიული გოგოლი,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიეროკვლევითი ცენტრის კონსულტანტი**

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კოლექტიური წერილით რამდენიმეჯერ მივმართეთ ქალაქის მერიას, აგრეთვე, საბურთალოს რაიონის გამგებელს, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობა და, იმის ნაცვლად, რომ მოსახლეობას შევუქმნათ ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები, არსებულ პარკებსა და სპორტულ მოედნებს, მატების ნაცვლად, ვამცირებთ და ისედაც დამძიმებულ ეკოლოგიურ მდგომარეობას ვაუარესებთ.**

# გადავარჩინოთ დიდი დიღმის ერთადერთი პარკი!

**პატივცემულო ბატონებო,
დიდი დიღმის განაშენიანება გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. ეს ადგილი იმხანად ეკოლოგიური თვალსაზრისით დედაქალაქის ყველაზე სუფთა უბნად ითვლებოდა. მშენებლობა დაიწყო ფარნავაზ მეფის გამზირის №1-სა (დღევანდელი ჰიპერმარკეტი „გუდვილი“) და გიორგი ბრწყინვალის ქუჩის №1 სახლთან, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.**

ყველას გვახარებდა საქალაქო მნიშვნელობის გართობისა და დასვენების პარკი — გაზონები და ყვავილნარები, ხეივნები, კალათბურთის ერთი და ფეხბურთის ორი მოედანი, ბავშვთა ატრაქციონები; განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა მშენებარე პარკის პროექტი — დედაქალაქის იმჟამინდელ (1987) თავკაცთა და არქიტექტორთა თაოსნობით შემუშავებული, კერძოდ, პარკის ცენტრში დაგეგმილი დიდი შადრევანი და ა.შ.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში აღნიშნული პარკის მიმართ დაიწყო მიზანმიმართული აქციები — „გუდვილის“ მოპირდაპირე მხარეს სარეკრეაციო ზონას შეუცვალეს სტატუსი და გაყიდეს 4200 კვადრატული მეტრის ფართობი. ამას მოჰყვა ორი სპორტული არენის გაყიდვა-გასხვისებაც. ორივეგან გადაწყვეტილი აქვთ მრავალსართულიანი კორპუსების აშენება.

ამ საკითხზე **კოლექტიური წერილით რამდენიმეჯერ მივმართეთ ქალაქის მერიას, აგრეთვე, საბურთალოს რაიონის გამგებელს, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობა და, იმის ნაცვლად, რომ მოსახლეობას შევუქმნათ ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები, არსებულ პარკებსა და სპორტულ მოედნებს, მატების ნაცვლად, ვამცირებთ და ისედაც დამძიმებულ ეკოლოგიურ მდგომარეობას ვაუარესებთ.**

და კიდევ — კარგია, რომ დაიწყო პარკის ერთი ნაწილის რეაბილიტაცია, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველის. საჭიროა გაყიდული ადგილისა და სპორტული მოედნების ხალხისთვის დაბრუნება და პარკის განახლება-გამდიდრება-გამრავალფეროვნება.

ამიტომ **მოგმართავთ დედაქალაქის მერიასა და საკრებულოს, ფართო საზოგადოებას — გადავარჩინოთ დიდი დიღმის ერთადერთი პარკი!**

ამ მწვავე პრობლემის აღქმა-გარკვევაში დაგვეხმარება ჩვენი კორპუსის სახურავიდან გადაღებული პანორამული ფოტოები (1,2,3,), აგრეთვე, ჩვენი შენიშვნები და წინადადებები, რომლებსაც, იმედია, მკითხველთა გამოხმაურება და პარკის გადარჩენა-განახლება მოჰყვება.

ახლა უფრო დაწვრილებით პანორამული სურათისა და პრობლემის შესახებ:

**1. სურათი პირველი**: ჩანს „გუდვილი“, რომლის გადახურული ფართობი 12 200 კვადრატული მეტრია. განსჯისთვის ბარემ აქვე ვთქვათ: პარკის სადავო ღია ცისქვეშა სივრცეს სულ 18 700 კვადრატული მეტრი უკავია. ჩვენ ამ ბაღნარის გადარჩენა-განახლებას ვითხოვთ;

**2. სურათი მეორე:** ჩანს მშენებარე კორპუსი, მის გვერდით ავტოსერვისი და სტადიონი, ავტომფლობელთა ავტოკოლონას რომ დაუკავებია...

**3. სურათი მესამე:** ჩანს, აგრეთვე, მშენებარე ცათამბჯენის საწყისი სართულები და უსახური ოთხსართულიანი სახლის კარკასები, რომელმაც ფარნავაზ მეფის გამზირის დასაწყისში არსებული ძეგლი — ქართული ასომთავრულის ანსამბლი დაფარა...










**4.** აღნიშნულ ობიექტებს შორის არსებული ბაღნარის დაგეგმარება-განაშენიანებისა და განადგურების მოწმენი ვართ ჩვენ, 106 ოჯახი, რომლებიც გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის პირველ კორპუსში, 31 წელიწადია, ვცხოვრობთ;

**5.** პარკის სიგრძე ფარნავაზ მეფის გამზირის მხარეს 170 მეტრია, ხოლო სიგანე — გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის მხარეს — 110 მეტრი. ამ გამწვანებული 18 700 კვადრატული მეტრის გადარჩენა-განახლებასა და გამდიდრება-გამრავალფეროვნებას მოვითხოვთ ქვემორე ხელისმომწერნი და თანამოაზრენი, ვინაიდან ახლომახლო, ფარნავაზ მეფისა და მირიან მეფის გამზირებსა და გიორგი ბრწყინვალეს ქუჩას შორის მიჯრით ნაშენ კორპუსებთან საერთოდ არ არსებობს სხვა ბაღი, პარკი ან სკვერი. აქაური ბავშვებისა და უფროსებისათვის ეს მთავარი გასართობი და დასასვენებელი ადგილია;

**6.** ადრე პარკში იყო კალათბურთის ერთი და ფეხბურთის ორი მოედანი; იყო ბავშვების სათამაშო არაერთი ადგილი, ქვიშაყრილი, ატრაქციონი; იყო გაზონები და ყვავილნარები. ვამბობთ და ვწერთ იყოთქო, ვინაიდან ერთ „მშვენიერ“ დღეს პარკის კულტურულ-სასპორტო-სარეკრეაციო დანიშნულება (სტატუსი) გააუქმეს და მის ნაწილ–ნაწილ გაყიდვას შეუდგნენ;

**7.** გასხვისებულ ადგილას ერთხანს გაზგასამართი სადგურის აშენება სცადეს, მაგრამ სასამართლო წესით გავაჩერეთ, ახლა მრავალსართულიანი კორპუსის აშენებას აპირებენ;

**8.** პარკის განაშენიანების მოთავენი დედაქალაქის პერსპექტივას (ანუ დღევანდელ დღეს) ითვალისწინებდნენ. აქაური კორომ-ფიჭვნარის არსებობას მათ უნდა ვუმადლოდეთ — ეს არის დიდი დიღმის დიდი სიკეთე, რომლის დათმობა არ ეგების, ვინაიდან დიდი დიღმის მოსახლეობა დღეს უკვე 100 ათასს აღემატება;

**9.** ასეთ ვითარებაში ეკოლოგიური და ქალაქმშენებლობის პრინციპების დაცვა, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება აუცილებელია, მაგრამ დიდი დიღმის სინამდვილეში ერთიც, მეორეც და მესამეც დავიწყებულია;

**10.** „ავიწყდებათ“, რომ ამ პარკის დასავლეთით მძლავრი მიწისზედა ქვესადგური და მაღალი ძაბვის ხაზებია; „ავიწყდებათ“, რომ პარკის აღმოსავლეთით მიწისქვეშ განთავსებულია ქალაქის მთავარი გაზსადენი და წყალსადენი; „ავიწყდებათ“, სტადიონი ავტოსადგომად რომ არის გადაქცეული; „ავიწყდებათ“ კალათბურთის მოედანი, რომელიც მავთულხლართებით არის შემორაგული...

**11.** ახლა პარკის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება, ტანაყრილ ფიჭვებს შორის მიყრილ-მოყრილი სიმკარები მოძალადე მშენებელთა განაცხადია, უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ხვალ-ზეგ აქ დაიწყება ახალი ცათამბჯენის მშენებლობა — ზემოაღნიშნული 4200 კვადრატული მეტრის ფართობის ათვისება, ხოლო ვინ გაყიდა და ვინ იყიდა? რატომ? რისთვის, პასუხს არავინ იძლევა;

**12.** ასეთი ბოროტების გამომზეურება და სათანადო ნაბიჯების გადადგმა მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით შეიძლება. შემოგვიერთდით, რათა საქართველოს სამი დიდი მეფის — ფარნავაზ მეფის გამზირის, მირიან მეფის გამზირისა და გიორგი ბრწყინვალის ქუჩის შესაყართან არსებული სიკეთე, სიმბოლური პარკი, ცათამბჯენებმა და უგუნურებმა არ ჩაყლაპონ;

**13.** ჩვენც ხომ ადამიანები ვართ, ადამიანებს კი ადამიანური ცხოვრება სწყურიათ, პირველ ყოვლისა, სუფთა ჰაერი, ჯანსაღი გარემო, წყალი, ბაღი, პარკი, სკვერი...

**14.** ამდენი უბედურების კვალდაკვალ უნდა ითქვას, რომ დაწყებულია პარკის ერთი კუთხის (მხოლოდ მეოთხედი ნაწილის) სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგრამ ამ ერთი ციცქნა ადგილის მობეტონება-მოშანდაკება-მოპირკეთება, ორი სათამაშო მოედნის გამართვა და ათიოდე სკამის დადგმა საქმეს არ შველის. აუცილებელია მთელი პარკის ყოველმხრივი აღდგენა-განახლება;

**15.** მოგეხსენებათ, ბავშვობის ასაკი 1-12 წელია; ყმაწვილობისა — 13-19 წელი; ხოლო რა ჰქნან მათმა მამებმა და დედებმა, ანუ უფროსებმა, შუახნის, ჭარმაგმა თუ მხცოვანმა ადამიანებმა, არაფერს ვამბობთ...

**16.** დიდი დიღმის პარკს ალტერნატივა არ აქვს, მეტიც, ქალაქის მერიისა და საკრებულოს ვალია, სანამ დროა, სანამ მოზიდული სიმკარები კორპუსებად ქცეულა, გააუქმოს პარკის საწინააღმდეგო ყველა დადგენილება;

**17**. ამასთანავე, აუცილებელია, დიდ დიღომში დაიწყოს „გუდვილის“ მიმდებარე თავისუფალი ადგილების გამწვანება, ახალი, უფრო დიდი და უკეთესი პარკის გაშენება, თუნდაც ამისთვის საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება დაგვჭირდეს;

**18.** ეს იქნებოდა საუკეთესო საჩუქარი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლისთავისთვის, რომელსაც ორიოდე თვეში აღნიშნავს სრულიად საქართველო და მისი მეგობარი და გულშემატკივარი მსოფლიო.

**დიდი დიღმის მცხოვრებთა სახელით:**

**თენგიზ აბესაძე,** ინჟინერ-მშენებელი; **თამაზ არეშიძე,** ვეტერინარიის დოქტორი; **გიორგი თეთრაძე,** ეკონომისტი, ინდმეწარმე; **ავთანდილ იმნაძე**, ყოფილი პარლამენტარი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე; **მერი ისაევი**, პოლიგრაფისტი; **ვალერი ლობჟანიძე**, პოლიგრაფისტი-ტექნოლოგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; **რაულ მამალაძე**, ეზოთერიკოსი, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი; **გვანჯი მანია**, ჟურნალისტი, ეკოლოგი, კავშირ „გიორგის“ თავმჯდომარე; **ვახტანგ მაღრაძე**, ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; **ნანა მერებაშვილი**, ბუღალტერი; **ვახტანგ მიმინოშვილი**, მხატვარ-რესტავრატორი; **მანანა სტურუა**, ეკონომისტი; **ოტელო ჩაგუნავა,** პენსიონერი; **ტარიელ ჯვარიძე**, აგრონომ-ტექნოლოგი და სხვ.

**სულ 167 პიროვნება. ხელმოწერები გრძელდება.**

**შენიშვნა: კოლექტიურ წერილს გაეცნო საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი მარატ ციცქიშვილი (ტელ.: 577 722 257) და განაცხადა, რომ აუცილებელია დიდი დიღმის პარკის პირვანდელი გეგმა-პროგრამის მიხედვით აღდგენა-განახლება, ვინაიდან დიდ დიღომს სხვა ბაღნარი არ აქვს, აგრეთვე, საჭიროდ თვლის ახალი, უფრო დიდი პარკის გაშენებას.**

# ტრამპმა პუტინთან შეხვედრა ისურვა და... გაარტყა თავისი ადმინისტრაცია



**აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია გაოცებული დარჩა, როცა მან რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან სატელეფონო საუბრის შემდეგ განაცხადა, რომ ელოდება მასთან მალე შეხვედრას, — წერს გაზეთი The Washington Post-ი.**

20 მარტს ტრამპმა დაურეკა პუტინს. ორი ქვეყნის ლიდერებმა ისაუბრეს შემდგომში ერთობლივი მოქმედებების განვითარებაზე, მათ შორის, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ტრამპმა და პუტინმა ასევე განიხილეს სირიის პრობლემა და უკრაინული კრიზისი, მოილაპარაკეს მომავალი ორმხრივი კონტაქტების განვითარებაზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით. პუტინმა და ტრამპმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს უმაღლეს დონეზე შესაძლო შეხვედრის მოწყობის საკითხსაც.

ამერიკის ლიდერის მოსკოვში დარეკვამ დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც აშშ-ში, ასევე მის საზღვრებს მიღმა.

ტრამპის ადმინისტრაციამ პრეზიდენტს მაგიდაზე დაუდო წერილი, რომელშიც დიდი ასოებით ეწერა: „არ მიულოცოთ!", მაგრამ ტრამპმა ყური არ ათხოვა მრჩევლებს და პუტინს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა, რამაც ბევრი ამერიკელი პოლიტიკოსი ააღაშფოთა. მაგალითად, რესპუბლიკელმა სენატორმა **ჯონ მაკეინმა** განაცხადა, რომ „ამერიკის პრეზიდენტი წინ არ მიუძღვის თავისუფალ სამყაროს, როცა ულოცავს დიქტატორებს გაყალბებულ არჩევნებში გამარჯვებას".

18 მარტს რუსეთში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ვლადიმერ პუტინმა 76,68 პროცენტით გაიმარჯვა. ეს ნიშნავს, რომ მას მხარი დაუჭირა 55 მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა.

# ლიტვაში ემიგრაციამ კვლავ გაუსწრო იმიგრაციას





**ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ერთი დადებითი მაგალითი ტენდენციას არ ნიშნავს. ასე შეიძლება განვაზოგადოთ მიგრაციის სტატისტიკა ლიტვაში. გასულ კვირას გაასაჯაროეს ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს უახლესი მაკროეკონომიკური პროგნოზები, რომლებშიც წარმოდგენილია ემიგრაცია-იმიგრაციის შეფარდებითი მონაცემები.**

ყურადღება მისაქცევია ის ფაქტი, რომ 2017 წლის დეკემბერში ლიტვიდან გავიდა 2835 მოქალაქე, ლიტვაში ჩავიდა — 3071, მაგრამ 2018 წლის თებერვალში უფრო მეტმა დატოვა ქვეყანა, ვიდრე დაბრუნდა.

ამ რეალობას ყურადღება მიაქცია ფინანსების ვიცემინისტრმა **მიგლე ტუსკენემ.** 2018 წლის იანვარში ლიტვიდან ემიგრირებული იყო 4 458 მოქალაქე, თებერვალში — 3 018. იმიგრაციის მაჩვენებელი 3 307 და 2 598 იყო. ფინანსთა მინისტრმა **ვილიუს შაპოკამ** თქვა, რომ ემიგრაცია საინტერესო პროცესია.

„ტენდენციის შეცვლაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ჯერ ერთი, ჩვენი ეკონომიკა ტრანსფორმირებული უნდა იყოს მეტი მშპ-ს შესაქმნელად. მეორე, თავიდან უნდა ავიცილოთ ისეთი სიტუაციები, რომლებიც 10 წლის წინათ გვქონდა, როცა ფისკალურ პოლიტიკას ყურადღებას არ აქცევდნენ. მესამე, ჩვენ სტრუქტურული რეფორმები უნდა განვახორციელოთ განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში", — თქვა მან. შაპოკას აზრით, ადამიანები თავს დაცულად უნდა გრძნობდნენ, დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ შვილების აღზრდა ლიტვაშიც შეუძლიათ და მაშინ ქვეყნიდან წასვლაზე არც იფიქრებენ, პირიქით, წასულები დაბრუნდებიან.

# «რუსული საფრთხის» წინააღმდეგ საბრძოლველად აშშ ფულს გულუხვად დახარჯავს



**Reuters-ი იუწყება, რომ აშშ-ის კონგრესის ლიდერები ხანგრძლივი კამათის შემდეგ შეთანხმდნენ ფედერალური ბიუჯეტის პროექტზე 2018 წლის დარჩენილ პერიოდში, რომელიც 30 სექტემბერს დამთავრდება.**

სახელმწიფო დაწესებულებები მიიღებენ 1,3 ტრილიონ დოლარს; „რუსეთის გავლენის" წინააღმდეგ საბრძოლველად 250 მლნ-ზე მეტი დოლარის დახარჯვაა დაგეგმილი; 380 მლნ-ს ფედერალური ხელისუფლება გაანაწილებს გრანტებად, რომლებმაც უნდა გააძლიეროს ამერიკის საარჩევნო სისტემის დაცვა; გამოძიების ფედერალური ბიურო დამატებით 307 მილიონ დოლარს გამოყოფს „რუსეთის კიბერშეტევების" წინააღმდეგ საბრძოლველად.

420 მილიონ დოლარს უკრაინის დასახმარებლად ითვალისწინებენ, **105 მილიონს კი საქართველოს უწილადებენ.** უკრაინას დამატებით 200 მილიონს სამხედრო ხარჯების დასაფარავად, მათ შორის, ლეტალური იარაღის შესაძენად, მისცემენ.

თებერვალში გაცხადდა, რომ 2019 საფინანსო წელს თეთრ სახლს განზრახული აქვს „რუსეთის შესაჩერებლად 6,3 მლრდ დოლარის გამოყოფა. ამასთანავე, თავდაცვის ხარჯები გაისად 13 პროცენტით გაიზარდება და 686 მილიარდს მიაღწევს.

# გერმანიაში ლტოლვილს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს სტუდენტი გოგონას მკვლელობისთვის



**ფრაიბურგის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა ავღანეთიდან ლტოლვილს, რომელმაც 2016 წელს გააუპატიურა და მოკლა გერმანელი სტუდენტი გოგონა, — წერს გაზეთი Suddeutsche Zeitung-ი.**

გამოძიების ვერსიით, 2016 წლის ოქტომბერში ლტოლვილმა ჰუსეინ კ-მ ღამით ველოსიპედიდან ჩამოაგდო 19 წლის სტუდენტი გოგონა მარია ლ. და გააუპატიურა, შემდეგ კი გონდაკარგული მდინარე დრაიზამში ჩააგდო. გოგონა ჩაიხრჩო.

დანაშაულის ჩადენიდან ორი თვის შემდეგ ჰუსეინ კ. დააკავეს. პოლიცია მის კვალზე დააყენა ფრაიბურგის ტრამვაიზე დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერამ და თმის ღერმა, რომელიც კრიმინალისტებმა დანაშაულის ადგილას იპოვეს. ლტოლვილმა განაცხადა, რომ დანაშაულის ჩადენისას 17 წლის იყო, მაგრამ ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ბრალდებული იმხანად 21 წლის გახლდათ, ამიტომ სასამართლომ წლოვანების გამო მას სასჯელი არ შეუმსუბუქა.

ამასთანავე, გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ რამდენიმე წლის წინათ ჰუსეინ კმ მსგავსი დანაშაული საბერძნეთშიც ჩაიდინა. მაშინ ქალი გადარჩა, მიუხედავად მძიმე ტრავმებისა, რომელიც მოძალადემ მიაყენა.

# «უკრაინამ თავისი სუვერენიტეტი ოკეანისგაღმელ სპონსორებს მიჰყიდა»

**ამ განცხადებით გამოვიდა უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ევგენი მურაევი.**




„მსოფლიოს ვერ დავუმალავთ ვერც კორუფციის დონეს, ვერც რეალურ მოვლენებს, რომლებიც დონბასში ვითარდება, თქვა მან. — უკრაინელებს შეიძლება დაუსრულებლად ვუყვებოდეთ სისულელეებს და ვაბითურებდეთ, მაგრამ მსოფლიომ იცის სიმართლე". მურაევს გული სწყდება, რომ კიევმა უკრაინის სუვერენიტეტი გაყიდა.

ცოტა ხნის წინათ უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ განაცხადა, რომ იცის, როგორ უნდა აღადგინოს უკრაინის სუვერენიტეტი დონბასში. მან საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდა, რეგიონში გაეროს მშვიდობისმყოფელები შეიყვანოს.

# აშშ-ის კოალიცია «ისლამური სახელმწიფოს» მეთაურებზე ზრუნავს

**სააგენტო SANA-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საერთაშორისო კოალიციის სამმა ვერტმფრენმა ქალაქ ყამიშილიდან გაიყვანა „ისლამური სახელმწიფოს" ერაყული წარმოშობის ოთხი მეთაური. რა მიმართულებით გაფრინდა აღნიშნული ესკადრა, უცნობია.**

ცოტა ხნით ადრე სამხედრო-დიპლომატიურმა წყარომ **რია-ნოვოსტის** მიაწოდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, 2017 წლის აგვისტოში ამერიკულმა სამხედრო ვერტმფრენებმა დეირ-ეზ-ზორიდან სირიის ჩრდილოეთში გადაიყვანა 20-ზე მეტი სამხედრო მეთაური და მათთან დაახლოებული მოთარეშეები.



## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009